გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№74 (830) 3 - 4 ივლისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მხოლოდ 40 თეთრი

„ბევრად მნიშვნელოვან საკითხად არჩევნებში გიორგი მარგველაშვილისა და ნინო ბურჯანაძის დაპირისპირება მიმაჩნია, რადგან ბრძოლა ორ იდეოლოგიას შორის გაიმართება!“

ვასილ მაღლაფერიძე საზოგადოებაში „ედიტური ნაწილის“ ხელოვნური შექმნით სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებას პროგნოზირებს

ივლისის ბოლოს საკრებულოს ახალი თავმჯდომარე უმცირესობის ლიდერი გიორგი ტყემალაძე გახდება?!

გიორგი ტყემალაძე: „გიდასტურებთ, ამ თემებზე ვმსჯელობთ და კოალიციას ერთი კანდიდატი ეყოლება“

გვ. 3

გვ. 7

რატომ იცოდა ერთი თვის წინ კოკი იონათამიშვილის გადადგომა ჯაბა სამუშიამ და რა დარტყმას ამზადებს გიგი უგულავას წინააღმდეგ

საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 18 წლამდე ონკოპაციენტების მკურნალობა 100%-ით დაფინანსდება

რომელ დაავადებებსა და რა სახის სამედიცინო მომსახურებას დაფინანსებს სახელმწიფო სრულად?

გვ. 6

„ჩვენ მხოლოდ საზოგადოების მოთხოვნას ვახმოვანებთ და არავის დაშინების სურვილი არ გვაქვს!“

რატომ ითხოვს „პატრიოტთა ალიანსი“ ქუთაისის ახალი მერის იმპიჩმენტს

გვ. 4

თბილისის „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“ სრული დატვირთვით მუშაობს!

გვ. 4

ბავშვებში ნაწლავურმა ინფექციებმა მოიმატა — ექიმების რჩევები მშობლებს!

გვ. 6

რექისორმა ლევან ანჯაფარიძემ, პატრიარქის თხოვნით, შიმშილობა შეწყვიტა!

გვ. 2

ვინ გააკოტრა ბორის ბერეზოვსკი?



როგორ გაქრა 3 მრრდ დოლარი, რომელიც ბორის ბერეზოვსკიმ და ბადრი პატარკაციშვილმა რუსეთის აქტივებიდან მიიღეს. „ფორბსი“-ს გამოძიება

გვ. 9–11

2 ივლისს, ტამიშის ბრძოლას შეწირული 300 ქართველი და წარმატებული სამხედრო ოპერაცია, რომელიც არც ერთ ხელისუფლებას აღარ ახსოვს!

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

2 ივლისს, ტამიშის ბრძოლიდან 20 წელი შესრულდა. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უთანასწორო ბრძოლა რუსულ არმიასთან, რომელსაც 300-ზე მეტი ქართველი მებრძოლი შეეწირა. დესანტთან შეტაკებისას თითქმის მთლიანად განადგურდა დუშეთის ბატალიონი, რომელმაც 52 მებრძოლი დაკარგა. სერიოზულად დაზარალდა ორი ბატალიონი — „ავაზა“ და „შავნაბადა“... 2 ივლისს, ქართველი სამხედროები გმირთა მოედანზე შეიკრიბნენ. დიდების მემორიალი ყვავილებით შეამკეს და სწორედ ის დღე გაიხსენეს, როცა 20 წლის წინ, დილის 5 საათზე, დაბა ტამიშთან აფხაზურმა მხარემ 600-კაციანი საზღვაო დესანტი გადმოსხა, გამთენიისას პირველი დარტყმა ტამიშში, ლაბრასა და ზემო კინდხში განლაგებულმა ნაწილებმა მიიღეს. მიუხედავად დიდი დანაკარგისა, ქართველმა ჯარისკაცებმა დესანტის მოგერიება და პოზიციების შენარჩუნება შეძლეს.

დავით ჩუბინიძე, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი, „ავაზას“ მებრძოლი: „დღეს დესანტის დღეა. 1993 წლის 2 ივლისს დესანტი შემოვიდა, დაიღუპნენ ჩვენი ბატალიონის ბიჭები. მებრძოლები მათ მოსაგონებლად შევიკრიბეთ მემორიალთან. მერე ძმათა სასაფლაოზე ავალთ, პარაკლისს გადავიხდით და ასე აღვნიშნავთ დღევანდელ დღეს, ეს დღე მათი სულების მოსახსენიებელი დღეა“.

დავით თევზაძე, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი: „20 წელი გავიდა ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ბრძოლიდან. მსხვერპლი გვქონდა, ამდენი დრო გავიდა და ცოტა ემოციები შეცვლილია, მაგრამ სიამაყეს ყველა ვგრძნობთ. ვინც გმირთა მემორიალთან მოვედით, ყველა ვიბრძოდით იქ. 6 საათი ყველაზე რთული ბრძოლა იყო. 2 ივნისს ყოველ წელს აღვნიშნავთ, იქ უამრავი მეგობარი დაგვეღუპა, ეს დღე მათი ხსოვნის დღეა“.

გიორგი თავდგირიძე, თადარიგის პოლკოვნიკი: „დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. ვიხსენებთ ჩვენს გმირულად დაღუპულ მებრძოლებს. აფხაზეთის ომის დროს, ერთ-ერთი ეტაპი იყო, როდესაც მოულოდნელად, საკმაოდ დიდი ძალის გამოყენებით აფხაზები, რუსები და ჩრდილოკავკასიელები შეეცადნენ მუხანათობა მოეხდინათ საბრძოლო პროცესებში. ეს გახლდათ ე.წ. ტამიშის დესანტი. ძალთა მნიშვნელოვანი კონცენტრაცია იყო. ქართველმა მებრძოლებმა მიუხედავად დიდი მსხვერპლისა, მოიგერიეს ეს შეტევა, იყო ცალკეული გმირობის გამოვლენა; იყო ქვედანაყოფები, რომელთაც ბოლომდე შეასრულეს დაკისრებული საბრძოლო ამოცანები. იყვნენ ახალგაზრდა ბიჭები, რომელთაც თავი შესწირეს სამშობლოს. იყო გმირობაც და იყო შეცდომებიც. ქართველმა მებრძოლებმა გმირობა გამოავლინეს. საბოლოო ჯამში, 2 ივლისს დაწყებული მნიშვნელოვანი ოპერაცია, რომელიც, სავარაუდოდ, რუსეთის გენშტაბში ან რუსეთის საბრძოლო შტაბებში იგეგმებოდა, წარუმატებელი აღმოჩნდა მოწინააღმდეგისთვის. 9 ივლისს გაიხსნა გზა, რომელიც აკავშირებდა სოხუმს დანარჩენ საქართველოსთან. სამწუხაროდ, მერე პოლიტიკურმა პროცესებმა და რიგმა შეცდომებმა არ მისცეს საშუალება, საქართველოს ბოლომდე შეენარჩუნებინა აფხაზეთის თავისუფლება, მაგრამ ქართველმა პატრიოტებმა, მებრძოლებმა მოხალისეებმა, ოფიცრებმა და რიგითებმა ყველაფერი გააკეთეს, რაც მათზე იყო დამოკიდებული და მოიგეს მნიშვნელოვანი ბრძოლა. „შავნაბადას“ ბატალიონმა, რომელმაც მიიღო დარტყმა, 3-ად იყო გაყოფილი. „შავნაბადას“ ერთ-ერთი ქვეგანაყოფი მოხდა ჩასაფრებაში, რამაც დიდი მსხვერპლი გამოიწვია. ამ ბატალიონიდან 36-მდე მებრძოლი დაიღუპა. ამის ფასად მაშინ მნიშვნელოვანი სიმაღლეების შენარჩუნება შევძელით“.

გელა დოლიძე, ვეტერანთა დეპარტამენტის უფროსი: „დღევანდელი დღე და ტამიშის ბრძოლის ისტორია ამტკიცებს, რომ, როდესაც პოლიტიკოსები ნაკლებად ერევიან საბრძოლო მოქმედებებში, წარმატებულად შეგვიძლია მტრის მოგერიება. 2 ივლისი ჩვენი ჯარისკაცების გმირობის დღეა. ძირითადად არაფორმირებულმა, მოხალისეებისგან შემდგარმა ჯარმა, ოპერაცია ჩვენი გამარჯვებით დაამთავრა. სამწუხაროდ, მაშინ საკმაოდ ბევრი ჩვენი თანამებრძოლი დაიღუპა, მაგრამ მაინც გამარჯვების დღე იყო“.

კობა კობალაძე, საქართველოს გენერალთა კლუბის თავმჯდომარე: „20 წელია, აქ ვიკრიბებით. სამწუხაროდ, ბოლო 9 წლის განმავლობაში არ გვქონდა ამ ღონისძიების ჩატარების ბედნიერება. ამაში ხელს ხელისუფლება გვიშლიდა. მიუხედავად ამისა, მაინც აღვნიშნავდით, მაგრამ მერე იწყებოდა დაკითხვების ხანგრძლივი ჯაჭვი, რატომ შეიკრიბნენ, რა უნდოდათ და ასე შემდეგ. არადა, ეს არის ქართველთა გმირობის დღე და ვალდებულები ვართ, მათი ხსოვნის წინაშე მუხლი მოვიყაროთ!“

შინაგან საქმეთა მინისტრი სომხეთის რესპუბლიკაში ვიზიტით იმყოფება

1 ივლისს, შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სომხეთის რესპუბლიკაში გაემგზავრა. ვიზიტის ფარგლებში, იგი შეხვდა სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ სერჟ სარქისიანს, შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს სამართალდამცავ სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები. საუბარი ასევე შეეხო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში უკანასკნელ პერიოდში განხორციელებულ რეფორმებს და ამ მიმართულებით დაგეგმილ სხვა ღონისძიებებს.

შს მინისტრი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში შეხვდა სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის უფროსს, რომელმაც ირაკლი ღარიბაშვილი დააჯილდოვა საპატიო მედლით – „კანონის დამცველი“.

მინისტრმა შეხვედრები გამართა საგანგებო სიტუაციების მართვის მინისტრთან და ეროვნული უშიშროების სამსახურის დირექტორთან. მათ სამართალდამცავ სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული რეფორმები და ამ მიმართულებით დაგეგმილი სხვა ღონისძიებები განიხილეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში 2 ივლისს დასრულდა.

„ვერსიანიუსი“

რეჟისორმა ლევან ანჯაფარიძემ, პატრიარქის თხოვნით, შიმშილობა შეწყვიტა!

1 ივლისს კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია, მთავრობის ღია მმართველობის ფარგლებში, ჟურნალისტებს შეხვდა და 2013 წლის აპრილსა და ივნისში ჩატარებული ღონისძიებების ანგარიში გააცნო. შეხვედრის პარალელურად, კულტურის სამინისტროს შენობის წინ, რეჟისორი ლევან ანჯაფარიძე შიმშილობის მე-14 დღეს ითვლიდა და, ბუნებრივია, „ვერსიის“ კითხვაც სწორედ ამ უპრეცედენტო საპროტესტო აქციას შეეხო.

— ბატონო გურამ, ალბათ, დამეთანხმებით, კულტურის სამინისტროსთან მოშიმშილე რეჟისორ ლევან ანჯაფარიძის საკითხი მხოლოდ ერთი რეჟისორის პრობლემა კი არა, ქართულ კინოში არსებული გლობალური პრობლემის გამოძახილია. როგორ აპირებს კულტურის სამინისტრო რეჟისორის მიერ დასმული პრობლემის მოგვარებას?

— ლევანი ნიჭიერი კაცია, რომელმაც დიდი ძალისხმევისა და ნერვების ფასად გადაიღო ჩვენი ქვეყნისთვის მძიმე, გარდამავალი პერიოდი — როცა დაინგრა სსრ კავშირი, მთელი საქართველოს მასშტაბით იყო უშუქობა, ყაჩაღობა, ომი... ასეთი კარგი რეჟისორი არ უნდა შიმშილობდეს. რაც შეეხება მის მოთხოვნებს — ეროვნული კინოცენტრი ჩვენზე ფინანსურად დაქვემდებარებული დაწესებულება უფროა და მათ შიდასაქმიანობაში არ ვერევით. კინოცენტრი ზუსტად ისეთივე სსიპ-ია, როგორიც მაგალითად, რუსთაველის თეატრი და, როგორ ფიქრობთ, სტურუამ რომ რუსთაველის თეატრში კონკურსი ჩაატაროს და რომელიმე მსახიობმა ვერ გაიმარჯვოს, კულტურის სამინისტროს წინ უნდა მოვიდეს და შიმშილობა დაიწყოს?

— თუმცა, ბატონი ლევანი ჟიურის წევრების არაკომპეტენტურობაზე, ინტერესთა კონფლიქტზე და უამრავ სხვა დარღვევაზე საუბრობს...

— ლევანმა გასულ კვირას შემოიტანა საჩივარი, სადაც აღნიშნული დარღვევების შესახებ იუწყება. თუ საჩივარში მოყვანილი ძალიან სერიოზული ფაქტები დადასტურდება, რეაგირებაც არ დააყოვნებს. წინა კვირას გამოვყავი კომისია, რომელიც უკვე სწავლობს მასალას და რამდენიმე დღეში ხელთ გვექნება შესაბამისი დასკვნა. სწორედ ამ დასკვნის შესაბამისად ვიმოქმედებთ.

— სადავო სცენარი აფხაზეთის თემაზეა, ბატონი ლევანის აზრით, სწორედ ეს თემა უნდა იყოს დღეს ქართულ კინოში პრიორიტეტული. თქვენი, როგორც არა მხოლოდ კულტურის მინისტრის, არამედ სოხუმელი ადამიანისა და მწერლის მოსაზრება როგორია ამასთან დაკავშირებით და გაქვთ თუ არა წაკითხული აღნიშნული სცენარი?

— რა თქმა უნდა, დავინტერესდი — ვიკითხე, რაზეა სცენარი და ვიცი, რომ იგი აფხაზებისა და ქართველების ურთიერთობაზეა. აფხაზეთი არა მარტო ჩემი, ყველა ჩვენგანის ტკივილია, ამიტომ ეს თემა არ უნდა იყოს უყურადღებოდ დარჩენილი. ებრაელებს ერთი ასეთი ლოცვა აქვთ: „იერუშალაიმ, თუ მე შენ დაგივიწყებ, მაშინ ჩემი ენა მიახმეს ჩემს სასას!“ ეს ერი ასე 26 საუკუნე ლოცულობდა და არ მესმის იმ ადამიანების, რომლებსაც უყურადღებოდ ჰყავთ მიტოვებული თავიანთი ძმები და მათთან დიალოგისკენ არ ისწრაფვიან. სწორედ მსგავსი თემების წარმოჩენით თუ შემოვაბრუნებთ ჩვენს ოს და აფხაზ ძმებს, თორემ ტერიტორიები ისედაც დაგვიბრუნდება.

პრესკონფერენციის მეორე დღეს, კულტურის სამინისტროს წინ, ლევან ანჯაფარიძეს მამა თეოდორემ პატრიარქის დანაბარები გადასცა — უწმინდესი რეჟისორთან შეხვედრას ითხოვდა. მისი ორკვირიანი შიმშილობაც სწორედ ილია II-ს თხოვნით დასრულდა.

„უწმინდესმა თავისი ხელით მომიტეხა სეფისკვერი, დამალევინა ბარძიმიდან ნაკურთხი წყალი, ჯვარი და ბეჭედი მაჩუქა და მთხოვა, შიმშილობა შემეწყვიტა. დღეს მე ჩემს პატრიარქს ვუჯერებ და მისი ლოცვა-კურთხევით, ვწყვეტ შიმშილობას, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გაჩერებას ვაპირებ. აუცილებლად ვიბრძოლებ მანამდე, სანამ სამართლიანობა არ აღდგება. ყველა ჩემი მოთხოვნა რჩება ძალაში და მე, ფეხზე მდგომი და ჯანმრთელი, უფრო მეტს შევძლებ, ვიდრე დაუძლურებული და მწოლიარე. ზოგიერთებმა ჩემი შიმშილობა ისე განიხილეს, თითქოს ქ მარტო ჩემი სცენარის გამო ვშიმშილობდი. არავითარ შემთხვევაში! ეს მხოლოდ ერთი რეჟისორის პრობლემა კი არა, მთელი ქვეყნის კულტურული „შიმშილია“ და ამას უნდა ვუშველოთ!“ — განაცხადა ანჯაფარიძემ პატრიარქთან შეხვედრის შემდეგ.

ნათია ვასაძე

ივლისის ბოლოს საკრებულოს ახალი თავმჯდომარე უმცირესობის ლიდერი გიორგი ტყემალაძე გახდება?!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

რამდენიმე დღის წინ, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების სკანდალური დაკავებების შემდეგ, დაკითხვიდან „უვნებლად“ გამოსულმა მამუკა ახვლედიანმა, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეა, ასეთი კომენტარი გააკეთა: „ამ დაჭერებით ხელისუფლება საკრებულოს დეპუტატებზე ზეწოლას ახორციელებს. ისინი დაშინებით ცდილობენ საკრებულოში საწადელი ოცნების მიღწევას: უმრავლესობის დაშლასა და ახალი უმრავლესობის წარმოქმნას!“ თითქოს ეს სიტყვები დაადასტურაო, 1 ივლისს საკრებულოს „ნაციონალების“ ფრაქციის ანუ უმრავლესობის ლიდერი კოკი იონათამიშვილი პოსტიდან სკანდალურად გადადგა და ახლა საკრებულოში მუშაობას დამოუკიდებელ დეპუტატად გააგრძელებს.

გიორგი ტყემალაძე: „გიდასტურებთ, ამ თემებზე ვმსჯელობთ და კოალიციას ერთი კანდიდატი ეყოლება“

იონათამიშვილმა საკუთარი გადადგომა ჟურნალისტებს ეპისტოლარულ ჟანრში შეგვატყობინა და სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ ვრცელი წერილი დადო: **„არანაირ თავშესაფარს არ ვეძებ. ქართულ ოცნებაში გადასვლა არც მიფიქრია. ჯერ ვიქნები დამოუკიდებელი წევრი, შემდეგ ვნახოთ...“** საკრებულოს წევრის ეპისტოლეს პრეზიდენტის ადმინისტრაცია მეორე ეპისტოლეთი გამოეხმაურა — განრისხებულმა სააკაშვილმა ფარდა იონათამიშვილის პირად წერილს ახადა, სადაც ის პრეზიდენტს ვალების დაფარვაში დახმარებას სთხოვდა. რამდენიმე წუთში, სააკაშვილის პასუხს „პასუხის პასუხი“ ისევ იონათამიშვილისგან მოჰყვა: **„აუცილებლად მივიჩნევ განვმარტო, თუ რა მიზეზები უძღვის ჩემს წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას. ამ კამპანიის სახელია, შიში... შიში იმისა, რომ არ დაიკარგოს ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გავლენა თბილისის საკრებულოზე და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ზოგადად, ნაციონალურმა მოძრაობამ კიდევ უფრო ინტენსიურად არ გააგრძელოს კრიზისში შესვლა. მიხეილ სააკაშვილი ვერ ხვდება, რომ ამ პარტიის წევრების უმეტესობა ჩემს მიერ გაკეთებულ განცხადებას თავიდან ბოლომდე სოლიდარობას უცხადებს. მისი მხრიდან ასე პირდაპირ წარმოებული შანტაჟი, რღვევის პროცესს ვერ შეაჩერებს!“** — წერილობითი ფორმით განაცხადა იონათამიშვილმა. სამაგიეროდ, ზუსტად მეორე დღეს, ბრიფინგი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ „ოცნებიდან“, **ჯაბა სამუშია** ჩაატარა და საინტერესო მოვლენები დააანონსა: **„უახლოეს მომავალში, ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის ბაზაზე კიდევ რამდენიმე ფრაქცია შეიქმნება.**

თვის ბოლომდე, ნაციონალების დატოვებას სულ მცირე 6 ადამიანი აპირებს, რის შედეგადაც, თბილისის საკრებულოში, მინიმუმ, ორი ახალი ფრაქცია შეიქმნება. ეს ადამიანები თავიანთ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას საზოგადოებას ახლო მომავალში გააცნობენ!“ მეტიც, კოკი იონათამიშვილის წასვლის კომენტირებისას, სამუშიამ „ვერსიასთან“ განაცხადა, რომ კოლეგის გადაწყვეტილების შესახებ ჯერ კიდევ ერთი თვის წინ იცოდა.

შესაბამისად, დღეს თბილისის უფლებააყრილ საკრებულოში ახალი რეალობა გვაქვს: ნაციონალური უმრავლესობა დაშლილია და განსაკუთრებული მონდომების შემთხვევაში, „ოცნების“ დიდი ხნის მუქარის სისრულეში მოყვანა — ზაალ სამადაშვილის გადაყენება შეიძლება! ჯაბა სამუშიამ, რომელიც საკრებულოში მიმდინარე მოვლენების ერთ-ერთ ლიდერად იკვეთება, „ვერსიას“ ამ გეგმის შესახებ ღიადაც დაუდასტურა: **„ზაალ სამადაშვილისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხი თავისთავად დადგება უახლოეს სხდომაზე — ახალი რეალობა ახალ პოლიტიკურ კონიუნქტურას ითხოვს! უნდა შეგროვდეს 17 კაცის ხელმოწერა, რათა საკითხი დღის წესრიგში შევიდეს და შემდეგ კენჭისყრა ჩატარდეს. საკუთრივ „ოცნებას“ ახლა 20-მდე წევრი ჰყავს და ეს თუნდაც დღის წესრიგში საკითხის შესატანადაა საკმარისი“.**

> **ესენი არიან: ყოფილი ნაციონალი ირაკლი შიხიაშვილი, ყოფილი ქრისტიან-დემოკრატი ჯაბა სამუშია და მესამე და ყველაზე რეალური — დღევანდელი უმცირესობის ლიდერი საკრებულოში, დეპუტატ ზურაბ ტყემალაძის ვაჟი, გიორგი ტყემალაძე.**

რაც შეეხება საკრებულოში არსებულ ვითარებას დღეს — უშუალოდ ფრაქცია „ოცნებაში“ შემავალი და მათი მოძმე ფრაქციების დეპუტატები ახალი უმრავლესობის შექმნაზე ფიქრობენ, რაკი „ნაციონალების“ უმრავლესობა დაიშალა. **ახალი ბალანსი ასეთია: 24/23-ზე, სადაც ყველაზე დიდი, 23-კაციანი ფრაქცია ისევ „ნაციონალებს“ აქვთ, დანარჩენი 24 კაცი კი ასე ნაწილდება: დამოუკიდებელი დემოკრატები — 4 კაცი, ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო — 3 კაცი, ქართული ოცნება — თბილისელები — 3 კაცი, თავისუფლება — 6 კაცი, ქართული ოცნება — თბილისი — 3 კაცი, ხოლო დამოუკიდებელი დეპუტატების ფრაქცია, ახლა უკვე კოკი იონათამიშვილის ხარჯზე — 5 კაცი! ანუ, ნაციონალების გარდა, დანარჩენ 6 ფრაქციაში, გადასულ-გადმოსული ნაციონალებით, ყოფილი ქრისტიან-დემოკრატით, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერით, ახალი მემარჯვენეების წევრითა და „ოცნების“ წევრებით, 24 კაცის შეკოწიწება შეიძლება.** ჰოდა, თუ „ნაციონალები“ გზადაგზა იშლებიან, ეს 24 კაცი ჯერ იმ კონდიციამდეც არ მისულა, თუნდაც მყიფე გაერთიანებად ჩამოყალიბდეს და მის დაშლაზე ვისაუბროთ. გარდა ამისა, მთელი ამ ხნის მანძილზე აქტიურად ვრცელდება ჭორები იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა გახდეს საკრებულოს ახალი თავმჯდომარე, ნაციონალი ზაალ სამადაშვილის გადაყენების შემდეგ.

> **როგორც „ვერსიას“ საკრებულოს რამდენიმე წევრი სხვადასხვა დროს უმხელდა, ჯერ „ოცნება“ ახალი თავმჯდომარის ერთ კანდიდატურაზე ვერ ჩამოყალიბებულა, მაგრამ არსებობს სამი სავარაუდო კანდიდატი, რომელთაც, მეტნაკლებად, ყველაზე დიდი მხარდაჭერა აქვთ.**

ირაკლი შიხიაშვილს თავისი სურვილების შესახებ ღიად და საჯაროდ არაერთხელ აქვს ნათქვამი. ჯაბა სამუშიამ, მას მერე, რაც გიორგი თარგამაძის პარტია დატოვა, როგორც „ვერსიას“ აცნობეს, „ოცნების“ საპარლამენტო ლიდერ დავით საგანელიძესთან დაიწყო მოლაპარაკებები საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევის თაობაზე. როგორც სამუშია აცხადებს, „ასეთი შეთანხმება არ ყოფილა! ამ თემამ ერთადერთხელ გაიჟღერა, ისიც ერთ ბრიფინგზე, მაგრამ მე საკრებულოს თავმჯდომარეობისთვის არ მიბრძოლია. თუმცა თუ ჩემი კოლეგები გადაწყვეტენ მე დამასახელონ, ამ შემოთავაზებას მივიღებ!“ ხოლო რაც შეეხება მესამე, გიორგი ტყემალაძის კანდიდატურას, მასზე დღეს ცოტა თუ საუბრობს, მიუხედავად იმისა, რომ მისი არჩევა ამ პოსტზე ყველაზე ლოგიკურია: ჯერ ერთი, ტყემალაძე ამ წუთებშიც საკრებულოს უმცირესობის ლიდერია, მისი არჩევის პრეისტორია რომ გავიხსენოთ, 2010 წელს, ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, იგი ნაციონალებმა, პირდაპირი მნიშვნელობით, აიღეს და დასვეს საკრებულოს უმცირესობის თავმჯდომარედ და ბოლოს, როგორც „ვერსიას“ საკრებულოს კულუარებში უამბობენ, მისი კანდიდატურის მხარდაჭერაზე, სამუშია-შიხიაშვილის ჯიბრით, უარს რამდენიმე ნაციონალიც არ იტყვის.

> **სქემა მარტივია — თუ იმ 24 კაციდან, ვინც ამ დროისთვის ნაციონალებში არ შედის, მაგრამ 6 სხვადასხვა ფრაქციაში გაფანტული, ერთი-ორი მხარს სამუშიას დაუჭერს და ამდენივე შიხიაშვილს, ნაციონალების 23-კაციანი ფრაქცია, პლუს გიორგი ტყემალაძე, საკუთარი თავის სასარგებლოდ მიცემული ოცდამეოთხე ხმით, თავის კანდიდატურას გაიყვანს და საკრებულოს თავმჯდომარე გახდება!**

პროცედურულად, ეს არათუ შესაძლებელი, არამედ საკმაოდ მარტივიცაა. ზაალ სამადაშვილის გადაყენებისა და ახალი თავმჯდომარის არჩევის წესის შესახებ **ქალაქ თბილისის საკრებულოს რეგლამენტის მეხუთე თავის, 42-ე მუხლში** გარკვევით წერია: **პუნქტი 3. საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენების საკითხი საკრებულოს წინაშე წერილობით შეიძლება დასვას საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მესამედმა (17 კაცი). საკრებულოს თავმჯდომარე გადაყენებულად ჩაითვლება, თუ წინადადებას მისი გადაყენების შესახებ მხარი დაუჭირა საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. (24 კაცი) პუნქტი 4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საკრებულომ ვერ შეძლო თავმჯდომარის გადაყენება, დაუშვებელია მომდევნო 3 თვის განმავლობაში საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენების პროცედურის ხელმეორედ დაწყება. მუხლი 43. პუნქტი 1. საკრებულოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს საკრებულო.**

ამ ყველაფრის გარკვევის შემდეგ **გიორგი ტყემალაძეს** დავუკავშირდით და მისგან საინტერესო პასუხიც მოვისმინეთ: **„ის, რომ ნაციონალურ მოძრაობას უმრავლესობა აღარ ჰყავს, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ახალი უმრავლესობის არსებობას. მით უმეტეს, შესაძლოა, ნაციონალური მოძრაობა კიდევ რამდენიმე დეპუტატმა დატოვოს. ალბათ, ამ თვის განმავლობაში საბოლოო სურათი შეიქმნება, თუ ვინ სად გადავა და როგორ ჩამოყალიბდება ახალი უმრავლესობა. თავმჯდომარეობიდან ზაალ სამადაშვილის გადაყენება, რეგლამენტით, უკვე შესაძლებელია, თუმცა გიდასტურებთ, რომ დეპუტატები ჯერ არ ჩამოყალიბებულან, ვინ უნდა იყოს ახალი თავმჯდომარე. საკრებულოს წევრთა უმრავლესობაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ კოალიციაში შემავალ წევრებს ერთი კანდიდატურა ეყოლება. სამაგიეროდ, ვერ გიდასტურებთ იმას, რომ ეს საერთო კანდიდატი მე ვიქნები. მე პირადად, რა მინდა და როგორ მინდა, ეს სხვა თემაა — შემიძლია დავადასტურო, რომ ამ წუთას კოალიციას შეთანხმებული კანდიდატურა არ ჰყავს, მაგრამ ნამდვილად ეყოლება და იგი, სავარაუდოდ, ივლისის ბოლოს დასახელდება!“**

გურამ ოდიშარია: „მცხეთის საკითხი მხოლოდ ჩვენი ძალისხმევით ვერ გადაწყდება!“

საქართველოს კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია, საკუთარ გუნდთან ერთად, ჟურნალისტებს შეხვდა და 2013 წლის აპრილსა და ივნისში ჩატარებული ღონისძიებების ანგარიში გააცნო. იგი რეგიონებში კულტურული პროექტების განხორციელებასა და საზღვარგარეთ კულტურული ცენტრების მოწყობის საკითხსაც შეეხო და აღნიშნა: **„ჩვენ პატარა აქცენტები დავსვით იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ რეგიონებში. ამ ორი თვის განმავლობაში, მე და ჩემმა მოადგილეებმა მოვიარეთ რეგიონები, ახლახან ვიყავით მთიან აჭარაში, ხულოს რაიონში“.** ოდიშარიამ ასევე ისაუბრა საქართველოს რეგიონებში არსებულ მუზეუმებსა და ძეგლებზე, რომლებიც ხშირად სავალალო მდგომარეობაშია.

„ჩვენი მხრიდან ძალისხმევას არ დავაკლებთ, მაგრამ, როცა საქმე ეხება რეგიონებში განთავსებულ მუზეუმებსა თუ სხვა ტიპის ძეგლებს, აუცილებელია იქაური მოსახლეობაც ჩაერთოს მათი მოვლა-პატრონობის საქმეში. კერძოდ, ეს საკითხი იმ რეგიონის დეპუტატისა და გამგებლის საზრუნავიც უნდა იყოს“, — განაცხადა ოდიშარიამ.

მინისტრმა არც წინა შეხვედრაზე მიცემული პირობა დაივიწყა, რომელიც რეგიონებში კინოთეატრების შექმნას ეხებოდა და ჟურნალისტებს აუწყა, რომ კინოთეატრები სულ მალე დაიწყებს ფუნქციონირებას, პარალელურად, ისინი კულტურის სახლების ფუნქციასაც შეასრულებენ.

ანგარიშის წარდგენის შემდეგ კულტურის მინისტრმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა, რომელიც ძირითადად თურქეთში არსებულ ქართულ ძეგლებზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებსა და იუნესკოს ნუსხიდან ბაგრატის ტაძრის ამოღებისა და გელათის დამოუკიდებლად წარდგენის საკითხებს ეხებოდა. როგორც ოდიშარია აცხადებს:

„ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე თემა, რომელიც ყველას გვაღელვებს. ორი თვის წინ ქალბატონი მარინე მიზანდარი და სააგენტოს ხელმძღვანელი მერაბ ბოჭოიძე იმყოფებოდნენ ანკარაში, სადაც ისინი თურქეთის კულტურის მინისტრის მოადგილეს შეხვდნენ და იშხანში ქართველი სპეციალისტების ჩასვლის შესაძლებლობებზე ისაუბრეს. გასული თვის დასაწყისში, თავადაც შევხვდი თურქეთის კულტურის მინისტრის მოადგილეს და ხელშეკრულების ხელმოწერამდე აღნიშნული ძეგლის რესტავრაციაში ქართველი სპეციალისტების ჩართვის უზრუნველყოფა ვთხოვე. თურქული მხარე შეგვპირდა, რომ გააგრძელებდნენ მუშაობას ამ ფორმატით, თუმცა, იშხანის პროექტი ჯერ კიდევ საკამათოა და ისევ მიმდინარეობს მასზე მსჯელობა.

რაც შეეხება ბაგრატის ტაძარს, იგი აღარ განიხილება იუნესკოს მფარველობის ქვეშმყოფ ძეგლთა სიაში. გული გვწყდება, რომ ეს ასე მოხდა, მაგრამ გადასარჩენია სხვა ძეგლები, მათ შორის მცხეთაც. მცხეთაშიც რეაბილიტაცია დიდი დარღვევებით მოხდა — მოხდა მიწების გასხვისება, დამცველი ზონების შემცირება, მცხეთის რიყეზე შენობების აგება და ა.შ. თუმცა, ჩვენ უკვე დავიწყეთ მცხეთასთან დაკავშირებით რეალური ნაბიჯების გადადგმა, თუმცა მცხეთის საკითხი მხოლოდ ჩვენი სამინისტროს ძალისხმევით ვერ გადაწყდება, აქ გადაჯაჭვულია კულტურული, ეკონომიკური, ფინანსური და რეგიონული განვითარების ინტერესები. ასე რომ, გადაწყვეტილების მისაღებად ოთხივე ეს უწყება მუშაობს“.

ნათია ვასაძე

„ჩვენ მხოლოდ საზოგადოების მოთხოვნას ვახმოვანებთ და არავის დაშინების სურვილი არ გვაქვს!“

ეროსუდან შელია
557-100-768

ქუთაისის საკრებულო ქალაქის მერს დიმიტრი კოპალიანს იმპიჩმენტით ემუქრება. ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი“, რომელიც საპარლამენტო ქალაქის საკრებულოში უმრავლესობითაა წარმოდგენილი, არც ისე დიდი ხნის წინ, მის მიერვე არჩეულ მერს კონკრეტულ ბრალდებებს უყენებს — მერიის სტრუქტურების მუშაობა პარალიზებულია, ვერ ხერხდება გამართული მუშაობისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება, შეჩერებულია პროექტები და მოქალაქეები დროულად ვერ იღებენ მათთვის აუცილებელ საკითხებზე პასუხებს. თავის მხრივ, ქუთაისის მერმა, ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი“ ნაციონალურ მოძრაობასთან გარიგებაში დაადანაშაულა და „ქართულ ოცნებაში“ შემავალ პოლიტიკურ პარტიებს ქუთაისში მიმდინარე პროცესების შესწავლისაკენ მოუწოდა — ქუთაისს არაფერი ეშველება მანამ, სანამ მას ნაციონალური მოძრაობა მართავსო. ქუთაისის საკრებულოში მიმდინარე პროცესების შესახებ „ვერსიას“ ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი გოჩა თევდორაძე ესაუბრა:

რაცომ ითხოვს „პატრიოტთა ალიანსი“ ქუთაისის ახალი მერის იმპიჩმენტს

— დიმიტრი კოპალიანის თანამდებობიდან გადაყენება კი არა, ქალაქის მერად შენარჩუნება გვინდა. სწორედ ამიტომაც მოვუწოდეთ გააქტიურებისა და ქალაქისთვის საჭირბოროტო საკითხების დროულად გადაწყვეტისკენ. ფაქტობრივად, ქუთაისის მერია დღეს უმოძრაო მდგომარეობაშია, არადა პრობლემური საკითხები ოპერატიულად გადაჭრას მოითხოვს.

— ანუ იმპიჩმენტზე საუბარი თქვენი მხრიდან მხოლოდ მუქარა იყო?

— არავის დავმუქრებივარ, უბრალოდ, დიმიტრი კოპალიანს შევახსენეთ, რომ ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება შეჩერებულია, მოქალაქეთა განცხადებებს არავინ პასუხობს, მერიაში საკადრო პოლიტიკაზე არავინ ზრუნავს და რეორგანიზაციის ფარგლებში, კონკურსი ჯერ კიდევ არ ჩატარებულა. კოპალიანზე ჯვარი არავის დაუწერია, ქალაქის განვითარების შეფერხების პროცესს ვერავისგან მოვითმენთ, მათ შორის, ვერც დიმიტრი კოპალიანისგან. ჩვენ მხოლოდ საზოგადოების მოთხოვნას ვახმოვანებთ და არავის დაშინების სურვილი არ გვაქვს.

— თუ თქვენი მოთხოვნები არ შესრულდა და ქუთაისის მერიაში იგივე პროცესები გაგრძელდა, იმპიჩმენტის პროცედურას დაახლოებით რა ვადებში დაიწყებთ?

— არავითარ ვადას არ ვაძლევთ, ის საკითხები რაც უკვე მერიაშია შესული, სასწრაფოდ უნდა განიხილონ და მოსახლეობის მოთხოვნებიც დააკმაყოფილონ. ქალაქის მერმა კეთილი უნდა ინებოს და, საზოგადოებას ხშირად შეხვდეს, სოციალურად დაუცველ ადამიანებსაც მეტი მოუსმინოს და ა.შ. იმედი მაქვს, დიმიტრი კოპალიანი ჩვენ გაფრთხილებას გაითვალისწინებს და ქალაქში შექმნილ უმძიმეს ვითარებას მალე გამოასწორებს.

— ისე, კოპალიანი ხომ ქალაქის მერად არც ისე დიდი ხნის წინ, სწორედ თქვენმა ფრაქციამ აირჩია, კანდიდატზე თავიდანვე რატომ არ დაფიქრდით?

— დიახ, დიმიტრი კოპალიანი მერის თანამდებობაზე სწორედ ჩვენი მხარდაჭერის შედეგად დაინიშნა, მაგრამ მისი კანდიდატურა ახალმა ხელისუფლებამ წარმოგვიდგინა. გვეგონა, რომ თუ მმართველი გუნდის მიერ შერჩეულ ადამიანს დავნიშნავდით, ხელისუფლებისგან ნდობის ხარისხი მეტი იქნებოდა და რადგანაც ქუთაისის ბიუჯეტი დოტაციაზეა, ქალაქის გასავითარებლად მეტი ინვესტიცია ჩაიდებოდა. დღესაც იმ აზრზე ვართ, რომ ხელისუფლების მხარდაჭერილ კანდიდატს მწვანე შუქი უნდა ავუნთოთ, მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებენ. კოპალიანიც სწორედ ასეთი კადრი აღმოჩნდა. მას არ აქვს ის ძარღვი, რომელიც დიდი ქალაქის მართვას სჭირდება. არც ერთ პრობლემას სიღრმისეულად არ განიხილავს, სამსახურებში პროფესიონალების მოყვანას არ ცდილობს. არადა, სამუშაოები უკვე გვიანდება. კონკრეტულ მაგალითს გეტყვით, თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, გზების აღდგენის სამუშაოები დეკემბრამდე ვერ დაიწყოს, რადგან ამ მიმართულებით სატენდერო კომისია ჯერ კიდევ არ შექმნილა. წარმოიდგინეთ, მხოლოდ განცხადებების მიღებასა და დამუშავებას ერთი თვე სჭირდება, დამატებით ორი თვეა საჭირო გამარჯვებულის გამოსაცხადებლად, ამასობაში კი დეკემბრის თვეც დადგება და სამუშაოები ვეღარ შესრულდება ან, უკეთეს შემთხვევაში, შესრულდება უხარისხოდ. როცა სოციალურად დაუცველი გთხოვს, რომ მას სიცოცხლის გადასარჩენად წამალი სჭირდება, ქუთაისის მერი კი ერთი თვის განმავლობაში პასუხს არ სცემს, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ, როგორც მინიმუმ, თანამდებობაზე ყოფნას არ იმსახურებ?!

— დიმიტრი კოპალიანის შემცვლელზე უკვე იფიქრეთ?

— ჯერ არა, რადგან იმედი მაქვს, ეს ადამიანი ახლა მაინც გამოფხიზლდება და სამუშაოს შეუდგება.

— ამასობაში, დიმიტრი კოპალიანი ნაციონალურ მოძრაობასთან თანამშრომლობაში გდებთ ბრალს და აცხადებს — სანამ ქუთაისს ნაციონალები მართავენ, ქალაქს არაფერი ეშველებაო.

— პირიქით, დიდი ხანია ვამბობთ, რომ კოპალიანი ნაციონალურ მოძრაობასთან მეგობრობს. ეს კამპანიაც იმის გამო დავიწყეთ, რომ ქუთაისის მერმა ნაციონალებთან მეგობრობას თავი დაანებოს და საქმეს მიხედოს. შემთხვევითი არ იყო, რომ მისი მისამართით მხარდამჭერი განცხადებები ნაციონალური მოძრაობის ფრაქციამ და იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულმა გააკეთა. ჩვენ მივესალმებით, რომ ქუთაისის მერიაში არსებული ვითარებით კოალიციაში შემავალი პარტიები დაინტერესდნენ. იქნებ ვინმემ მისცეს ამ ადამიანს რჩევა, ქალაქის მერმა როგორ უნდა იმუშაოს.

თბილისის „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“ სრული დატვირთვით მუშაობს!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ბოლო დროს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისის „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“ გაჩერდა და აღარ ფუნქციონირებს. ქარხნის ხელმძღვანელობამ სამშაბათს, 2 ივლისს, ჟურნალისტებისთვის სპეციალური მედია-ტური დაგეგმა და მასმედიის წარმომადგენლები ქარხანაში მიიპატიჟა. თბილისის „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“ მუშაობს, სადაც 500 ადამიანია დასაქმებული და როგორც „საქართველოს რკინიგზის“, ასევე მეზობელი ქვეყნების დაკვეთებსაც წარმატებით ასრულებს. ეს საწარმო „ვაგონმშენებელთა ჰოლდინგში“ შედის, რომელიც „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ გარდა, რუსთავის „ვაგონმშენებელ ქარხანასა“ და „მეტალურგიულ კომბინატსაც“ აერთიანებს. მთლიანობაში ამ ჰოლდინში, 2 000 ადამიანია დასაქმებული.

სააქციო საზოგადოება „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“, ერთ-ერთი უძველესი საწარმოა ამიერკავკასიაში. მისი ისტორია დასაბამს 1883 წლიდან იღებს. საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, ქარხნის ძირითადი დანიშნულება რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის რემონტი და მისი სათადარიგო ნაწილების დამზადება იყო. წლების მანძილზე, ქარხანა არემონტებდა სხვადასხვა ტიპის სამგზავრო და სატვირთო ვაგონებს, ელექტრომატარებლებს, წევის ძრავებს, წყვილთვალებს, დამხმარე მანქანებს, უშვებს რკინიგზის მოძრავი შემადგენლობისთვის საჭირო, სხვადასხვა სახის სათადარიგო ნაწილებს.

უკრაინისა და რუსეთის შემდეგ, დსთ-ს სივრცეში, საქართველო მესამე ქვეყანაა, რომელიც ფლობს ლიცენზიებს ახალი ვაგონების მშენებლობაზე. იმისთვის, რომ ლიცენზია მიიღოს, ქვეყანამ უნდა დააკმაყოფილოს საქართველოს, ესტონეთის, ლიტვისა და ლატვიის სარკინიგზო ადმინისტრაციების სავაგონო მეურნეობების უფლებამოსილ წარმომადგენელთა საბჭოს მოთხოვნები. მაგალითად, ყაზახეთს, უზბეკეთს, აზერბაიჯანსა და ბელორუსს ამ ტიპის ლიცენზიები ჯერ არ მიუღიათ.

მედია-ტურის ფარგლებში, ს/ს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ წარმომადგენლებმა, „საქართველოს ვაგონმშენებელთა ჰოლდინგის“ შექმნაზეც ისაუბრეს. ჰოლდინგი თბილისის „ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანას“, რუსთავის „ვაგონმშენებელ კომპანიასა“ და მეტალურგიულ კომბინატს აერთიანებს. 2012-2013 წლებში, რუსეთის, უკრაინის, სომხეთისა და აზერბაიჯანის რკინიგზებიდან, ასევე სხვა კერძო კომპანიებიდან, ჰოლდინგმა 100 000 000 ლარის შეკვეთა მიიღო. შესაბამისად, ამ ქვეყნების სარკინიგზო შემადგენლობა კაპიტალურად უნდა შეაკეთოს და ახალი ვაგონებიც უნდა ააშენოს.

„კომპანიამ ახალი ელექტრომატარებლის შექმნის ძირითადი კონცეფციაც შეიმუშავა. შედეგად, 2010 წელს, ახალი ქართულ-ჩინური ელექტრომატარებელი აშენდა. ამ მატარებლის კონსტრუქციაში გამოყენებულია თანამედროვე დიზაინი, რაც სრულიად ახლებურ იერ-სახეს აძლევს მატარებელს, შესრულების ტექნიკური დონე კი უმაღლეს სტანდარტებს შეესაბამება. ეს არის ჩქაროსნული მატარებელი, რომელიც ახალ, მე-5 თაობას მიეკუთვნება, რომლის სიჩქარეა 130 კმ/სთ“, — განაცხადა „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა, ნინო წილოსანმა.

ბოლო წლებში, „ვაგონმშენებელთა ჰოლდინგისა“ და მისი დამფუძნებლის, ბადრი წილოსანის ინიციატივით, არა მარტო ახალი ვაგონების მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი, არამედ — დამკვეთთა არეალიც გაფართოვდა. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მსოფლიოში სამგზავრო, თუ გადასაზიდ ვაგონებზე მოთხოვნა გაიზარდა, გარდა ამისა, ცალკეული ქვეყნები საკუთარ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ და შედეგად, „ვაგონმშენებელთა ჰოლდინგს“ უკრაინისა და რუსეთის ბაზრებზე, ქართული პროდუქციის რეალიზაციის მასშტაბი გაეზარდა. ბოლო 4 წლის მანძილზე, საქართველოს ბიუჯეტში ჰოლდინგმა 50 000 000 ლარზე მეტი შეიტანა.

2013 წლის სექტემბრიდან, ჰოლდინგი „საქართველოს რკინიგზის“ კონტრაქტის ფარგლებში, სტუდენტური პრაქტიკის სპეციალურ პროექტს განახორციელებს. ამ პროექტის მიხედვით, ტექნიკური განათლების მქონე სტუდენტები ქარხანაში სტაჟირებას გაივლიან და საჭირო გამოცდილებასაც შეიძენენ.

ქარხნის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ 2004-2012 წლებში, თბილისის „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ საკონტროლო პაკეტის მფლობელი და მენეჯმენტი, რამდენჯერმე შეიცვალა. ხელოვნურმა ცვლილებებმა კი წარმატებულ ქარხანას სერიოზული პრობლემები შეუქმნა. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს გამოძიება და ქარხნის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ სამართალდამცავი ორგანოების ძალისხმევით, რეალური ვითარება აუცილებლად გაირკვევა.



„ბევრად მნიშვნელოვან საკითხად არჩევნებში გიორგი მარგველაშვილისა და ნინო ბურჯანაძის დაპირისპირება მიმაჩნია, რადგან ბრძოლა ორ იდეოლოგიას შორის გაიმართება!“

ვასილ მაღლაფერიძე საზოგადოებაში „ელიტური ნაწილის“ ხელოვნური შექმნით სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებას პროგნოზირებს

ᲔᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ
557-100-768

ნაციონალური მოძრაობის მიერ საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსავლენად გამართულ პრაიმერს სპექტაკლს უწოდებს, ხელისუფლებას კი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას ურჩევს. ამბობს, რომ პარლამენტში მყოფი დეპუტატები საზოგადოების აზრს არ გამოხატავენ, რადგან უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, თუნდაც ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის აუცილებლობაზე, არავინ საუბრობს. არადა, მსგავსმა მოთხოვნამ მოსახლეობის ნაწილში საკმაოდ მწვავედ გაიჟღერა. ყიდულობს თუ არა კოალიცია ნაცმოძრაობის ლიდერებს და რატომ დაყო ხელისუფლებამ საზოგადოება ორ ნაწილად, „ვერსიას“ პუბლიცისტი ᲕᲐᲡᲘᲚ ᲛᲐᲦᲚᲐᲤᲔᲠᲘᲫᲔ ესაუბრა.

— ნაციონალურ მოძრაობაში ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც დღემდე კომპრომატებით ჰყავთ გამოჭერილი. მათი უმრავლესობა ხვდება, რომ სააკაშვილის გემი დიდი ხანია იძირება, ამიტომ პარტიას ნელ-ნელა ტოვებენ. რეალურად, ნაციონალური მოძრაობის წევრები ახლა საკუთარი მდგომარეობით ვაჭრობენ და „მყიდველს“ ეძებენ.

— და „მყიდველი“ ხელისუფლებაა?

— ყველა ნაციონალი „გაყიდვადია“, თუმცა მყიდველის დაკონკრეტება მართებულად არ მიმაჩნია.

> **უპრიანი იქნება გავაანალიზოთ, რა იდეოლოგია აქვთ „ნაციონალებს“: საკმაოდ მცირე ლიბერტარიანელთა ჯგუფის გარდა, ამ პოლიტიკურ ორგანიზაციაში ყველა მედროვეა და მხოლოდ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. ნაციონალები პრაიმერსაც სავაჭრო თემად იყენებენ და ცდილობენ, თავი ქვეყანაში მეორე პოლიტიკურ ძალად წარმოგვიჩინონ, მაგრამ არაფერი გამოუვათ — მაისში რომც წამოთოვოს, თოვლის შენარჩუნება შეუძლებელია!**

— პრაიმერის გარდა, ნაციონალებმა საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმაც შეცვალეს: ვანო მერაბიშვილი, გიგა ბოკერია, გია ბარამიძე საზოგადოებას ბოდიშს უხდიან და ბიზნესის შევიწროების ფაქტებსა თუ წამების კადრებს შეცდომას უწოდებენ...

— ბოდიშის მოხდა ცუდი არ არის, მაგრამ მათი სინანული იმ ადამიანების გულს, რომლებსაც ქონება წაართვეს და, სამწუხაროდ, დღესაც არ უბრუნებენ, გულზე სალბუნად სულაც არ დადებიათ. სხვათა შორის, ნაციონალებს ინფორმაციის შეფუთვა კარგად ეხერხებათ და ისიც კარგად იციან, საზოგადოება აბსოლუტურად მეასეხარისხოვან პრაიმერზე როგორ ალაპარაკონ, თუმცა, როგორც ჩანს, ეს პროცესი ხელისუფლებასაც აწყობს.

— ნაციონალური მოძრაობის ბრალდებებზე თავის მართლება ხელისუფლების ინტერესებში რატომ შედის?

— მარტივია, მეორე ძალად აფიქსირებს პოლიტიკურად მიცვალებულ პარტიას, რომელიც დამარცხებისთვის წინასწარვე განწირულია. რა თქმა უნდა, ძლიერი პოლიტიკური გუნდი არავის აწყობს, მით უმეტეს, პოლიტიკაში.

> **პირადად მე, ნაციონალების პრაიმერზე ბევრად მნიშვნელოვან საკითხად არჩევნებში გიორგი მარგველაშვილისა და ნინო ბურჯანაძის დაპირისპირება მიმაჩნია. დღეისათვის საქართველოში ორი მყარი იდეოლოგია გვაქვს: ლიბერალიზმი და კონსერვატიზმი. ლიბერალი გიორგი მარგველაშვილია, პროგრესულ კონსერვატიზმს კი ნინო ბურჯანაძე წარმოადგენს ანუ ახლა მკვეთრად გამოკვეთილი პროდასავლელი და რუსეთთან თბილი ურთიერთობის მომხრე კანდიდატები გვყავს, შესაბამისად, ბრძოლა ამ ორ იდეოლოგიას შორის გაიმართება, რაც მისასალმებელი ფაქტია.**

— და პრემიერის ფაქტორი რატომ გავიწყდებათ, გიორგი მარგველაშვილს ხომ „ბიძინა ივანიშვილის კაცს“ უწოდებენ და გამარჯვებასაც მხოლოდ კოალიციის ლიდერის რეიტინგის ფონზე უწინასწარმეტყველებენ, არც პაატა ბურჭულაძისა და სალომე ზურაბიშვილის ფაქტორი უნდა დაგვავიწყდეს, რომელიც საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელებას ჯერჯერობით არ უარყოფს.

— არა მგონია, მომავალში, ამ ორ კანდიდატზე ძლიერი ფიგურა გამოჩნდეს. სხვა კანდიდატებისთვის ადგილი, უბრალოდ, არ რჩება, თუმცა რეგისტრაციაში, ბუნებრივია, 20-ზე მეტ ადამიანს ვიხილავთ. რაც შეეხება გიორგი მარგველაშვილს, ვინც ამბობს, რომ ის მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის კაცია, მწარედ ცდება, რადგან თუ ქართულ პოლიტიკაში ვინმეს გამოცდილება აქვს, ეს სწორედ გიორგი მარგველაშვილია. მას დიდი ხანია ვიცნობ და ვიცი, წარსულში რასაც აკეთებდა.

— ფაქტია, საზოგადოებაში ასე აქტიურად არ ჩანდა და კულუარებში მოქმედებდა?

— ასეც ვერ ვიტყვი, მაგრამ, მერწმუნეთ, პოლიტიკა იმ პარლამენტარებზე უკეთ ესმის, რომლებიც დღეს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სხედან და პოლიტიკაში მიმდინარე პროცესების აზრზე არ არიან. საერთოდ, პარლამენტი საზოგადოების პოლიტიკურ აზრს არ გამოხატავს, ამიტომ, კარგი იქნება, თუ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება. პარლამენტში საინტერესო იქნება იმ ადამიანების მოსმენაც, რომლებიც ფიქრობენ, რომ თუნდაც ავღანეთიდან ქართველი ჯარისკაცები უნდა გამოვიყვანოთ. მსგავსი აზრი ხომ საზოგადოებაში უკვე მუსირებს?!

> **ამჟამინდელი პარლამენტი, მეტ-ნაკლებად, კონსტრუქციულად მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ფაქტორის გათვალისწინებით მუშაობს, მაგრამ, როგორც კი პრემიერი პოლიტიკიდან წავა, პარლამენტში ვითარება აირევა და კოალიციის წევრი პარტიები ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. შესაბამისად, დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემთხვევაში, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები აუცილებლად დაინიშნება.**

იმედია, ამ შემთხვევაში მაინც მივიღებთ ისეთ პარლამენტს, სადაც კონსერვატორები და ლიბერალები თავდაუზოგავად იკამათებენ.

— ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებამდე უმრავლესობის წევრებს სამეგრელოში აღმოჩენილი წამების ამსახველი ჩანაწერების ნაწილი გააცნეს. რაში სჭირდება მმართველ გუნდს მსგავსი პრივატული ჩვენებები?

— ეს ფაქტი ფეოდალური დემოკრატიის გამოვლინებაა. ვიღაცამ მაღლა, ყოველგვარი კანონდარღვევით დაადგინა, რომ საზოგადოების ნაწილს კადრების ნახვის უფლება აქვს, მეორე ნაწილმა კი, თურმე ამ ადამიანების მონათხრობი უნდა ისმინოს. ისიც საკითხავია, რატომ აჩვენეს კადრები მედიის წარმომადგენლებს და თავის მხრივ, ჟურნალისტებმა რატომ აიღეს ვალდებულება, რომ ინფორმაციას გარეთ არ გამოიტანდნენ?! თუ არგუმენტი ის არის, რომ მედიამ ნაციონალური მოძრაობის დროს არსებული ვითარება რეალურად უნდა აღიქვას, პროკურორებს, მასწავლებლებს, ექიმებსა და სხვა პროფესიის ადამიანებს რეალობის აღქმა არ სჭირდებათ? ფაქტია, ხელისუფლებამ საზოგადოება ორ ნაწილად დაყო, მაგრამ რადგანაც ინფორმაცია „რჩეულებისთვის“ გაიხსნა, მმართველი გუნდი ვალდებულია, კადრები საზოგადოებასაც აჩვენოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს პროცესი საბჭოთა კავშირში დაგვაბრუნებს, როცა ვიღაცები წყვეტდნენ, ვის უნდა მოესმინა „ამერიკის ხმა“ და ვის უნდა ჩახშობოდა სიხშირე.

— კადრების საჯარო ჩვენება სამოქალაქო დაპირისპირებამდე არ მივა თუ ხელისუფლების მიზანიც თავიდანვე მოქალაქეების ემოციებით მანიპულირება იყო?

> **— სამოქალაქო დაპირისპირებამდე ელიტური ნაწილის ხელოვნურად შექმნა მიგვიყვანს. პირადად მე, სულაც არ მაინტერესებს მსგავსი კადრები, მაგრამ თუ ვიღაცებს აჩვენე, ჩემ ტელევიზორშიც უნდა გაუშვა! არ მესმის, რატომ უნდა იყოს ხელისუფლებაში ვიღაც ისეთი ტიპი, რომელიც თავს უფლებას მისცემს, ყველაფერი ერთპიროვნულად განსაზღვროს.**

გერმანიაში, შუა ევროპაში, ბევრად მძიმე ვითარება იყო, მაგრამ საზოგადოებას ყოველდღე აყურებინებდნენ ნაციზმის სისასტიკეს, რასაც ქაოსი სულაც არ მოყოლია. გამართლებული იქნებოდა, კადრები ჟურნალისტებისთვის გადაეცათ და შემდეგ მედიას გადაეწყვიტა, უნდა ეჩვენებინათ თუ არა საზოგადოებისთვის. თუმცა, ალბათ, ეს მხოლოდ „ტრიუკი“ იყო იმისათვის, რომ საზოგადოებაში კადრების მიმართ ინტერესი გაეზარდათ.

— ფონი შექმნილია, საზოგადოებაში ინტერესიც გაიზარდა და ახლა ხელისუფლება კადრებს ტელევიზიით გაავრცელებს?

— დიახ, კადრებს გასავრცელებლად ჟურნალისტებს მალე გადასცემენ და, ჩემი აზრით, ეს სწორი გადაწყვეტილება იქნება, რადგან უკვე საკმაოდ ცუდი პროცესი დაიწყო. ნახევრადნათქვამმა სიმართლემ მეტი უბედურება მოიტანა.

— კუდ-ის ყოფილი თანამშრომელი თემურ კენკებაშვილი, რომელიც მსგავს ინფორმაციებს ავრცელებს, ამ საქმეში ხელისუფლებამ ჩართო ?

— არა, ეს ყველაფერი უტვინობისგან მოდის და რომელიღაც ძალა კენკებაშვილის პირით ადამიანებს აშანტაჟებს. ხელისუფლებამ საზოგადოების დაყოფითა და ვითომ მასალების პრივატულობით ნიადაგი მოამზადა, საზოგადოებაში ჭორაობა დაწყებულიყო — ვინ რას აკეთებდა ლოგინში. ამ დროს რა უნდა გააკეთოს ჭორაობის ობიექტმა, საქართველოში ბევრი პოლიტიკოსი ქალი გვყავს, რომ ვერ მივხვდეთ კენკებაშვილი ვისზე საუბრობდა? ინტიმური ცხოვრება ყველა ადამიანს აქვს, მაგრამ რატომ გახდა ეს სალაპარაკო თემა, გაუგებარია. პოლიტიკოსებთან ერთად, კენკებაშვილის პირით მედიის წარმომადგენლებიც დააშანტაჟეს, ჟურნალისტებო, თუ ჭკუით არ იქნებით, ხვალ „იუთუბზე“ პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს გამოგიქვეყნებთო.

— პირდაპირ მაინც არ მპასუხობთ, ხელისუფლებას რაში აწყობდა მსგავსი ქაოსი ან რატომ იქნება ამ პროცესის პრევენცია, თუნდაც წამების ამსახველი კადრების საჯარო ჩვენება — იმ ადამიანების უფლებებზე არ უნდა ვიფიქროთ, რომლებიც კადრებში ჩანან?

— კონკრეტულად, არაფრის მტკიცება შემიძლია, მაგრამ თუ მსგავსი განუკითხაობა ხელისუფლებას არ აწყობდა, მაშინ საქმეები ბოლომდე უნდა გაიხსნას და გასაჯაროვდეს ის მასალები, რასაც პრივატულად აჩვენებენ. მხოლოდ ასე თუ დასრულდება პოლიტიკური სპეკულაციები! მესმის, ეს მძიმე გადაწყვეტილებაა, მაგრამ ეს პროცესი ევროპამ უკვე გაიარა და მხოლოდ ამის შემდეგ დაადგა განვითარების გზას. დროა, რეალობას ჩვენც გავუსწოროთ თვალი!

ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

ჟერარ დეპარდიე ოკუპირებულ აფხაზეთში იმყოფებოდა

ცნობილი ფრანგი მსახიობი, ჟერარ დეპარდიე ოკუპირებულ აფხაზეთში იმყოფებოდა. დეპარდიე მარიონეტული რეჟიმის ე.წ. პრეზიდენტმა, ალექსანდრე ანქვაბმა მიიღო. აფხაზური მედიის ცნობით, „პრეზიდენტმა“ შეხვედრისას აღნიშნა, რომ კარგად იცნობს ფრანგულ კინოს და ცნობილი ფრანგი მსახიობების შემოქმედებას, მათ შორის არის ჟერერ დეპარდიე.

თავის მხრივ, ჟერარ დეპარდიემ აღნიშნა, რომ მას სმენია აფხაზეთის ომის შესახებ, ხოლო აფხაზეთის შესახებ პირველად სანკტ-პეტერბურგში, წლების წინ, აფხაზეთის მაშინდელ პრეზიდენტთან, სერგეი ბაღაფშთან შეხვედრისას გაიგო.

დეპარდიემ აფხაზეთის ბუნების უნიკალურობას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ აქ ტურიზმის განვითარების დიდი შესაძლებლობებია.

ანქვაბმა ასეთი დონის მსახიობის სტუმრობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. **„ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ საფრანგეთს, თქვენ კი ძალიან ცუდად გვიცნობთ. იმისათვის, რომ საფრანგეთმა აფხაზეთი გაიცნოს, მნიშვნელოვანია თქვენი აქ სტუმრობა“,** — განაცხადა ანქვაბმა შეხვედრაზე.

მან დეპარდიეს საჩუქრად მონეტები გადასცა, რომელზეც აფხაზეთის ეკლესიებია გამოსახული.

ე.წ. პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ, ჟერარ დეპარდიემ სოხუმის ქუჩებში გაისეირნა და მოსახლეობას გაესაუბრა.

„ინტერპრესნიუსი“

საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 18 წლამდე ონკოპაციენტების მკურნალობა 100%-ით დაფინანსდება

რომელ დაავადებებსა და რა სახის სამედიცინო მომსახურებას დააფინანსებს სახელმწიფო სრულად?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

2013 წლის 1 ივლისიდან, საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის მეორე ეტაპი დაიწყო. სახელმწიფო პროგრამის მასშტაბები გაიზარდა, რაც ამბულატორიაში ოჯახის ექიმის მომსახურებას, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევების, ასევე გეგმური ოპერაციების ფართო სპექტრის დაფინანსებას ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო 18 წლამდე ასაკის ონკოლოგიურ პაციენტებს მკურნალობის ხარჯებს 100%-ით, ზრდასრულებს კი — 80%-ით დაუფინანსებს. ამავე პროგრამის მიხედვით, 500 ლარითაა გათვალისწინებული მშობიარეთა დაფინანსებაც. მთლიანობაში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში, საქართველოს 2 500 000 მოქალაქე ჩაერთვება.

2013 წლის 1 ივლისიდან ანაზღაურდება ამბულატორული მომსახურება, მათ შორის, ოჯახის ან უბნის ექიმისა და ექთნის მომსახურება, საჭიროების შემთხვევაში კი მათი მომსახურება ბინაზე. რაც შეეხება ექიმ-სპეციალისტების მომსახურებას ოჯახის ან უბნის ექიმის დანიშნულებით, 70%-ით ანაზღაურდება. უფრო კონკრეტულად, ამ ჩამონათვალში შედის ენდოკრინოლოგის, ოფთალმოლოგის, კარდიოლოგის, ნევროლოგის, გინეკოლოგის, ოტოლარინგოლოგისა და უროლოგის მომსახურება.

საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სრულად ანაზღაურდება ექიმის დანიშნულებით გამოკვლევები, მათ შორის: სისხლის საერთო ანალიზი, შარდის საერთო ანალიზი, გლუკოზა პერიფერიულ სისხლში, კრეატინინი, ქოლესტერინი სისხლში, შრატში ლიპიდების განსაზღვრა, განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე, პროთრომბინის დროს (INR), ეკგ. ამ ანალიზებიდან 70%-ით ანაზღაურდება ღვიძლის ფუნქციური სინჯები — ALT და AST, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური სინჯი — TSH, მუცლის ღრუს ექოსკოპია და გულმკერდის რენტგენოსკოპია/რენტგენოგრაფია.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სრულად ანაზღაურდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სტატუსის მისანიჭებლად საჭირო გამოკვლევები, გარდა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევებისა. უფასოდ გაიცემა ყველა სახის სამედიცინო ცნობა, დასკვნა და რეცეპტი, გარდა სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებული, ავტომობილების მართვის მოწმობისა და იარაღის შეძენის ნებართვის მისაღებად წარსადგენი ცნობები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

რაც შეეხება გადაუდებელ ამბულატორიულ და სტაციონარულ მომსახურებას, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სრულად ანაზღაურდება გადაუდებელი ამბულატორული მომსახურება. გადაუდებელ სტაციონარულ მომსახურებაზე კი ლიმიტი 15 000 ლარია. სტაციონარულ მომსახურებაში სრულად ანაზღაურდება ინტენსიური თერაპია და კრიტიკული მდგომარეობების მართვა, ასევე 450-ზე მეტი გადაუდებელი მდგომარეობა განსაზღვრული ნუსხის შესაბამისად, როდესაც დაუყოვნებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის გარეშე, რამდენიმე საათში მოსალოდნელია პაციენტის სიკვდილი, უნარშეზღუდულობა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება.

70%-ით დაფინანსდება ყველა სახის გადაუდებელი და სასწრაფო მდგომარეობის მართვა. გეგმური ქირურგიული ოპერაციები, მათ შორის, დღის სტაციონარი და მათთან დაკავშირებული ყველა გამოკვლევის წლიური ლიმიტი 15 000 ლარით განისაზღვრა და 70%-ით დაფინანსდება. სრულად კი მხოლოდ 18 წლამდე ასაკის მოსარგებლეებისთვის ანაზღაურდება კარდიოქირურგიული და ონკოლოგიური ოპერაციები და მათთან დაკავშირებული გამოკვლევები.

საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ონკოლოგია 80%-ით დაფინანსდება სრულწლოვანებში, ხოლო 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის კი სრულად ანაზღაურდება. ჩამონათვალში შედის ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია და სხივური თერაპია. წლიური ლიმიტი კი 12 000 ლარით განისაზღვრა.

სახელმწიფო პროგრამის მიხედვით, მშობიარობა ანაზღაურდება სრულად, აქედან ფიზიოლოგიური მშობიარობის ლიმიტი 500 ლარით, ხოლო საკეისრო კვეთის ლიმიტი — 800 ლარით განისაზღვრა.

საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არ ანაზღაურდება შესაბამისი წლის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვიმმართველი ერთეულების ბიუჯეტებით დაფინანსებული ჯანდაცვითი პროგრამული მომსახურეობები; თერაპიული პროფილის გეგმური ჰოსპიტალური მომსახურება, სამედიცინო ჩვენებისა და ექიმის დანიშნულების გარეშე მკურნალობა და თვითმკურნალობა; საზღვარგარეთ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები; სანატორიულ-კურორტული მკურნალობა; ესთეტიკური ქირურგია, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობა; სექსუალური დარღვევებისა და უშვილობის მკურნალობის ხარჯები; ვირუსული ჰეპატიტის სპეციფიკურ ანტივირუსულ მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები; ისეთი შემთხვევები, როდესაც სამედიცინო მომსახურების საჭიროება დადგება თვითდაშავების, ტერორისტულ ან კრიმინალურ აქტებში მონაწილეობის, ან არალეგალურად მოხმარებული ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად, გარდა გადაუდებელი სტაციონარული ან ამბულატორული მომსახურების შემთხვევებისა; ორგანოთა ტრანსპლანტაციის, აგრეთვე ეგზოპროთეზირებისა და ორთოპედიული ენდოპროთეზირების, ტრავმების გარდა, ასევე დეფიბრილატორით, ან გულის რესინოქრონიზაციული თერაპიის აპარატით აღჭურვილი იმპლანტირეადი რითმის ხელოვნური წარმმართველისა და წამლით დაფარული ხარჯები; პოზიტრონულ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია PET/CT; თვალის რეფრაქციული ქირურგია, სიელმის ქირურგიული მკურნალობა, თვალის ლაზერული ქირურგია (დიაბეტური თვალის გარდა) და ასევე რქოვანას გადანერგვა.

საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით ფარგლებში, გეგმიური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად, მოსარგებლეს შეუძლია დარეგისტრირდეს სურვილისამებრ შერჩეული მომსახურების მიმწოდებელ ნებისმიერ დაწესებულებაში. ამასთან, რეგისტრაციის შეცვლა შესაძლებელია, ორ თვეში ერთხელ; გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მისაღებად, სამედიცინო დაწესებულების არჩევისას, რაიმე ტიპის შეზღუდვა არ არსებობს; გეგმური ქირურგიული და ონკოლოგიური მომსახურების მისაღებად, მოსარგებლემ უნდა მიმართოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (სსიპ) „სოციალური მომსახურების სააგენტოს“, რათა მატერიალიზებული ვაუჩერი/საგარანტიო წერილი მიიღოს.

ბავშვებში ნაწლავურმა ინფექციებმა მოიმატა — ექიმების რჩევები მშობლებს!

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

ორიოდე დღის წინ, „ვერსიისთვის“ ცნობილი გახდა, რომ თბილისში, ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოს პაციენტთა დიდი ნაკადი მიაწყდა და ამის მიზეზი ნაწლავური ინფექციის მასობრივი გავრცელებაა. ინფორმაციის გადასამოწმებლად ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს ადმინისტრაციისა და სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობის მენეჯერ-ექიმს რუსუდან გაჩეჩილაძეს ვესაუბრეთ.

— ინფექციური პათოლოგიების თავისებურება სეზონურობაა, ამიტომაც ცალკეულ სეზონზე გარკვეული დაავადებების რაოდენობა იმატებს. ზაფხულში ძირითადად სახეზეა ნაწლავთა ვირუსული ან ბაქტერიული ინფექციები, რასაც განაპირობებს ცხელი კლიმატი, კვების რეჟიმისა და ჰიგიენური პირობების დარღვევა. ჩვენ მიღებულ კონტინგენტს დიფერენცირებას ვუკეთებთ დაავადების გავრცელების მიხედვით ასაკობრივ ასპექტში. მაგალითად, ძუძუთი კვებაზე მყოფი ბავშვისთვის, რომელიც შემოდის ნაწლავთა ბაქტერიული ინფექციით, ეს დაკავშირებულია მომვლელის-დედის ჰიგიენური პირობების დარღვევასთან. სულ სხვა მიმდინარეობა აქვს 3 წლის ბავშვს, რომელსაც შეუძლია, უცებ აიღოს რაღაც და დაბინძურებული საკვები მიიღოს, ამიტომაც ვურჩევდი ყველას, ძალიან მკაცრად გააკონტროლონ ჰიგიენური პირობები და დაიცვან სისუფთავე. ამ ინფექციების ძირითადი პრევენციაა ჭამამდე ხელების დაბანა, საკვებზე ვარგისიანობის ვადის განსაზღვრა, ასევე ხილ-ბოსტნეულის გარეცხვა და მისი შენახვა-რეალიზაციის პირობების დაცვა. ამ პედიოდში მატულობს ნაწლავთა ბაქტერიული ინფექციები და, შესაძლოა, გავრცელდეს დეზინტერიის თითქმის ყველა ფორმა. ეს კი პირდაპირ კავშირშია წყალთან, გაფუჭებულ საკვებთან ანდა ის ადამიანი, ვინც ბავშვს უვლის, შესაძლოა, აღმოჩნდნენ დეზინტერიის ბაქტერიის ქრონიკული მატარებლები და ეს დაავადება ბავშვზე ან კონტაქტური გზით ან ჰიგიენური პირობების დარღვევით გადავიდეს. წესით, 1 წლამდე ასაკის, ძუძუთკვებაზე მყოფი ბავშვი ნაწლავთა ბაქტერიული ინფექციებით არ უნდა ავადდებოდეს.

— საავადმყოფოში რამდენი პაციენტია უკვე შემოსული?

— წელს სულ შემოვიდა 2340 ბავშვი. ზაფხულის თვეებში 400-500 პაციენტი შემოდის. ველოდებით ნაწლავთა ბაქტერიული ინფექციების მატებს. ამ დაავადებების პრევენციაა ჰიგიენური პირობების მკაცრი დაცვა — ბავშვის საკვები იდეალურ პირობებში უნდა იყოს, არ შევეხოთ 1 წლამდე ასაკის ბავშვს, თუ ჰიგიენურად არ ვართ მოწესრიგებულნი, თუ არ გვაქვს ხელი საგანგებოდ დამუშავებული. თუ ბავშვი ხელოვნურ კვებაზეა, საკვების ვარგისიანობა უნდა მკაცრად დავიცვათ.

— რა სიმპტომები ახასიათებს ნაწლავურ ინფექციებს?

— ყველა ნაწლავური ინფექცია მიმდინარეობს ინტოქსიკაციის ნიშნების გამოვლინებით: მაღალი ტემპერატურა, ღებინება და ენტერალური მოვლენების გახშირება ე.წ. ნაწლავთა აშლილობა. ეს არის ის ძირითადი სიმპტომები, რაზეც მშობელმა და ექიმმა ყურადღება უნდა გაამახვილოს. არის ნაწლავური ინფექციები, რომელიც ენტერალური მოვლენებით იწყება და მაღალი ტემპერატურა პაციენტს მერე ეწყება.

ინფექციური დაავადების პათოლოგიის მართვა არის ის, რომ დროულად უნდა მოხდეს სამედიცინო ჩარევა. აქ საქმე გვაქვს სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანი ნაწილების კარგვასთან. რაც უფრო პატარაა ასაკი, უფრო მტკივნეულია ეს ორგანიზმისთვის, ამიტომ ყველა მშობელს ვურჩევდი, როგორც კი ეს სიმპტომები იქნება, მაშინვე მიმართონ ექიმს. არ არის სავალდებულო, 10-12-ჯერ აღებინოს და მერე მიიყვანოს ექიმთან. შეიძლება უბნის პედიატრთან გაიაროს კონსულტაცია, თუმცა დაავადების მართვა ინფექციონისტებმა უნდა გადაწყვიტონ. ჩვენ გვაქვს 24-საათიანი ლაბორატორია. კონსულტაცია ტელეფონითაც შეიძლება.

— გართულების შემთხვევაში, რა შეიძლება მოხდეს?

— ჯერ აღგზნების ფაზა ვითარდება, მერე — დათრგუნვის. დათრგუნვის ფაზაში დაავადების მართვა ცოტა რთულია. ამ დროს ორგანიზმის სასიცოცხლო ობიექტები თანდათან იწყებენ უარს დაავადების ლოკალიზებაზე და, აქედან გამომდინარე, მართვა უფრო რთულდება. ამას ემატება, ისიც რომ კლიმატური პირობები არც თუ ისე სახარბიელოა. ცხელა და ისედაც ბევრ სითხეს კარგავს ორგანიზმი, ამიტომ ამან შეიძლება ტრაგიკული გამოსავალი მოგვცეს.

— სტატისტიკურად შემთხვევები, გასულ წელთან შედარებით, მომატებულია?

— მომატებულია, დაახლოებით 50%-ით, რაც წლევანდელი სიცხეებითაა გამოწვეული.

მედია-ქარვასერი ობიექტივი FM 105.0 www.obieqtivi.net

ობიექტური ვერსია

იპოვეთ თქვენი www.versia.ge ვერსია

რატომ იცოდა ერთი თვის წინ კოკი იონათამიშვილის გადადგომა ჯაბა სამუშიამ და რა დარტყმას ამზადებს გიგი უგულავას წინააღმდეგ

ნინო კომახიძე
599-95-33-16

გაზეთ „ვერსიისა“ და ტელე-რადიო ობიექტივის ერთობლივი პროექტის, „ვერსიის საათის“ სტუმარი დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური რესპოდენტი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ჯაბა სამუშია გახლდათ. „ოცნების“ რიგებში გადასული პოლიტიკოსი ნაციონალებიდან კოკი იონათამიშვილის წასვლასა და მმართველი უმრავლესობის დაშლას აფასებს, ექსკლუზიურად „ვერსიისთვის“ გიგი უგულავას წინააღმდეგ მომზადებულ ინიციატივას აჟღერებს და საკრებულოს ნაციონალი თავმჯდომარის, ზაალ სამადაშვილის გადაყენების იდეაზეც ღიად საუბრობს.

— 2004 წლიდან 2008 წლის ჩათვლით, თვითმმართველობის შესახებ კანონში ყველა ის მუხლი, რომლითაც მერიასა და საკრებულოს შორის ბალანსი იყო დაცული, გიგი უგულავამ გააუქმა და ფაქტობრივად, შეუზღუდავი ძალაუფლების მონარქად მოგვევლინა. საკრებულოს კი, შირმად, რაღაც უფლებამოსილებები დაუტოვეს, ამიტომ ახლა ექსკლუზიურად თქვენთან ვაანონსებ:

ვიდრე თვითმმართველობის მთელი სისტემა შეიცვლება, მანამდე ყველა ის უფლება, რაც საკრებულოს, ვითომ თავისი ნებით, მერიისთვის აქვს დელეგირებული, უკან უნდა დავიბრუნოთ! შესაბამისად, ყველა ის გადაწყვეტილება, მათ შორის, დაცვის სპეციალური სამსახურის შექმნა და ა.შ. რასაც ქალაქის მერი უკანონოდ იღებდა, უნდა გაუქმდეს!

— საინტერესოა, ამას რა სამართლებრივი მექანიზმებით აპირებთ?

— საკრებულომ, მთელი რიგი გადაწყვეტილებებით, შეუზღუდავი უფლებები ქალაქის მერიას გადასცა. მათ შორისაა თუნდაც ტენდერები, ქალაქის საზღვრების კორექტირების თემა და ა.შ. ჩვენ საკრებულოს მიერ დელეგირებული უფლებები უკან უნდა დავიბრუნოთ, რაც, ფაქტობრივად, ქალაქისთვის საკრებულოს დაბრუნებას ნიშნავს! მე ამ საკითხს ინტერფრაქციულ შეკრებაზე დავაყენებ, მომზადდება კონკრეტული დოკუმენტი და საკრებულოს ივლისის თვის სხდომაზე ინიციატივასაც გავიტან ამ თემაზე. ამ საკითხის გასვლის შემთხვევაში, თბილისელებს ნელ-ნელა რეალური საკრებულო დაუბრუნდება და არა ისეთი, როგორიც 2011 წელს გვქონდა! ვიცი, გიგი უგულავა ბოლომდე იბრძოლებს, მაგრამ მას უკან კანონი დაახევინებს! თორემ თუ მერია-საკრებულოს შორის ეს ურთიერთობა დარჩა, დამერწმუნეთ, 1014 წელს ახალ უგულავას მივიღებთ, სხვა გვარ-სახელით!

— მანამდე თქვენი, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის შეფასებაა საინტერესო სწორედ მერია-საკრებულოს 23 თანამშრომლის დაჭერა-დაკითხვების სერიაზე?

— ფორმას რაც შეეხება, ამაზე სასამართლომაც განაცხადა, რომ დილის დაკავებებმა პროცედურული დარღვევებით ჩაიარა. ეს თემა ნამდვილად გადასახედია, თუმცა რაც შეეხება შინაარსს — დაკავებულთა შორის ჩემი რამდენიმე კოლეგაა და მათ, ადამიანურად, ვუთანაგრძნობ, მაგრამ კითხვები არსებობს და მათ პასუხი უნდა გაეცეს. რაც შეეხება ფაქტს, ეს განცხადება მე ჯერ კიდევ 2010 წელს, ნოემბრის სხდომაზე გავაკეთე: ჩვენ აქ ვიღებთ არა თბილისის, არამედ ნაციონალური მოძრაობის ბიუჯეტს-მეთქი და დღეს ნაციონალებს ზუსტად ამაზე ედავებიან! ჩემი აზრით, აქ ნიურბერგის პროცესისმაგვარია საჭირო: უნდა გავასამართლოთ ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელობა — ის, ვინც ბრძანებას გასცემდა და ამ სქემებს ქმნიდა. იმ ოთხი დაკავებულიდან, ვისაც ამ წუთას, 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული, ორს, ბატონ ავალიანსა და ჩხეიძეს ახლოს ვიცნობ, მაგრამ ის, რა სქემებზეცაა საუბარი, მათ დონეზე არც შექმნილა და არც გადაწყვეტილა. მარტივ შედარებას გავაკეთებ — როცა გუდაური თბილისს შემოუერთეს, იქ ახალი მშენებლობები უნდა დაწყებულიყო. ის მშენებლები, ვისაც გუდაურში სასტუმროს აშენება დაევალა, ჩემთან საუბრისას ადასტურებდნენ, რომ ისინი ზურაბ ადეიშვილს ხვდებოდნენ, რომელიც ამ საკითხს პირადად კურირებდა.

— ანუ ადასტურებთ, რომ გამოძიება არაპირდაპირ გადის პირველ არჩეულ მერზე, გიგი უგულავაზე და უახლოეს მომავალში, მას ან დააპატიმრებენ ან უფლებამოსილებას შეუწყვეტენ?

— მე შემიძლია ამ ანალიზს პოლიტიკური შეფასება მივცე: მერიასთან და მის პოლიტიკურ გუნდთან იმდენი კითხვა არსებობს, გიგი უგულავას ადგილას უკვე გადამდგარი ვიქნებოდი! ეს ქვეყნის ტრაგედიაა, რომ დღეს თბილისის მუნიციპალიტეტს ნაციონალური მოძრაობა მართავს!

— ანდა, ვეღარ მართავს, მინიმუმ, საკრებულოს მაინც — კოკი იონათამიშვილმა ნაციონალური მოძრაობა დატოვა...

— ამ ადამიანებმა სწორი გადაწყვეტილება მიიღეს და დამნაშავე რეჟიმს გაემიჯნენ!

ყველაზე კარგად სწორედ კოკი იონათამიშვილს ვიცნობ და ყველაზე მეტადაც მისგან მიკვირდახოლმე, ამ გადაწყვეტილებას რომ არ იღებდა. მისი ბოლო პოზიცია ამა თუ იმ თემაზე, ნაციონალებისგან მკვეთრად განსხვავდებოდა. ეს დამოკიდებულება მან პირადად ჩემთან საუბარშიც დააფიქსირა დაახლოებით ერთი თვის წინ და მას გამოკვეთილი პოზიცია საკრებულოს ბოლო სხდომაზეც ჰქონდა.

— საკრებულოს ბოლო სხდომაზე, ისე, რომ იონათამიშვილი დარბაზში არ იყო, უმრავლესობის ლიდერის ნაცვლად, ხმა ვიღაც სხვამ მისცა — ამას პარლამენტში „ოცნების“ დეპუტატებიც აკეთებენ და სამარცხვინოა, სხვის ღილაკზე თითის დაჭერას როგორ ვერ გადავეჩვიეთ?!

— სხვათა შორის, კოკიმ პირადადაც აღიარა ნაციონალების წინაშე, რომ საკონკურსო-სააატესტაციო კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცებისთვის ხმა არ მიუცია და ეს საკითხი ჩავარდა! მან ეს თავად უთხრა თავის კოლეგებს, რომლებიც ავადმყოფურად მოითხოვდნენ ამ მეათეხარისხოვანი წესის გატანას. სამწუხაროდ, კოკის ნაცვლად ხმა ვინ მისცა, არ ვიცი. არც ის ვიცი, „ოცნებიდან“ პარლამენტში ამას ვინ აკეთებს, მაგრამ ეს დანაშაულია და პასუხი ყველამ უნდა აგოს! აქვე, მინდა აღვნიშნო, რომ შესაძლოა, რაღაც კრიტიკული კითხვები საკრებულოს ზოგიერთი წევრის, თუნდაც ნიკო ხაჩირიშვილის მიმართ არსებობს, მაგრამ ეს ადამიანი დღეს ჩვენთან არის!

— ხაჩირიშვილი ის კაცია, ვინც წლებია, ნაციონალებთან ერთად მოდის და დღეს აცხადებს, რომ თურმე ნაციონალები სისტემურ დანაშაულს ჩადიოდნენ! იონათამიშვილი კი, თუ ერთი თვის წინ ფიქრობდა გუნდიდან წასვლაზე, გაუგებარია, ზუსტად ერთი თვის წინ, რატომ დასთანხმდა საკრებულოში ნაციონალური უმრავლესობის თავმჯდომარეობას?

— გულწრფელად გეუბნებით, მე მახსოვს ამ ადამიანების პოზიცია 2011-2012 წლებში. ისინი პრივატულ საუბრებში ყოველთვის კრიტიკულნი იყვნენ საკუთარი გუნდისა და საკრებულოში მიმდინარე მოვლენების მიმართ. სენტიმენტებში არ ჩამითვალოთ, სრულიად გულწრფელად ვამბობ: როცა საკრებულოს წევრებს სამეგრელოში აღმოჩენილი კადრები გვიჩვენეს, მე დავინახე ნიკოს თვალები — ადამიანი ცუდად გახდა! ამ ადამიანებს, რაღაც ეტაპზე, გულწრფელად სჯეროდათ, რომ კარგ საქმეს აკეთებდნენ, თუმცა ბოლო დროს საკრებულოში მიღებულ ბევრ გადაწყვეტილებას ნამდვილად კრიტიკულად აფასებდნენ.

— ამას უკვე მეორედ ამბობთ — სად ჩანდა ეს დამოკიდებულება შედეგებში?!

— ისინი ჯერ კიდევ არჩევნებამდე, სადღაც, სექტემბრის დასაწყისში ამბობდნენ, რომ მათი გუნდი არჩევნებს საკუთარი შეცდომების გამო წააგებდა. გეუბნებით, მე ვიცი მათი პოზიციები — ისინი მაქსიმალურად ცდილობდნენ ამ გუნდისგან გამიჯვნას!

— აქამდე საკრებულოში ბალანსი ნაციონალების სასარგებლოდ, 24/23-ზე იყო, ახლა პირიქითაა — პირდაპირ გეკითხებით, აპირებთ თუ არა საკრებულოს ნაციონალ თავმჯდომარეს, ზაალ სამადაშვილს უნდობლობა გამოუცხადოთ?

ზაალ სამადაშვილისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხი თავისთავად დადგება უახლოეს სხდომაზე — ახალი რეალობა ახალ პოლიტიკურ კონიუნქტურას ითხოვს! ახლა უნდა შეგროვდეს 17 კაცის ხელმოწერა, შემდეგ საკითხი შევა დღის წესრიგში და შემდეგ კენჭისყრა ჩატარდება!

დღეს საკრებულოს ჰყავს თავმჯდომარე, რომელმაც საოცარი რამ გააკეთა: პირველად, თბილისის ისტორიაში, მან საკუთარი გადადგომა გაითამაშა! თავად დააყენა საკუთარი გადადგომის საკითხი, მერე ისევ ნაციონალებმა ჩააგდეს ეს თემა და ამით 3 თვე კიდევ გაიხანგრძლივეს. თუ შენ საკუთარ თავს პატივს სცემ, ასეთი რამ არ უნდა გააკეთო, ამიტომ თავმოყვარე პოლიტიკოსი მის ადგილას თავადვე გადადგებოდა.

— გადაყენების გადაწყვეტილებას უმრავლესობა სჭირდება, რომელიც აღარ აქვს ნაციონალურ მოძრაობას. არის თუ არა სამადაშვილის გადასაყენებლად 24 კაცი საკმარისი და გაქვთ თუ არა ამ 24-კაციანი ეკლექტური ჯგუფის იმედი?

— რა თქმა უნდა, ამ პროცედურისთვის 24 ხმა საკმარისია! ჩვენ საკრებულოში შევქმენით ინტერფრაქციული ჯგუფი, რომლის ფარგლებში ვსხედვართ და ვმსჯელობთ, რა გადაწყვეტილება იქნება უკეთესი. საკუთრივ „ოცნებას“ ახლა 20-მდე წევრი ჰყავს და ეს თუნდაც დღის წესრიგში საკითხის შეტანისთვის იქნება საკმარისი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ახლა უკვე იმდენი ვართ, უგულავა საკრებულოში ყოვლად უაზრო, ფარატინა ფურცელზე დაბეჭდილ გადაწყვეტილებებს ვეღარ შემოიტანს და ცოტა მეტად დაფიქრდება და გაირჯება მერიაში, სანამ რამეს გააკეთებს!

— როცა ქრისტიან-დემოკრატები დატოვეთ და „ოცნებაში“ გადახვედით, თურმე დავით საგანელიძესთან შეთანხმება გქონიათ, რომ საკრებულოს ახალი თავმჯდომარე უნდა გამხდარიყავით — იყო თუ არა ეს შეთავაზება და დააყენებთ თუ არა ამას დღის წესრიგში?

— ასეთი შეთანხმება ჩემსა და კოალიციის ერთ-ერთ ლიდერ, დავით საგანელიძეს შორის არ ყოფილა! ამ თემამ ერთადერთხელ გაიჟღერა, ისიც ერთ ბრიფინგზე, როცა ჩემმა კოლეგამ საკრებულოს თავმჯდომარეთა სავარაუდო სია გააჟღერა. მე კი ვთქვი, რომ საკრებულოს თავმჯდომარეობისთვის არასდროს მიბრძოლია და არც ახლა ვიბრძოლებ. მეტიც, ახლა სადაც მე ვარ, იქიდანაც მშვენივრად შემიძლია ბევრი კარგი საქმის კეთება. თუმცა, თუ ჩემი კოლეგები გადაწყვეტენ მე დამასახელონ, ამ შემოთავაზებას მივიღებ!

ვერსიანიუსი

პატიმრების ინფორმაციით, ქალთა №5 დაწესებულებაში პატიმრებმა შიმშილობა დაიწყეს

რუსთავის ქალთა №5 დაწესებულებაში პატიმარმა ქალებმა, სასჯელის განახევრების მოთხოვნით, შიმშილობა დაიწყეს, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ერთ-ერთმა პატიმარმა ქალმა, ციცო ინასარიძემ აცნობა. მისი თქმით, პურის მიღებაზე უარი თქვა 182-მა ქალმა მსჯავრდებულმა, 82-მა კი — შიმშილობა დაიწყო. პატიმარი ქალები შეკრებითობის კანონს აპროტესტებენ და დარჩენილი სასჯელის შემსუბუქებას მოითხოვენ.

„ჩვენთან იმყოფებოდა ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გედევან ფოფხაძე, მასაც ვუთხარით, რომ შეკრებითობა შეეხო მძიმე მუხლებს. ჩვენ ვითხოვთ, განაჩენების განახევრებას. ჩვენ ვართ ამნისტიის ნარჩენები. 400 გრამი და ნახევარი კილოგრამი ნარკოტიკებისთვის გასამართლებულები გარეთ გაუშვეს და ისინი დარჩნენ, ვინც პროკურატურას აწყობდა. ამდენი ხალხი გათავისუფლდა და 260-ე მუხლით 38 ადამიანი დატოვეს პატიმრობაში. გედევან ფოფხაძემ აღნიშნა, რომ ამნისტიის კანონზე მუშაობისას, სიჩქარეში ბევრი შეცდომები დავუშვითო. დაგვპირდა ცვლილებებს შევიმუშავებთ და დადებითი პასუხით მოვალთო, მაგრამ, ჯერჯერობით, არაფერი არაა შემუშავებული“, — განაცხადა ციცო ინასარიძემ.

პატიმრები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ეკა ბესელიას, თინა ხიდაშელისა და გედევან ფოფხაძის შესვლას ითხოვენ.

„ინტერპრესნიუსი“

აშშ-ს დაზვერვის საიდუმლო კვლევის შედეგები

დავით დევიძე
593-219-042

წინააღმდეგობის მოძრაობა „იბერია“ მიიჩნევს, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, დასავლეთის კრიტიკული ტონი მნიშვნელოვნად შერბილდება. ამას რამდენიმე სერიოზული მიზეზი აქვს. მათ შორის მთავარი ის არის, რომ ამერიკა კავკასიაში აბსოლუტური კრახის წინაშე აღმოჩნდა, რაც საბოლოოდ, ცუდად იმოქმედებს მის გეოპოლიტიკურ ინტერესებზე. ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად, ჩვენმა ყველაზე დიდმა მოკავშირემ გარკვეული ზომები მიიღო, რაზეც „ვერსიის“ მკითხველს მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვაჟა წიკლაური ესაუბრება.

— ქართული საზოგადოების დიდ ნაწილს აშკარად სამართლიანად აღიზიანებს ის ტონი, რასაც დასავლეთ ევროპისა და ამერიკის პოლიტიკურ წრეებში იყენებენ საქართველოში არსებულ ვითარებაზე საუბრისას. მხედველობაში მაქვს შეშფოთებათა მთელი სერია, რომელიც გამოწვეულია ახალი ხელისუფლების მიერ, ვითომდა ნაციონალური მოძრაობის დევნით. თუმცა ეს ვითარების მხოლოდ ზედაპირული შეფასებაა. მიზეზები უფრო ღრმად უნდა ვეძებოთ. დავიწყოთ იმით, რომ ჩვენ გვაღიზიანებს არა უცხო ქვეყნების ჩარევა ჩვენს საშინაო საქმეებში, არამედ ის, რომ ამ ჩარევით ისინი უსამართლობას უჭერენ მხარს. დიახაც, ხალხი სამართლიანად მიიჩნევს, რომ ნაციონალური მოძრაობა დანაშაულებრივი ორგანიზაციაა და მისი თავკაცები უნდა დაისაჯონ, ხოლო როცა მოკავშირე ქვეყანა გეუბნება, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება, ამას უკვე მივყავართ სერიოზულ კონფლიქტამდე. არადა, საქმე ისაა, რომ აშშ-სა და ევროპას უბრალოდ არ შეეძლო, შეშფოთება არ გამოეხატა.

— წარმოუდგენელია ამერიკელებმა არ იცოდნენ, რომ ასეთი დამოკიდებულება მათ დიდ ზიანს აყენებს.

— ცხადია, იციან, მაგრამ ამერიკა აღმოჩნდა იმ ბავშვის როლში, რომელიც ხვდება, რომ დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ არ სურს მისი აღიარება. ამ შემთხვევაში დანაშაული, უფრო სწორად კი შეცდომა ისაა, რომ მიხეილ სააკაშვილი სუფთა ამერიკული პროექტია, ოღონდ თავისი მანიაკალური გადახრებით, რომლის არსებობა თავის დროზე ვერ გათვალეს და არც შეეძლოთ ამერიკელებს გაეთვალათ. თავიდან მათ სააკაშვილს შეუქმნეს ყველანაირი პირობა, რათა კავკასიის რეგიონში ძლიერი ბლოკ-პოსტი შეექმნათ, მაგრამ სააკაშვილმა, თავისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, ბუტაფორული სახელმწიფოს ჩამოყალიბება ამჯობინა, სადაც ყველაფერი მოჩვენებითია, ანუ სახელმწიფო არ არის სახელმწიფო. შედეგად მივიღეთ ის, რაც დღეს, ფაქტიურად, გვაქვს. ამერიკელებს ისევე, როგორც ევროსაბჭოს ქვეყნებს, არ ეყოთ იმის გამბედაობა, რომ ზურგი შეექციათ თავიანთი ყოფილი პროტეჟესათვის, რადგან მაშინ უნდა ეღიარებინათ, რომ შეცდომა დაუშვეს.

პოლიტიკური თვალსაზრისით კი, შეცდომის აღიარება გამორიცხულია, რადგან ეს შემდეგ სხვა სირთულეებს იწვევს, ამიტომ ამერიკელები შეეცადნენ, სააკაშვილის წასვლა უფრო მსუბუქად მომხდარიყო, რაც პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა გაახმოვანა კიდეც: ნაციონალური მოძრაობა უფსკრულში იჩეხება, მაგრამ პარაშუტები უნდა შევაშველოთო. მთლიანობაში, ამერიკელთა შეშფოთება იმას არ ნიშნავს, რომ ისინი დღევანდელი მმართველი გუნდის წინააღმდეგ არიან და ნაციონალური მოძრაობის რეაბილიტაციას ცდილობენ. უბრალოდ, უნდოდათ, რომ სააკაშვილი ისე მიემალათ, მათ შეცდომებზე არავის ესაუბრა, მაგრამ ახლა მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა.

— მაინც რა და როგორ შეიცვალა?

— თუნდაც ფირების აღმოჩენის გამო, „პარაშუტების“ შეშველების ამბავი აღარ გამოვა, რადგან არსებობს ნივთმტკიცებულება დანაშაულის თაობაზე, რაც სამართლებრივ რეაგირებას მოითხოვს. ამ შემთხვევაში, სამართლებრივი მიდგომების გარდა, არსებობს დასავლეთისათვის უფრო მნიშვნელოვანი საკითხი: საქმე ისაა, რომ ბოლო წლებში, მნიშვნელოვნად გაძლიერდა რუსეთის პოზიციები. არადა, გაიხსენეთ, რას საუბრობდნენ ამერიკელი და ევროპელი ექსპერტები სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ, რომ კავკასია, ჩრდილოც და სამხრეთიც, იყო ის დეტონატორი, რომელსაც რუსეთის ეტაპობრივი დაშლა უნდა გამოეწვია. ექსპერტები ამაშიც შეცდნენ. რუსეთმა არა მარტო ჩრდილო კავკასიაში გაიმყარა პოზიციები, სამხრეთიც თავის გავლენის სფეროებში მოაქცია ისე, რომ დასავლელები კვლავ იმ შეშფოთებისამარა არიან და პროტესტის გამოხატვა სხვანაირად არ შეუძლიათ. რუსეთმა ამჯერად გადაწყვიტა, რამდენიმე მილიარდი დოლარის იარაღი მიჰყიდოს აზერბაიჯანს. ამ დროს კი ზერბაიჯანის მოსისხლე მტერი — სომხეთი, რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია. გამოდის, კრემლში აზერბაიჯანისათვის მოიცალეს, რომლის დამოუკიდებლობის დაკარგვა არანაირად არ შედის დასავლეთის ინტერესებში. რა ნაბიჯებს გადადგამს ვაშინგტონი აზერბაიჯანის მხარდასაჭერად, ძნელი სათქმელია, მაგრამ ამასობაში, ამერიკელებმა საქართველოში დააფიქსირეს საინტერესო შემთხვევა, რამაც მათ ჩვენს მიმართ დამოკიდებულების შეცვლა აიძულა.

გვაქვს ინფორმაცია, რომ ამერიკის დაზვერვამ ჩაატარა სპეციალური კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლას. აღმოჩნდა, რომ დასავლეთის მხრიდან ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერა იმდენად გამაღიზიანებელი ყოფილა ჩვენი საზოგადოებისთვის, რომ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნის განვითარებისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელ პარტნიორად განიხილავს არა ამერიკას, არამედ რუსეთს.

მიუხედავად იმისა, რომ ხუთი წლის წინ, რუსი სამხედროები ქართველებს ხოცავდნენ საქართველოში. თანაც მთავარია ის, რომ ეს მზარდი განწყობა აღმოჩნდა ანუ სულ უფრო იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც რუსეთს შესაძლო პარტნიორად განიხილავს და ჩვენს ქვეყნებს შორის ომს უგერგილო პოლიტიკას აბრალებს. როცა ასეთი დასკვნა მიიღეს, გაკეთდა შესაბამისი ანალიზიც — საქართველო კრემლის დიდი გარჯის მიუხედავადაც, შეიძლება აღმოჩნდეს რუსეთის ორბიტაზე, რაც ამერიკის საბოლოო მარცხს ნიშნავს კავკასიაში. სწორედ ამის გამო, დასავლეთმა გადაწყვიტა, შეელიოს ნაციონალურ მოძრაობას, ვიდრე მთლიანი ქვეყანა დაკარგოს. პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს მძიმე დარტყმა იქნება ამერიკისთვის. ანუ რასაც რუსეთს უწინასწარმეტყველებდნენ, შეიძლება პირიქით აუსრულდეთ: გამორიცხული არ არის, საქართველო და კავკასია რუსეთის დაშლის კი არა, გაძლიერების მიზეზად იქცეს.

— ამას ამერიკელები დაუშვებენ?

— რომ არ დაუშვებენ, მეც მაგას ვამბობ.

ჯერ კიდევ ორი კვირის წინ, ნატოში ჩვენი გაწევრიანება უტოპია იყო. დღეს კი აუცილებელია არა ჩვენთვის, არამედ ევროპისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თავის ტერიტორიაზე მიიღებენ პრობლემებს. ამას კარგად აცნობიერებენ, ამიტომაც დააყენეს საქართველოში ეუთო-ს მისიის აღდგენის საკითხი. ნატო-ში მიღების პროცედურებიც დაჩქარდება, უბრალოდ, სხვა გზა არ აქვთ. ჩვენი შიდაპოლიტიკისათვის ეს იმას ნიშნავს, რომ სამართლიანობის აღდგენას ამერიკული თუ ევროპული ორიენტაციის პარტიების შეშფოთების გარეშე გავაგრძელებთ.

— ანუ დაპატიმრებათა სერიალი გაგრძელდება?

— გაგრძელდება და თანაც ისე, რომ ყოფილ პარტნიორებს იმ მაღალჩინოსნების გაწირვაც მოუწევთ, რომლებზეც, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, ხელშეუხებლობის გარანტიის გაცემას ითხოვდნენ. მხედველობაში მყავს უგულავა, ბოკერია და თვითონ სააკაშვილიც. თუმცა, მათ დაპატიმრებამდე ჯერ ქვედა რგოლებში იქნება საქმე გასარკვევი. ეს ვინმეს სურვილი ან ხუმტური კი არ არის, პოლიტიკურმა აუცილებლობამ დააყენა საკითხი ასეთი კუთხით.

ადამიანის უფლებები

„ტელევიზორით სარგებლობის უფლება ყველა პატიმარს უნდა მიეცეს“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

„უფლებადამცველთა გაერთიანება“ მოითხოვს, რომ პატიმრობის კოდექსის მოთხოვნები ყველა პატიმარზე გავრცელდეს და მათ ტელევიზორით სარგებლობის უფლება ჰქონდეთ. ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნიკოლოზ მჟავანაძე აცხადებს, რომ დიდი ხმაურის ატეხვა და ჰამერბერგის საკანში შეყვანა არ უნდა იყოს საჭირო, რომ სასჯელაღსრულების სამინისტრომ ამ მიმართებით თავის პოლიტიკას გადახედოს:

— ნაციონალური მოძრაობა, რატომღაც, ისევ პრივილეგირებული მდგომარეობაშია. მერაბიშვილთან საპატიმროში ჰამერბერგი იყო შესული და ნაციონალებმაც მოითხოვეს, რომ მას ტელევიზორით სარგებლობის უფლება ჰქონოდა. რაც უნდა განსხვავებული დამოკიდებულება გვქონდეს ყოფილი პრემიერის ან სხვის მიმართ, ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რაც კანონით განსაზღვრულია. სტატუსის მიუხედავად, ისინი ადამიანურ პირობებში უნდა ვამყოფოთ.

გვაქვს პატიმრობის შესახებ კოდექსის მე-14 და მე-20 მუხლები. მე-14 მუხლის, პირველი ნაწილის, ბე ქვეპუნქტში ხაზგასმულია, რომ ბრალდებულს-მსჯავრდებულს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია პრესით და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებით, ისარგებლოს მხატვრული და სხვა ლიტერატურით.

ამავე კოდექსის მეოცე მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ ბრალდებულს-მსჯავრდებულს, გარდა სამარტოო საკანში მოთავსებულისა, ეძლევა რადიოს მოსმენის და ტელეტრანსლაციის ნახვის უფლება, სამუშაოსგან თავისუფალ დროს, გარდა ღამის საათებისა; თუ მათი გამოყენება არ არღვევს პატიმრობის თავისუფლების აღკვეთისა და დაწესებულების მოთხოვნებს, სხვა ბრალდებულთა-მსჯავრდებულთა სიმშვიდეს.

ანუ, კანონით შესაძლებელია, რომ პატიმრებს ტელევიზორი მივცეთ. ვანო მერაბიშვილი ჯერ ხელისუფლებაში იყო პრივილეგირებულ მდგომარეობაში და ახლა საკანშიც ასევე გრძელდება. თუ ჩვენ მასთან მიმართებაში ვასრულებთ კანონის მოთხოვნებს, სხვასაც უნდა მივცეთ ამის საშუალება.

კარგად იცით, რომ დღესდღეობით წამება აღარ არის, მაგრამ პატიმრები მაინც მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან. ხშირად შევდივარ საპატიმროებში, როცა ადამიანებს ვიცავ. ისინი უჩივიან არასათანადო სამედიცინო მომსახურებას, გარკვეულ დაავადებებზე მათთან სათანადო სამედიცინო დახმარება არ მიდის. კვების რაციონიც არ არის სახარბიელო.

ამ ფონზე, შესაძლებელია ტელევიზორი მაინც პატრონმა შეიძინოს და პატიმარს შეუტანოს, ამიტომ ეს პროცესი სხვა პატიმრებზეც უნდა გაგრძელდეს.

— რა რეაგირებაა კომპეტენტური ორგანოების მხრიდან თქვენს კანონიერ მოთხოვნაზე?

— განცხადებაზე რეაგირება ჯერ არ არის. ამ დროს, პატიმრების ადამიანურ პირობებში ყოფნას მოვითხოვთ, მეტს არაფერს. წლების განმავლობაში თავისუფლების აღკვეთის ადგილზე მყოფი ადამიანისთვის, ტელევიზორი ერთგვარი განტვირთვის და რეალურ ცხოვრებაში დაბრუნების საშუალებაა. მაგალითად უცხოეთში, მარტო ტელევიზორი კი არა, წინასწარ პატიმრობაში კომპიუტერიც აქვთ. მაინცდამაინც, ადამიანმა დიდი ხმაური უნდა ატეხოს და ჰამერბერგი შეიყვანოს საკანში, რომ მას ტელეხედვით სარგებლობის უფლება მისცენ? ასე არ შეიძლება და სასჯელაღსრულების მინისტრმა ამ მიმართებით თავის პოლიტიკას უნდა გადახედოს.

მესმის, რომ ადრე ციხეები წამების ადგილად იყო ქცეული. დღეს პატიმრებმა ცოტა ამოისუნთქეს. შევდივარ და ვხედავ, რომ გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ პატიმრები ისე არ უნდა აღვიქვათ, რომ კიდევ უფრო მეტად დასასჯელად გვყავს შეყვანილი საპყრობილეებში. ადამიანი უნდა გამოსწორდეს და პიროვნება გამოვიდეს. არ უნდა იყოს კიდევ უფრო გამწარებული, დათრგუნული და გაბოროტებული.

ამიტომ, სახელმწიფომ ყველა პირობა უნდა შექმნას იმისთვის, რომ ადამიანებმა დანაშაული გაიაზრონ და შესაბამისი დასკვნებიც გააკეთონ. ისინი ხომ გამოსასწორებლად შედიან და არა საწამებლად. ისიც ეყოფა, რომ წლების განმავლობაში უნდა იჯდეს და ოთხ კედელს შორის იყოს გამომწყვდეული.

ვინ გააკოტრა ბორის ბერეზოვსკი?

ცნობილ რუს ოლიგარქზე, ბადრი პატარკაციშვილის მეგობარსა და ბოლოს, მის ოჯახთან გადამტერებულ ბორის ბერეზოვსკიზე ვნებები მისი სიკვდილის შემდეგაც არ ცხრება. გთავაზობთ ჟურნალისტურ გამოძიებას, მცირეოდენი შემოკლებით, რომელიც ჟურნალმა „ფორბსმა“ გამოაქვეყნა.

როგორ გაქრა 3 მლრდ დოლარი, რომელიც ბორის ბერეზოვსკიმ და ბადრი პატარკაციშვილმა რუსეთის აქტივებიდან მიიღეს. „ფორბსი“-ს გამოძიება

ფეშენებელური ლონდონური სასტუმრო Four Seasons _ რუსული ემიგრაციის მდიდარი წარმომადგენლების თავშეყრის საყვარელი ადგილი. 22 მარტს ბორის ბერეზოვსკიმ „ფორბსის“ ჟურნალისტს შეხვედრა ზუსტად აქ, სასტუმროს ერთ-ერთ რესტორანში დაუთქვა. ბიზნესმენი მცირედი დაგვიანებით მიბრძანდა — უპალტოოდ, პიჯაკზე შემოხვეული შავი შარფისამარა. **„მოდით, მაგიდა გამოვიცვალოთ“,** — მაშინვე შესთავაზა ბერეზოვსკიმ. შეხვედრა თითქმის ერთი თვე მზადდებოდა. როგორც ბერეზოვსკიმ ახსნა, რომან აბრამოვიჩთან სასამართლოს შემდეგ, ოფიციალურ კომენტარებს აღარავის აძლევს: „წინააღმდეგ შემთხვევაში, ჟურნალისტები შემჭამდნენ“. როცა გაიგო, რომ „ფორბსი“ მის ფინანსურ მდგომარეობას იძიებს, შემცბარმა ოლიგარქმა გამონაკლისი დაუშვა, რათა მისი აზრები სტატიაში მოხვედრილიყო. როგორ? **„თითქოს, თქვენ ეს ჩემგან კი არა — ჩემი მეგობრებისა და ნაცნობებისგან შეიტყვეთ, რომლებმაც რაღაც-რაღაცები იცოდნენ. შეგიძლიათ, მათზე დაყრდნობით, ციტატებიც მისცეთ“,** — განაცხადა ბერეზოვსკიმ. მოგვიანებით ჟურნალისტი მიხვდა, რომ უკანასკნელი იყო, ვინც ბერეზოვსკის შეხვდა. იგი ამის შემდეგ პირდაპირ სახლისკენ წავიდა, საიდანაც მცველი გაუშვა და მარტო დარჩა. დილით ბერეზოვსკი გარდაცვლილი იპოვეს.

ბერეზოვსკისა და „ფორბსის“ ბედი პირველად Four Seasons არ გადაკვეთილა. ჟურნალის პირველი მთავარი რედაქტორი პოლ ხლებნიკოვი, რომელიც 2004 წელს დაიღუპა, ბერეზოვსკიზე დაწერილი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წიგნის „კრემლის ნათლიმამას“ ავტორი იყო. 2003 წელს ბერეზოვსკიმ „ფორბსს“ ხლებნიკოვის სტატიისთვის, რომელსაც ისეთივე სათაური ჰქონდა — Godfather of Kremlin? ლონდონის სასამართლოში საქმე მოუგო. სხვა საკითხებთან ერთად, იგი მოითხოვდა ინფორმაციის უარყოფას, რომ „სიბნეფტის“ აქციათა მფლობელი გახლდათ. ცხრა წლის შემდეგ მის მიერ მიცემული ჩვენებები ლონდონის სასამართლოში მიმდინარე ახალ პროცესზე რომან აბრამოვიჩის ადვოკატებისთვის მთავარ კოზირად იქცა — ბერეზოვსკი ამჯერად ამტკიცებდა, რომ ყოველთვის ბრძანდებოდა „სიბნეფტის“ თანამფლობელი. ბერეზოვსკიმ სასამართლო წააგო.

გავრცელებული ვერსიის თანახმად, ბერეზოვსკის დეპრესიის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა ფინანსური კრახი, რომელმაც, ალბათ, მისი სიკვდილიც გამოიწვია. არადა, 1997 წელს „ფორბსის“ ვერსიით, იგი 3 მლრდ-დოლარიანი ქონებით რუსეთის ყველაზე მდიდარ ბიზნესმენად ითვლებოდა. ხუთი წლის წინათ, 2008-ში 1,3 მლრდ დოლარით მან „ფორბსის“ რუსულ რეიტინგში 83-ე ადგილი დაიკავა. როგორ მოახერხა ბერეზოვსკიმ მილიარდიანი ქონების გაფლანგვა რუსეთში ყველა აქტივის გაყიდვითა და რეჟიმთან ლონდონიდან ბრძოლის მცდელობისას? თუკი, მის მოწინააღმდეგეებს დავუჯერებთ, იგი თანამედროვე პროფესორი მორიარტი იყო — ადამიანი მათემატიკური ჭკუით, ინტრიგებისა და დახვეწილი პოლიტიკური კომბინაციების ოსტატი. სად შეცდა?

ბედზე მომჯდარი

1999 წელს მეწარმე ლეონიდ ბოგუსლავსკი ძველ მეგობარს შეხვდა. ბორის ბერეზოვსკის იგი დიდი ხანია იცნობდა — 1970-იანი წლების დასაწყისიდან. ისინი ერთად მუშაობდნენ მართვის პრობლემების ინსტიტუტში, შემდეგ ქმნიდნენ „ლოგოვაზს“, საიდანაც ბოგუსლავსკი 1992 წელს წავიდა. კითხვაზე: „როგორ არის საქმეები?“, ბერეზოვსკიმ ხელები გაშალა: მომწყინდაო. **„პარლამენტის არჩევნები მოვიგე, პრემიერი დავნიშნე, პრეზიდენტის არჩევნებს ორგანიზება გავუკეთე. აღარ ვიცი, რა ვაკეთო“.** 2000 წლის დასაწყისში ბერეზოვსკი თავისი ძალაუფლების მწვერვალზე იყო. ადამიანი, რომელსაც მეგობრად თვლიდა, საპრეზიდენტო არჩევნებში ლიდერობდა. ბერეზოვსკის ყოფილი მენეჯერი იგორ შაბდურასულოვი OPT-ს ხელმძღვანელის თანამდებობიდან პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის პირველ მოადგილედ გადავიდა. ადმინისტრაციის უფროსი ალექსანდრ ვოლოშინი ბერეზოვსკისგან ძლიერ დავალებული იყო და მას ყურადღებით უსმენდა. „სიბნეფტს“, „ლოგოვაზსა“ და „რუსალს“ სტაბილური შემოსავალი ჰქონდათ. თანაც, შეეძლო ბიზნესით არც დაკავებულიყო — ბერეზოვსკის სიმდიდრის ზრდაზე პასუხს აგებდნენ მეგობრები: რომან აბრამოვიჩი და ბადრი პატარკაციშვილი. ამ ვითარებაში ძნელი იყო გონიერების შენარჩუნება. **„1990-იანი წლების მიწურულს, მწვერვალზე მყოფმა ბორის ბერეზოვსკიმ ჩათვალა, რომ ბედს მოაჯდა“,** — იხსენებს ბოგუსლავსკი. „ფორბსის“ რეიტინგის წევრი (191-ე ადგილი 500 მლნ-დოლარიანი ქონებით), ოდესღაც ბერეზოვსკისთან მეგობრობდა, ერთად ფლობდნენ „ჟიგულის“ აგურისფერ „ტროიკასაც“ კი. მანქანით ერთი კვირა ბერეზოვსკი სარგებლობდა — მომდევნო კვირას ბოგუსლავსკი. აქტივების ბერეზოვსკისთან გაყოფა რთული აღმოჩნდა. მაშინ, როცა მომავალი მილიონერი კვირაში 400 კმ-ს გადიოდა, მისი პარტნიორი 2000 კმ-საც კი ფარავდა. „რა უყვარდა?“ — აქეთ კითხულობს ბოგუსლავსკი — უყვარდა დეილ კარნეგის „როგორ ვიშოვოთ მეგობრები და ვიქონიოთ გავლენა ადამიანებზე“, საიდანაც მეთოდებს ხშირად იყენებდა. ასევე, მარიო პიუზოს რომანი „ნათლიმამა“ — გუნდური იდეისადმი ერთგულებისა და მიზანსწრაფულობის გამო.



კიდევ, მასში უნიკალურად გაერთიანდნენ ვესტერნ „კარგი, ცუდი, ბოროტის“ პერსონაჟების თვისებები. ბერეზოვსკი „ბოროტი“ იყო 2000 წლის მაისში, როცა ახლადარჩეულ ვლადიმერ პუტინთან მივიდა. მანამდე ცოტა ხნით ადრე პუტინმა ხელი მოაწერა ბრძანებას შვიდი ფედერალური ოლქის შექმნის შესახებ, რამაც პუტინის ძალაუფლების ვერტიკალს ჩაუყარა საფუძველი. **„ვალოდია, ჩვენ ასე არ შევთანხმებულვართ“,** — მკაცრად უთხრა ბერეზოვსკიმ პრეზიდენტს. თუმცა, იმ დროს პუტინს ვინმესთან შეთანხმება აღარ სჭირდებოდა. პუტინმა ბერეზოვსკიზე შეტევა დაიწყო. შემდეგ იყო „აეროფლოტის“ სისხლის სამართლის საქმე და მისი მენეჯერისა და ბერეზოვსკის მეგობრის ნიკალაი გლუშკოვის დაკავება, გაქცევა და „OPT“-სთვის ომი.

Vanity fair

2000 წლის შემოდგომაზე ბერეზოვსკიმ და პატარკაციშვილმა რომან აბრამოვიჩისგან „სიბნეფტის“ ფული პირველად მიიღეს. ბერეზოვსკი ჯერ საფრანგეთში დასახლდა, შემდეგ — ბრიტანეთში. მისი მეგობრისა და ბრიტანეთში რუსეთის საკონსულოს ყოფილი თანამშრომლის, ვლადიმირ ვორონოვის თქმით, ოლიგარქი ლონდონს მალე მიეჩვია. თანაც, საფრანგეთისგან განსხვავებით, ბრიტანეთი პოლიტიკურ ემიგრანტებს არ გასცემს. ოფისი დაუნ-სტრიტზე, მეიფერის პრესტიჟულ რაიონში აიღო. ოფისი მოკრძალებული იყო და პერსონალიც მცირერიცხოვანი ჰყავდა (8 კაცი), მაგრამ ბერეზოვსკი ფულს არ ზოგავდა. გაქცეული ოლიგარქის პარტნიორი, რომელიც მაშინ ფინანსურ ხარჯებზე აგებდა პასუხს, ამბობს, რომ თვეში გასავალი 10 მლნ დოლარს აღწევდა. **„თვითმფრინავით ცოფიანივით დაფრინავდა. გამუდმებით დაფრინავდა საფრანგეთში, ისრაელში, საქართველოში, სანამ შეზღუდვა არ ჰქონდა“,** — ჰყვება ოლიგარქის ნაცნობი. თავიდანვე ფინანსებსა და ყველა პროექტზე პასუხისმგებელი იყო მისი პარტნიორი ბადრი პატარკაციშვილი. როგორც ბერეზოვსკიმ „ფორბსს“ უკანასკნელ ინტერვიუში მოუთხრო, მთელი ფული ბადრის მისცა და პირადი ხარჯებისა და პროექტებისთვის უკან ართმევდა ხოლმე. ამას მეგობრებიც ადასტურებენ: **„ის ეტყოდა: ბადრი, მე მინდა ოცი და ბადრიც მისცემდა ოცს. მათ შორის იმდენად ახლო ურთიერთობები იყო, რომ ბერეზოვსკის ხელშეკრულებების იურიდიულად გაფორმება არც კი უფიქრია. ბადრის შეეძლო თავისი პარტნიორისთვის ქართული კერძები კერძო თვითმფრინავით გაეგზავნა. ნახეთ, როგორია თბილისი-ლონდონის რეისის ფასი. ეს მხოლოდ იმისთვის კეთდებოდა, რომ ბორიას ხაჭაპური მიერთვა!“,** — უკვირს ნაცნობ ბიზნესმენს. ყოველდღიური ხარჯების გარდა, იყო მსხვილი გასავლებიც — მენარმეთა შორის ყველაზე გავლენიანისა და უმდიდრესის სტატუსის დასამტკიცებლად. ბერეზოვსკიმ 25 მლნ დოლარი დახარჯა Bombardier Challenge თვითმფრინავის შესაძენად, 10 მლნ დოლარი — ბელგრავილის პრესტიჟულ რაიონში ბინაზე, დიდძალი თანხები მიდიოდა 110-მეტრიანი საოკეანო იახტის მშენებლობისთვის. ბერეზოვსკი ამ ფულს ფუფუნებისთვის კი არა, სტატუსისთვის ხარჯავდა, მიაჩნია ბოგუსლავსკის: **„ყოველ შემთხვევაში, ასე იყო 1990-იანების დასაწყისში, როცა ჩვენ ურთიერთობა გვქონდა“**. იგი იხსენებს, როცა ბერეზოვსკი 10-მეტრიან ოთახში ცხოვრობდა, მეორე ცოლ გალინასა და ბავშვთან ერთად, და ამ დროს „მერსედეს 600“-ით დადიოდა. **„ბორისს მიაჩნდა, რომ ასეა საჭირო. უნდა იყო გარკვეულ დონეზე — მზარეულებითა და ძიძებით გარშემორტყმული“.** ბერეზოვსკი ასე იქცეოდა ემიგრაციაშიც — პუტინის მთავარი მტერი შიშსა და აღფრთოვანებას უნდა იწვევდესო.

„აი ნიდ პელფ“

ბერეზოვსკის ლონდონის ოფისში სიცოცხლე დუღდა. მომსვლელთა ნაკადი არ ილეოდა და მრავალს უმართლებდა. იული დუბოვი, მწერალი და ბერეზოვსკის ახლო მეგობარი: **„ადამიანის ზოგადი პორტრეტი, რომელიც ბერეზოვსკის ირგვლივ ტრიალებდა და მეგობრობდა, ასეთია: ჭკვიანია, იცის რაც უნდა, მას სჭირდება დახმარება და ის ყველაფერს იღებს — ფულს, სამსახურს, რეკომენდაციებს, პროტექციას, ურთიერთობას. შემდეგ ის ბორისთან რამდენიმე ხანს მეგობრობს, შეხვედრისას პირზე კოცნის. ცოტა ხანში აღმოჩნდება, რომ მისგან ყოველივე მიიღო, არადა ხალხის მტერთან ურთიერთობის გამო რისკები იზრდება და ადამიანი ამბობს: მადლობა, ნახვამდის, მიყვარხარ, ოღონდ აღარ დამირეკო. ეს უკეთეს შემთხვევაში. თორემ ხშირად ღიადაც ღალატობს“.** ყოფილი პარტნიორი ევგენი იოფე მის გარემოცვაზე უფრო მკაცრად საუბრობს: **„ისინი იყვნენ ქურდები, თაღლითები, არაკომპეტენტური ხალხი, ან ყველა ერთად. მისი გარემოცვა იყო ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც ვერ შევძელით ერთად მუშაობა“.** იყვნენ ისეთებიც, ვინც მიიღებდა ფულს და მაშინვე ქრებოდა. იოფე იხსენებს, 2001 წელს ბერეზოვსკის როგორ შესთავაზეს მილანში სამოდელო სააგენტოს ყიდვა და ავანსი ითხოვეს, რის შემდეგაც ეს ხალხი „ჰორიზონტიდან გაქრა“. ოდესღაც გავლენიან ოლიგარქებს ავანტიურისტების კვალის პოვნა უკვე უჭირდათ — გადასახლებაში ბადრისა და ბერეზოვსკის გავლენა ძლიერ შესუსტდა. როგორც იოფე ჰყვება, ერთხელ ბერეზოვსკისთან მივიდა ვინმე ჯონ ტომპსონი კომპანია Exodus-ის ევროპული წილის გაყიდვის წინადადებით.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

მე-9 გვერდიდან

შემდეგ ტომპსონმა 50 მილიონ დოლარად შესთავაზა კომპანია Glidepass. იოფეს თქმით, პროექტი თავიდანვე განწირული იყო. შედეგად, ბერეზოვსკი ტომპსონს სასამართლოშიც ედავებოდა, მაგრამ ფული ვეღარ დაიბრუნა. გარიგების დეტალები უცნობია, რადგან არც ბერეზოვსკი და არც პატარკაციშვილი ამ საკითხზე არ საუბრობდნენ. ბერეზოვსკი უფრო ადვილად გასცემდა ფულს, თუკი ეს პოლიტიკასთან იყო კავშირში. ერთხელ, ბერეზოვსკიმ 5 მლნ დოლარი დაუფიქრებლად მისცა ჩინეთის მოქალაქეს, რათა მას ჩინეთის მაშინდელ მმართველთან ცზიან ცზემინთან შეხვედრის ორგანიზება მოეწყო. ჩინელმა ფული რომელიღაც ფონდში ჩარიცხა და აორთქლდა. ბერეზოვსკის პარტნიორის თქმით, ბიზნესსტრატეგიები ოლიგარქისთვის მოსაწყენი იყო: **„ერთხელ ვეცადე მეიძულებინა იგი, ბიზნესის ირგვლივ თათბირს დასწრებოდა და მას იქ ჩაეძინა“.** ჟურნალ „ფორბსთან“ ბერეზოვსკიმ დაადასტურა: **„1994 წლიდან ბიზნესი ჩემთვის საინტერესო აღარ იყო“.** ზოგიერთი პარტნიორი ამან შოკშიც კი ჩააგდო: **„გავოგნდი, ეს ადამიანი რამდენადაც ინტელექტუალურად განვითარებული და შინაგანად მდიდარი იყო, იმდენად პრიმიტიული იყო ბიზნესში“,** — ამბობს იოფე.

ჟოგა ბონიტო

ბერეზოვსკის კლასიკური, კონსერვატიული ბიზნესი არ აინტერესებდა. მას ფულის ჰაერიდან კეთება უნდოდა. **„ამისი სურვილი ყველაფერს ჩრდილავდა“,** — ამბობს განსვენებულის პარტნიორი და თანაშემწე — **„ბადრისთან ერთად, ორივენი აზარტული მოთამაშეები იყვნენ. მათ უნდა ეშოვათ ასი კი არა — ასეულობით პროცენტი. ეს ღუპავდათ“.**

2004 წელს ირანელმა მეწარმე კია ჯურაბჩიანმა ბერეზოვსკი ბრაზილიურ საფეხბურთო კლუბში ფულის ჩადებაში დაარწმუნა. მან შექმნა კომპანია Media Sports Investments, რომელმაც კლუბ „კორინტიანს“-ის მართვის უფლება შეიძინა. გარდა ამისა, რუსმა ინვესტორებმა ფეხბურთელებზე უფლებების ნაწილიც მიიღეს. ბერეზოვსკის თქმით, კლუბის ყიდვის იდეა პატარკაციშვილს ეკუთვნოდა. ბადრის უკვე ჰქონდა თბილისის „დინამო“ და კიდევ უნდოდა. თუმცა, ბერეზოვსკის პარტნიორები ამტკიცებენ, რომ ეს ბერეზოვსკის იდეა იყო. ბერეზოვსკის სიტყვებს იოფე იხსენებს: **„ჩვენ ქვეყნის საყიდლად მივდივართ. ყველაზე ცნობილი ბრაზილიური გუნდის ყიდვა იქითკენ მიმავალი გზაა“.** „კორინტიანს“-ს 23 მლნ აქტიური და 7 „მთვლემარე“ ფანატი ჰყავდა, ანუ ქვეყნის მოსახლეობის 15%-ზე მეტი გუნდის გულშემატკივარი იყო. ბრაზილიის იმჟამინდელი პრეზიდენტი ლულა და სილვა სამეურვეო საბჭოს წევრი იყო, ნაკრებისთვის ინვესტორს ეძებდა და ბერეზოვსკიმაც გადაწყვიტა, პრეზიდენტად გახდომაში ისევ ვინმეს დახმარებოდა. **„კია ჯურაბჩიანმა იგი მოატყუა, ბრაზილიაში სამ კაპიკად მოგცემენ ეროვნულ ავიაკომპანიას, სპილენძის საბადოს, რადგან იქ ყველაფერს პოლიტიკა წყვეტს“,** — იხსენებს ბერეზოვსკის მეგობარი. ბერეზოვსკიმ დაიჯერა. „კორინტიანსის“ სამართავად პარტნიორებს დაახლოებით 50 მლნ დოლარის დახარჯვა მოუხდათ, კიდევ 50 მლნ რამდენიმე მოთამაშის შეძენა დაჯდა. ცნობამ იმის შესახებ, რომ არგენტინელ მსოფლიო ვარსკვლავებზე მასკერანოსა და ტევესზე უფლებები მიმალვაში მყოფ რუს ოლიგარქებს ეკუთვნით, საერთაშორისო სკანდალი გამოიწვია. როგორც ბერეზოვსკი „ფორბსთან“ საუბარში იხსენებდა, მას სთავაზობდნენ საავიაციო კომპანიასა და სტადიონის მშენებლობას, მაგრამ ყველაფერი ცუდად დასრულდა. 2006 წლის მაისში იგი სან პაულუს აეროპორტში დააკავეს. დაკითხვა რვა საათზე მეტხანს გრძელდებოდა. აინტერესებდათ კლუბსა და ფეხბურთელების შეძენაზე დახარჯული ფულის ისტორია. ბერეზოვსკი მალე გაუშვეს, თუმცა რუსი ოლიგარქის წინაშე მწვავედ დადგა მისი კაპიტალის წარმოშობის პრობლემა. ერთ-ერთი მეგობრის თქმით, ლონდონიდან მიანიშნეს: თუკი ბრაზილიელები დაამტკიცებენ, რომ ბერეზოვსკის მოთამაშეებზე უფლებები მართლაც ეკუთვნის, მისი ბრაზილიისთვის გადაცემა მოუხდებათ და ამ საქმეს პოლიტიკური ელფერი სულაც არ იქნება. ოლიგარქი მიხვდა, რომ ცეცხლს ეთამაშება და ბრაზილიელი ჩინოვნიკების მოწვევებზე აღარ რეაგირებდა.



ფორთოხალი, ტიტები და კარტოფილი

ბერეზოვსკის პოლიტიკა ყოველთვის მეტად იტაცებდა ვიდრე — ბიზნესი. ჯერ კიდევ 2000 წელს, ბერეზოვსკიმ შექმნა ფონდი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში პოლიტიკურ და სამოქალაქო პროექტებს უჭერდა მხარს. მას ალექსანდრ გოლდფარბი ჩაუდგა სათავეში. იგი სოროსის ფონდიდან იმისთვის გაათავისუფლეს, რომ ალექსანდრ ლიტვინენკოს, ბერეზოვსკის თხოვნით, რუსეთიდან ლონდონში გასვლაში ეხმარებოდა. **„მაშინ სოროსმა მითხრა, რომ ფონდის მმართველი პირი ეფ-ეს-ბე-ს აგენტების გამგზავრება-გამომგზავრებით დაკავებული არ უნდა იყოს“,** — იხსენებს გოლდაფრბი. ფონდი თითქმის 150 ორგანიზაციას ეხმარებოდა, მათ შორის ინტერნეტმედიასა და სახაროვის სახელობის მუზეუმს. გოლდფარბის თქმით, ფონდმა სულ 60 მლნ დახარჯა, საიდანაც ნახევარი უკრაინაში დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერას მოხმარდა. ვიქტორ იუშჩენკოს მხარდაჭერის იდეა „ნარინჯისფერ რევოლუციამდე“ ნახევარი წლით ადრე გაუჩნდა. როგორც ბერეზოვსკი „ფორბს“-ს უყვებოდა, მას უკრაინელი დეპუტატი დავით ჟვანია დაუკავშირდა. **„სწრაფად ჩამოვყალიბდით, რაც უნდა გვეკეთებინა: დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისთვის ფულის ხარჯვა. მაიდანი ჯერ არ იყო მომხდარი, მაგრამ მივხვდით, რომ მზადება იყო საჭირო“,** — იხსენებს იული დუბოვი. როგორც მისი მეგობრები იხსენებენ, ბერეზოვსკი პოლიტიკურ კომპანიას არა მარტო აფინანსებდა, არამედ მასში პირადადაც მონაწილეობდა. იგი იუშჩენკოსა და ტიმოშჩენკოს წერილებს თავად წერდა. როცა იუშჩენკო საავადმყოფოში მოხვდა, ბერეზოვსკიმ იგი ფეხზე წამოაყენა. აი, რას ჰყვება დუბოვი: **„ბერეზოვსკიმ მას ავსტრიის კლინიკაში დაურეკა და უთხრა: თუკი პრეზიდენტობა გსურს, აიღე შენი წვეთოვნები და კიევში დაახვიე. თუკი, კიდევ ერთ დღესაც იწვები — ჩათვალე, რომ ეს ამბავი დასრულებულია“.** იუშჩენკომ დაუჯერა ბერეზოვსკის და ექიმების აკრძალვის მიუხედავად, სექტემბერში უკანვე დაბრუნდა. იუშჩენკომ ვერ შეძლო „ფორბსთან“ დაკავშირება, რადგან მისი წარმომადგენლის, ირინა ვანნიკოვას თქმით, მივლინებაში იმყოფებოდა. ვანნიკოვას განცხადებით, ბერეზოვსკის იუშჩენკოსთვის კლინიკაში არ დაურეკავს და იუშჩენკოც ბერეზოვსკის არასდროს არაფერს შეპირებია. როდესაც მაიდანი მოხდა, ბერეზოვსკის ფული საჭირო გახდა. გოლდფარბის თქმით, მაიდანის ამბების დროს მრავალათასიანი მომიტინგეებისთვის კარვებს, საკვებსა და ყველა საჭირო ნივთს ბერეზოვსკის ფულით ყიდულობდნენ. **„ამერიკელებს არც ერთი კაპიკი არ მიუციათ, შეპირდნენ ოცს, მაგრამ ბოლო მომენტში გადააგდეს“,** — წუწუნებს ბერეზოვსკის ერთ-ერთი პარტნიორი, რომელიც მაშინ უკრაინის საკითხებით იყო დაკავებული. თანაც, ბერეზოვსკი საორგანიზაციო აკითხებს თავად აგვარებდა. ჯამში, „ნარინჯისფერი რევოლუციის“ მხარდაჭერისთვის, ბერეზოვსკიმ 70 მლნ დოლარზე მეტი დახარჯა. მას იმედი ჰქონდა, რომ უკრაინა რუსეთს შეცვლიდა, მაგრამ როგორც „ფორბსთან“ უკანასკნელ საუბარში აღიარებდა, რუსეთის საზოგადოება სწორედ ვერ შეაფასა: **„პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატია მოდაში ვერ შემოვიდა“.** რუსეთის შეცვლის ჰიპოტეტური გათვლების გარდა, პარტნიორებს კონკრეტული ბიზნესინტერესები ჰქონდათ. მის გარემოცვაში საუბრობენ, რომ ბერეზოვსკიმ და პატარკაციშვილმა ჩამოწერეს იმ საწარმოთა სია, რომლებზეც კონტროლის აღება სურდათ. მთავარი მიზანი უკრაინის კავშირგაბმულობის მონოპოლისტი „უკრტელეკომი“ იყო. „სურვილების ფურცელში“ ეწერა ოდესის საპორტო ქარხანა, „კრივოროჟსტალი“-ს წილი და კიევში 1 მლნ კვ.მ ფართობი მშენებლობისთვის. იუშჩენკო ბერეზოვსკის „უკრტელეკომის“ მხოლოდ ნახევარს შეჰპირდა, ხოლო მეორე ნახევარი პოლონელ მილიონერს იან კულჩიკს უნდა შეეძინა. 2010 წელს, „უკრტელეკომი“ 1,3 მლრდ დოლარად იყო შეფასებული, ბერეზოვსკის ჩადებული ინვესტიციის ათმაგი ოდენობის მოგება შეეძლო მიეღო, თუმცა, ოლიგარქმა მთელი კომპანია მოითხოვა. საბოლოოდ, მას ქვეყანაში ჩასვლა აუკრძალეს და იუშჩენკო და ტიმოშჩენკო ტელეფონსაც აღარ პასუხობდნენ. ბერეზოვსკის სხვა ახლო მეგობარი, რომელიც უკრაინელებთან მოლაპარაკებებზე აგებდა პასუხს, ამბობს, რომ ბერეზოვსკიმ არათანამიმდევრობის გამო წააგო. თავიდან იუშჩენკო-პოროშჩენკოს ტანდემის მხარდაჭერაზე შეთანხმდნენ, მაგრამ, როცა იუშჩენკო საავადმყოფოში მოხვდა, ბერეზოვსკის მარცხის შეეშინდა და ფსონი ტიმოშჩენკოზე დადო. ოლიგარქმა ტიმოშჩენკოსთან საიდუმლო მოლაპარაკებები გააბა და დასთანხმდა, რომ იგი პრემიერი უნდა გახდეს. „ფორბსთან“ კომენტარისგან თავი შეიკავეს ტიმოშჩენკოს წარმომადგენლებმაც და დავით ჟვანიამაც.

ბერეზოვსკის სხვა რევოლუციაში უფრო გაუმართლა. მისი თქმით, ყირგიზეთში მან პატარკაციშვილთან ერთად დააფინანსა „საკონსულტაციო ჯგუფი“, რომელიც ყურბანბეკ ბაკიევს ეხმარებოდა. იგი მონაწილეობდა „ტიტების რევოლუციის“ მომზადებაში, რაც სულ 5 მლნ დოლარი დაჯდა. გამარჯვების შემდეგ ბაკიევმა ვალი ჯერუის ოქროსმომპოვებელი საბადოს წილით გადაუხადა. საბადოს მარაგი საორიენტაციოდ 84 ტონა ოქროსა და 13 ტონა ვერცხლი იყო. სავარაუდოდ, ლიცენზია ბრიტანულ Oxus Gold-ს ჩამოართვეს და 2006 წლის მაისში „დასავლელ ინვესტორებს“ — ავსტრიულ Global G.O.L.D. Holding Gmbh-ს გადასცეს. ინვესტორთა წარმომადგენელი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ფონდ „ტრიუმფის“ პრეზიდენტი რაფაელ ფილინოვი გახდა. საწარმო მასსა და კიდევ ერთ პარტნიორზე იყო გაფორმებული, რომელთა უკანაც ბერეზოვსკი და პატარკაციშვილი იდგნენ. რუსეთის გენპროკურატურის მონაცემებით, 2006 წლის 26 ივლისს ბერეზოვსკი გარიგების დასადებად ბიშკეკში ჩაფრინდა. ფილინოვმა ყირგიზეთში წელიწადნახევარი დაჰყო და კომპანიაზე 12 მლნ დახარჯა. 2007 წელს საბადოს წილი გაიყიდა და 130 მლნ დოლარი პატარკაციშვილის ანგარიშზე დაჯდა. 2010 წლის აპრილში ბაკიევი იძულებული გახდა, ქვეყნიდან გაქცეულიყო, ყირგიზეთის ხელისუფლებამ კი საბადოზე ლიცენზიები გააუქმა.

ბერეზოვსკი არა მარტო რევოლუციებზე, რეაქციულ სტაბილურობაზეც იხარჯებოდა. ბელორუსში „ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესების“ პროექტი განახორციელა. 2008 წლიდან დასავლეთში პროექტით დაკავებული იყო ლორდი ტიმოტი ბელლი და მისი კომპანია Bell Pottinger Group. მისი მთავარი მიღწევა იყო ლუკაშენკოს რომის პაპთან შეხვედრა და მისი ევროკავშირის სამიტზე მიწვევა. 2013 წელს Russia Today-სთან ინტერვიუში ლუკაშენკომ აღიარა, რომ მას ბელლი, რომლისთვისაც ფული ბელორუსს არ გადაუხდია, ბერეზოვსკიმ ურჩია. ბელლი ფულს ბერეზოვსკისგან იღებდა. სულ ბელორუსზე 60 მლნ დოლარი დაიხარჯა. **„იქ მან სოფელი აიშენა და კაიფობდა. არყის ხეები, რუსი ქალები, ნაყინი 20 კაპიკად და შავი პური... იგი თავს ისე გრძნობდა, როგორც სახლში“,** — იხსენებს ბერეზოვსკის მეგობარი. ბერეზოვსკის დიდი იმედი ჰქონდა, რომ ბელორუსს ოფშორულ ზონად გადააქცევდა, კაზინოებს გახსნიდა, თუმცა მან შეთანხმება დაარღვია — იქ ინვესტორები არ მიიყვანა და ამიტომ მალე ბელლთან შეთანხმება დაირღვა. ევროპამ მინსკს ზურგი აქცია, მინსკმაც ბერეზოვსკის უგანა და იქ მისი წარმომადგენლობებიც დაიხურა.

პურსა და წყალზე

ბერეზოვსკის პარტნიორის აზრით, 2000-იან წლებში ბერეზოვსკიმ მოგება მხოლოდ ყირგიზული ოქროს საბადოს გაყიდვიდან ნახა. „ფორბსის“ კორესპოდენტის კითხვაზე, ბოლო 12 წლის განმავლობაში ჰქონდა თუ არა წარმატებული პროექტები, ბერეზოვსკიმ Salford Capital Partners გაიხსენა. კომპანია სამი ფონდის მიერ გამომუშავებულ ფულს მართავდა. 2000-იანების დასაწყისში ბერეზოვსკიმ და პატარკაციშვილმა ერთ-ერთ ფონდში 320 მლნ დოლარი ჩადეს. ფონდი ამუშავდა, ხოლო Salford-მა მთელი რიგი წარმატებული ოპერაციები განახორციელა, მათ შორის „ბორჯომი“ შეიძინა. ფონდმა რუსეთში დაახლოებით 20 ბრენდი შეისყიდა, მათ შორის sviatoi istoCnik. აქტივების საყიდლად დაახლოებით 100 მლნ დოლარი დახარჯეს. 2000-იანების დასასრულს IDS Borjomi რუსეთსა და დსთ-ს ქვეყნებში მინერალური წყლის მწარმოებელ უმსხვილეს კომპანიად იქცა. ბერეზოვსკისა და პატარკაციშვილის ფულები იმდენად მოხერხებულად იყო დამალული, რომ პრეტენზიები რუსული აქტივების ირგვლივაც არ ჩნდებოდა. 2012 წელს IDS Borjomi-ის ჯამურმა მოგებამ 350 მლნ დოლარი შეადგინა. მოგების 13% საქართველოზე მოდის, ხოლო 70% — უკრაინაზე. Salford-მა რძის, საკონდიტრო და სასმელი წყლის 15 ქარხანა ყოფილ იუგოსლავიაშიც შეიძინა. 2006 წელს — შეძენის მომენტში ბალკანური ჰოლდინგის აქტივები 20 მლნ დოლარი იყო, რომლებმაც 2012 წლისთვის 100 მლნ-ს მიაღწიეს.

დასასრული მე-11 გვერდზე

ვინ გააკოტრა ბორის ბერეზოვსკი?

მე-10 გვერდიდან

ამ დროს ბერეზოვსკიმ და პატარკაციშვილმა აქტივების გაყიდვა მოითხოვეს. 2013 წლის იანვარში „ალფა ჯგუფმა“ IDS Borjomi-ის დაახლოებით 55% შეიძინა, რაშიც 230 მლნ გადაიხადა (სულ, კომპანია 420 მლნ დოლარად შეფასდა). ხოლო ბალკანური აქტივები მყიდველს ჯერაც ელოდება. წარმატებული ბიზნესიდან შემოსავლები ბერეზოვსკის არ ერგო, რაც ნაწილობრივ, მისივე ბრალია. იოფე იხსენებს, რომ 2000-იან წლებში მას დაავალა აქტივების, აბრამოვიჩის Millhouse Capital-ის მსგავსად განკარგვა, თუმცა საქმე უშედეგოდ დასრულდა. **„ბორია დინოზავრი იყო, მას შეცვლა არ შეეძლო, არ იყო მზად გარემოცვასთან ბრძოლისა და გარკვეული წესებით ცხოვრებისთვის“,** — ამბობს ოლიგარქის გარემოცვის წევრი.

გზა გაკოტრებისკენ

2008 წლის 20 თებერვალს, გრინვიჩის დროით, დაახლოებით, 23:00 საათზე, საკუთარ სახლში გულის შეტევით გარდაიცვალა ბადრი პატარკაციშვილი. ამ მომენტში ბერეზოვსკიმ ქონების დიდი ნაწილი დაკარგა. „ფორბს“-თან საუბარში ბერეზოვსკიმ აღნიშნა, რომ არ ელოდა, თუკი ბადრი მასზე ადრე მოკვდებოდა. როგორც ჩანს, ამას არც პატარკაციშვილი ელოდა. მეგობრების თქმით, პარტნიორებს ქონების იურიდიულად განაწილებაზე არ უზრუნიათ. ბერეზოვსკი დარწმუნებული იყო, რომ პარტნიორთან ფულსა და აქტივებს სანახევროდ იყოფს. ბადრის სიკვდილისთანავე, მისმა ქვრივმა ინამ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის თანახმად, აქტივების ნახევრის ბერეზოვსკისთვის გადაცემის პირობა დადო, მაგრამ მერე გადაიფიქრა და განაცხადა, რომ მაშინ აფექტში იყო. ამგვარად, ბერეზოვსკიმ დაკარგა ფულიც და მათი მშოვნელიც. პატარკაციშვილმა ყირგიზული საბადოს გაყიდვიდან შემოსული თანხიდან უკანასკნელი ტრანში 40 მლნ დოლარი თავისი სიკვდილის დღეს განახორციელა, თუმცა ამ ფულის გამოყენება ვერც ქართველმა მეწარმემ და ვერც მისმა ლონდონელმა პარტნიორმა ვეღარ შეძლეს. ბადრის სიკვდილი ბერეზოვსკისთვის მძიმე დარტყმა აღმოჩნდა. იგი მიხვდა, რომ პარტნიორის ხასიათში სათანადოდ ვერ გაერკვა. პატარკაციშვილის ოჯახის წინააღმდეგ თავის სარჩელში მან თავისი დანაკარგი ბადრის აქტივების 50%-ად შეაფასა. ბადრი პატარკაციშვილის ნათესავისა და მისი ქონების ერთ-ერთი პრეტენდენტის, ჯოზეფ კეის ადვოკატი ემანუელ ზელცერი ბადრის ქონებას 2,1 მლრდ დოლარად აფასებდა. სასამართლოს მასალებში ნახსენებია 152 კომპანია, რომელთა წილებზეც შეიძლება ბერეზოვსკის პრეტენზია გააჩნდეს. მათ შორისაა, ცნობილი ოფშორი Andava, რომლის მეშვეობითაც ბერეზოვსკი და მისი მმართველი გლუშკოვი „ავტოვაზი“-ს, „აეროფლოტი“-ს, „ლოგოვაზი“-სა და სხვა კომპანიების საქმეებს მართავდნენ. დროთა განმავლობაში ბერეზოვსკის პატარკაციშვილებისადმი პრეტენზიებმა იკლო.

ეს არ იყო ერთადერთი დარტყმა. თითქმის ბადრის სიკვდილისთანავე, ბერეზოვსკისგან გაყრა მოითხოვა მეუღლემ გალინა ბაშაროვამ, რომელთანაც 1993 წლიდან აღარ ცხოვრობდა და მას სასამართლოთი 200 მლნ ფუნტი სტერლინგი წაართვა. ბერეზოვსკის მეგობრების თქმით, მან ყოფილ მეუღლეს ანგარიში გაუსწორა. ასეულობით მილიონის დაკარგვის შემდეგ ბერეზოვსკი იძულებული იყო, აქტივები გაეყიდა. იახტის მშენებლობა შეაჩერა, თვითმფრინავი დააგირავა, გაყიდა ორი მამული სურეის საგრაფოში. ბოლოს, მთელი თავისი იმედები ბერეზოვსკიმ რომან აბრამოვიჩთან სასამართლო გარჩევაზე დაამყარა. სარჩელი 2010 წელს შეიტანა, სადაც მოითხოვდა 5,5 მლრდ დოლარს „სიბნეფტის“ გაყიდვიდან, „რუსალის“ „გაზპრომისა“ და „ბაზელის“ წილებიდან. 2012 წლის სექტემბერში, აბრამოვიჩთან სასამართლოს წაგების შემდეგ, ბერეზოვსკიმ ყველა პროცესი შეწყვიტა, ბადრის ოჯახთან ხელშეკრულება გააფორმა, რომლითაც ერთობლივ აქტივებზე უარი განაცხადა. პატარკაციშვილების ოჯახის აქტივების მმართველის, ირაკლი რუხაძის თქმით, სხვა ვითარებაში ბიზნესმენი ამ შეთანხმებას არ გააფორმებდა. რუხაძე შეთანხმების პირობებზე არ საუბრობს, მაგრამ ამტკიცებს, რომ ყველა გადახდა დოკუმენტის გაფორმებიდან მოკლე დროში განხორციელდა. მისი თქმით, ფული ბერეზოვსკის არ მიუღია: მთელი თანხები მისი კრედიტორებისა და აბრამოვიჩის ადვოკატების ანგარიშებზე წავიდა. „ფორბსის“ წყარო ამბობს, რომ პატარკაციშვილის ოჯახი ბერეზოვსკის მხრიდან დავის შეწყვეტის სანაცვლოდ, აბრამოვიჩთან სასამართლოს ხარჯების — 40 მლნ ფუნტი სტერლინგის გადახდას დათანხმდა. დეპრესიაში მყოფი ბერეზოვსკი რუსეთში დაბრუნების გეგმებს აწყობდა. მან, სასამართლოში დამარცხებიდან რამდენიმე კვირაში, აბრამოვიჩს წერილი მისწერა, სადაც პატიება და სამშობლოში დაბრუნებაში დახმარება სთხოვა. ასევე, აბრამოვიჩის ნაცნობის თქმით, ბერეზოვსკიმ ვალების პატიებაც ითხოვა. კიდევ ერთი ბოდიშის წერილი მან პუტინს გაუგზავნა, თუმცა შეცდომა დაუშვა, როცა ამის შესახებ ენა ვერ გააჩერა და ყველას უყვებოდა. **„მისი დაბრუნების ერთადერთი შანსი რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა იყო. წერილის დაწერისას იგი უკვე დამარცხებული იყო. გამარჯვების შემთხვევაში, იგი ვერ გაჩერდებოდა. დაიწყებდა რუსეთის ოპოზიციაში ფულის ჩადებას, წავიდოდა ბელორუსში ოპოზიციის მხარდასაჭერად, მას რუსეთი ეცოტავებოდა. იგი რეალობას აბსოლუტურად მოწყდა. ახალ თაობას კი, რომელსაც ცვლილებები სურს, ბერეზოვსკი არ უნდა“,** — ამბობს პუტინთან დაახლოებული წყარო.

გაყიდვა

როდესაც დაუგირავებელი და გაუყიდავი უძრავი ქონება აღარ დარჩა, პირადი ნივთების ათვისება დაიწყო. ქონების ნაწილს იგი აუქციონებზე ყიდდა. „ფორბსის“ კორესპოდენტი უკანასკნელ ვაჭრობას დაესწრო, რომელიც ნახევრადცარიელ დარბაზში მიმდინარეობდა. Christie's-ის აუქციონისტმა უკვე გაყიდა შაგალის, მატისის ჩანახატები და 2,8 მილიონად ედვარდ მუნკის „გოგონა ნაპირზე“. ჯერი ენდი უორჰოლზე მიდგა — სცენაზე გამოიტანეს „წითელი ლენინი“, რომელიც რუსმა კლიენტმა 110 000 ფუნტად იყიდა. ბერეზოვსკის ქონება ვაჭრობიდან ჩუმად ქრებოდა. მოგვიანებით, როცა კორესპოდენტმა ბერეზოვსკის ჰკითხა, კიდევ შეხვდება თუ არა მას აუქციონზე, ბერეზოვსკიმ გაიცინა: „თქვენ მართლაც ფიქრობდით, რომ იქ მივალ? აუქციონების მსვლელობების შესახებ მხოლოდ Fantom Opera-დან ვიცი. იქ პირადად არასდროს ვყოფილვარ“. ლეონიდ ბოგუსლავსკი იხსენებს, რომ ბერეზოვსკი ფულს ხშირად სესხულობდა, თუმცა ადრე ამხელა ვალები არასდროს ჰქონია. „ფორბსის“ ინფორმაციით, მას ადვოკატების 40-50 მილიონი ემართა. 50 მლნ მაქსიმ ბაკიევისგან, ყირგიზეთის ყოფილი პრეზიდენტის ვაჟისგან ისესხა, კიდევ 30 მლნ ბიზნესმენ მიხაილ ჩერნოვს გამოართვა. ბერეზოვსკის უნდა გადაეხადა აბრამოვიჩის სასამართლოს ხარჯები — 62 მლნ, გალინა ბასაროვას ვალი 100 მლნ-ს აღწევდა, კიდევ 8 მლნ-ზე პრეტენზიას აცხადებდა მესამე ცოლი ელენა გორბუნოვა. ჯამში, ბანკის კრედიტების გამოკლებით, 300 მილიონი მართებდა. სასამართლომ, გორბუნოვას საქმეზე უზრუნველყოფის სახით, შატო დე ლა გარუპის მამული და ვილა კროშე დე ლა გარუპი დააპატიმრა, რომლებიც ბერეზოვსკიმ ჯერ კიდევ 1996-97 წლებში შეიძინა. ბერეზოვსკის ერთ-ერთი მეგობრის თქმით, ამჟამად ეს უძრავი ქონება 300 მლნ-ზე მეტი ღირს. თუმცა, იმ მომენტში ბერეზოვსკის ფრანგული მამულების გარდა, სხვა მილიონიანი ქონება აღარ დარჩა.

სანამ ბინას უყიდიდნენ, ბერეზოვსკი მეგობარს ურეკავდა: „გემუდარები, სიცოცხლეში ეს ჩემი უკანასკნელი თხოვნაა. იზრუნე კატიაზე, მიეცი მას თუნდაც 2000 დოლარი“, — ამბობს ბერეზოვსკის ერთ-ერთი მეგობარი. თუმცა, მან ამ სიტყვებს დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭა, რადგან ბერეზოვსკის ასე საუბარი ადრეც სჩვეოდა. მით უმეტეს, იგი მეგობარს სთხოვდა, ფული მიეცა ნაცნობ ეკატერინა საბიროვასთვის თელ-ავივში გასამგზავრებლად, სადაც 23 მარტს, საღამოს, თავადაც უნდა გაფრენილიყო. სიძისგან 5000 დოლარის სესხება და თელ-ავივის ბილეთების ყიდვა ბერეზოვსკიმ მანამდე მოასწრო, თუმცა, მგზავრობა არ შედგა. გაფრენის დღეს, 23 მარტს, მისი ცხედარი სოფელ ასკოტის მომცრო მამულში, აბაზანაში იპოვეს. ოდესღაც მან მამული გალინა ბაშაროვას უყიდა და, ბოლო თვეების მანძილზე, იქ ყოფილი ცოლის თანხმობით ცხოვრობდა.

შსს-მ „ქურდული სამყაროს“ 6 წევრი დააკავა

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს და ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული სპეციალური ოპერატიული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით, წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირები: 1978 წელს დაბადებული არტემ ა. 1984 წელს დაბადებული საიდ ა. 1973 წელს დაბადებული არაიკ ა. დააკავეს. სამართალდამცველებმა ამავე ბრალდებით, თბილისის სხვადასხვა უბანში ერთდროულად დააკავეს 1983 წელს დაბადებული გიორგი კ. 1990 წელს დაბადებული მალხაზ ნ. და 1983 წელს დაბადებული გიორგი ქ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები აღიარებენ ე. წ. ქურდულ სამყაროს, ამ სამყაროს წესების დაცვით მონაწილეობდნენ ე. წ. ქურდულ გარჩევებში და მოქალაქეებისგან დაშინებისა და მუქარის გზით, ე. წ. ობშიაკისთვის გარკვეულ თანხებს ითხოვდნენ. ასევე მუდმივად იძიებდნენ და ადგენდნენ იმ ობიექტებს, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა თანხის ამოღება.

სამართალდამცველებმა ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის სპეციალური სამალავიდან ამოიღეს კალაშნიკოვის კონსტრუქციის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდით და 44 საბრძოლო ვაზნით, ასევე „ტე-ტე“-ს ტიპის პისტოლეტი 2 მჭიდით და 16 საბრძოლო ვაზნით.

ასევე ამოღებულია დიდი ოდენობით ფული და ე. წ. ქურდული ობშიაკისათვის თანხების შეგროვების ამსახველი შავი ჩანაწერები. სამართალდამცველებმა დანაშაულებრივი გზით შეძენილი „ბე-ემ-ვე იქს 5“-ის მოდელის მანქანა ამოიღეს, რომლითაც დაკავებულები დანაშაულებრივი ქმედების დროს გადაადგილდებოდნენ. გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობის და კანონიერი ქურდობის ბრალდებით მიმდინარეობს (სსსკ-ს 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც 5-დან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს).

„ვერსიანიუსი“

დავით უსუფაშვილმა ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის აღდგენის აუცილებლობაზე ისაუბრა

სტამბოლში, საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია, დავით უსუფაშვილის ხელმძღვანელობით, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის მონაწილე აშშ-ის დელეგაციის ხელმძღვანელს, სენატორ როჯერ უიკერს, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტ რობერტ ადერჰოლტს და აშშ-ის დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილეს, სპეციალურ წარმომადგენელს ტრეფიკინგის საკითხებზე კრისტოფერ სმიტს შეხვდა.

პარლამენტის თავმჯდომარემ აშშ-ის დელეგაციას მოკლედ გააცნო საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და რეფორმები.

პარლამენტის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის აღდგენის აუცილებლობას საქართველოს ტერიტორიაზე და რუსეთის მიერ განხორციელებულ ბოლოდროინდელ ქმედებებზე გაამახვილა ყურადღება. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ვილნიუსის სამიტსაც. აშშ-ის დელეგაციის წევრებმა გამოხატეს საქართველოსადმი სრული მხარდაჭერა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში დახმარების მზადყოფნა გამოთქვეს.

დავით უსუფაშვილმა სენატორ როჯერ უიკერსი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მოიწვია.

„ინტერპრესნიუსი“

ფრანგული კომპანია „პომა“ ჭიათურაში საბაგირო გზების რემონტს იწყებს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ფრანგული კომპანია „პომა“ ჭიათურის რაიონის საბაგირო გზით დაინტერესდა. კომპანია მზადაა, ავარიული და მწყობრიდან გამოსული საბაგირო გზა შეაკეთოს, რაშიც ჭიათურის რაიონის გამგეობაც ეხმარება. ჭიათურაში 15 საბაგირო გზაა და მთელ ქალაქში, ეს ერთადერთი საზოგადოებრივი ტრანსპორტია, ამიტომ მის შეკეთებას რაიონისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ფრანგული კომპანია „პომა“-ს საქართველოში წარმომადგენელი კი, ყოფილი დეპუტატი სერგო იაკობიძეა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის მიერ, 9 წელია, იძულებით ემიგრაციაში იმყოფება. მეტიც, ყოფილ დეპუტატსა და „საფოსტო ბანკის“ პრეზიდენტს, ინტერპოლით ეძებდნენ, ამის მიუხედავად, ფრანგებს უკან არ დაუხევიათ და სერგო იაკობიძე საკუთარ კომპანიაში აიყვანეს. ამ საკითხზე „ვერსიას“ არასამთავრობო ორგანიზაციის — „მე დავბრუნდები“ თავმჯდომარე, ინა ასანიძე ესაუბრება.



რა წინადადებას სთავაზობენ ფრანგები „ჭიათურმანგანუმს“ და რა ბედი ელის კომპანიის ბალანსზე არსებულ 16 საბაგიროს?

„ვარდების რევოლუციიდან“ სულ ცოტა ხანში, 2003 წელს, „საფოსტო ბანკის“ მაშინდელი პრეზიდენტი, სერგო იაკობიძე, რომელიც ჭიათურის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატიც იყო, ნაციონალურმა მოძრაობამ აიძულა, საქართველო დაეტოვებინა და წლების მანძილზე კიევში ცხოვრობდა. როგორც ინა ასანიძემ „ვერსიას“ განუცხადა, სერგო იაკობიძეს ინტერპოლიც ეძებდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ფრანგული კომპანია „პომა“ მაინც დაინტერესდა და საქართველოდან დევნილი ბიზნესმენი საკუთარ კომპანიაში დაასაქმა:

„როგორც იცით, ჭიათურა მაღაროელთა ქალაქია და ფაქტობრივად, საბაგირო ერთადერთი ტრანსპორტია ქალაქისთვის. საბაგიროები სავალალო მდგომარეობაშია, ვაგონებში შუშები ჩამტვრეულია, წვიმა ჩამოდის და თითოეული მათგანი ავარიულ მდგომარეობაშია. თქვენ წარმოიდგინეთ, მაინც ფუნქციონირებს, რადგან ჭიათურელებს სხვა გამოსავალი არ აქვთ. ქალაქში 15 საბაგირო, მათგან 4 — ჭიათურის რაიონის მუნიციპალიტეტს, ხოლო 11 — „ჭიათურმანგანუმს“ ეკუთვნის. ამჟამად სერგო იაკობიძე დაბრუნდა საქართველოში, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ფრანგული კომპანია „პომა“ საბაგირო გზის შეკეთებით დაინტერესებულიყო. ფრანგები მხოლოდ იმ 4 საბაგიროს შეაკეთებენ, რომლებიც რაიონის მუნიციპალიტეტის ბალანსზეა და ხელს არ მოკიდებენ დარჩენილ 11 საბაგიროს, რადგან ეს საბაგიროები ქვეყნის ერთ-ერთ უმდიდრეს კომპანიას ეკუთვნის“, — გვიამბობს ინა ასანიძე. მისივე თქმით, ჭიათურა ერთდროულად, მდიდარ და ღარიბ ქალაქად ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი მანგანუმითაა მდიდარი, ყველაზე მეტად სწორედ, ჭიათურის მაცხოვრებლებს უჭირთ. ინა ასანიძე ამბობს, რომ „ჭიათურმანგანუმს“ აქამდეც უნდა ეზრუნა მის ბალანსზე არსებული საბაგირო გზების რემონტზე:

„ახლა ხომ მაინც უნდა დაინტერესდნენ „ჭიათურმანგანუმის“ ხელმძღვანელები, რადგან ფრანგული კომპანია გამოჩნდა ქალაქში და მზადაა, 4 საბაგირო გაარემონტოს. „ჭიათურმანგანუმის“ ხელმძღვანელობაზე უკეთ ვინ იცის, რომ მაღაროელების ერთადერთი სატრანსპორტო საშუალება საბაგიროა და ნუთუ, ქალაქის მოსახლეობის ბედი არ უნდა აღელვებდეთ? საერთოდ არ დაინტერესებულან, მაგრამ ზუსტად ვიცი და თქვენც გეტყვით, რომ ფრანგულ კომპანიას შეუძლია, „ჭიათურმანგანუმს“ დაბალპროცენტიანი კრედიტი მისცეს, თუ კომპანია საკუთარ თავზე აიღებს და მის ბალანსზე არსებულ, 11 საბაგირო გზას შეაკეთებს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ „პომას“ წარმომადგენლები ამ თემასთან დაკავშირებით აპირებენ, „ჭიათურმანგანუმის“ ხელმძღვანელობას აგვისტოში შეხვდნენ, რათა ამ საკითხზე იმსჯელონ. იმედი მაქვს, „ჭიათურმანგანუმის“ ხელმძღვანელები, ახლა მაინც აიღებენ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას და კომპანიის ბალანსზე არსებულ 11 საბაგიროს შეაკეთებენ“.

საინტერესოა, რომ ჭიათურაში არსებული 24 საბაგიროდან ერთ-ერთი, 1953 წელს შევიდა ექსპლოატაციაში, რომელსაც „25-ე საბაგიროს“ უწოდებენ და რომელსაც ყველაზე მეტი რაოდენობის ხალხის გადაყვანა შეუძლია. ფრანგულ კომპანიას სურს, რომ ეს საბაგირო საფრანგეთის მუზეუმში წაიღოს, როგორც ერთ-ერთი უძველესი და უნიკალური ექსპონატი:

„ფრანგული კომპანია „პომა“, მხოლოდ ჭიათურელების თანხმობის შემთხვევაში წაიღებს ამ ისტორიულ საბაგიროს საფრანგეთის მუზეუმში. ცხადია, თუ ჭიათურის მუნიციპალიტეტიც თანახმა იქნება, მაგრამ, ჩემი აზრით, წინააღმდეგობას აზრი არ აქვს. ამ საბაგიროს ღირებულება მხოლოდ ის არის, რომ 1953 წელსაა გამოშვებული, იმდენად ძველია, რომ მსოფლიოში მისი ანალოგი აღარ არსებობს. ალბათ, გიკვირთ, ამ თემით რატომ დავინტერესდი, ხომ ასეა? როგორც გითხარით, არასამთავრობო ორგანიზაციას „მე დავბრუნდები“ ვხელმძღვანელობ, რომელიც ემიგრანტების თემაზე მუშაობს. სერგო იაკობიძეც ემიგრანტია და შესაბამისად, დიდი სურვილი მაქვს, ფრანგულმა კომპანიამ, რომელსაც სერგო წარმოადგენს, ჭიათურის მოსახლეობისთვის ეს საბაგირო გზები შეაკეთოს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მადარდებს, რა ბედი ეწევა იმ საბაგიროებს, რომლებსაც „ჭიათურმანგანუმი“ ფლობს, თორემ მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული 4 საბაგირო აუცილებლად გაკეთდება, რაც ქალაქისთვის საკმარისი არ არის. ჭიათურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ქალაქის გამგებელი, სულხან მახათაძე თავიდანვე აღფრთოვანებით შეხვდნენ ფრანგებს, რადგან ამ წინადადებაზე უარის თქმა ქალაქის ღალატის ტოლფასი იქნებოდა. სულ რაღაც ორი კვირაა, რაც ფრანგული კომპანია ამ საკითხით დაინტერესდა, საბაგიროს შეკეთებას კი დაახლოებით, 1 წელი დასჭირდება“.

როგორც ინა ასანიძემ აგვიხსნა, „პომა“ ის ფრანგული კომპანიაა, რომელმაც თბილისის საბაგირო გზა შეაკეთა. სწორედ ასეთი თანამედროვე, ლამაზი დიზაინის და კომფორტული საბაგირო გზა დამონტაჟდება ჭიათურაშიც. რაც შეეხება ფასს, ინა ასანიძე ამბობს, რომ ახლა ზოგი საბაგირო უფასოა, ზოგან მგზავრობა 5 თეთრი, ზოგან კი — 10 თეთრი ჯდება. რა თქმა უნდა, გარემონტების შემდეგ, გამორიცხული არ არის, მგზავრობის ღირებულება გაიზარდოს, მაგრამ ცხადია, ნებისმიერ ჭიათურელს ურჩევნია, 15 თეთრი გადაიხადოს და დაცული იყოს, ვიდრე 5 თეთრს იხდიდეს და არ იცოდეს, დანიშნულების ადგილზე მიაღწევს, თუ არა.

„აღდგეს მე-4 კლინიკური საავადმყოფო და ექიმებს მიეცეს ადამიანების გადარჩენის საშუალება“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

„თავისუფალი საქართველო“ მოითხოვს აღდგეს მე-4 კლინიკური საავადმყოფო და ექიმებს ადამიანების ჯანმრთელობის გადარჩენის საშუალება მიეცეს. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ალექსანდრე შალამბერიძე აცხადებს, რომ საუბარია ქვეყანაში ერთ-ერთ ჰოსპიტალზე, რომელსაც მინისქვეშა სპეციალიზებული საოპერაციოები აქვს და 2008 წლის ომის დროს დაჭრილების გადასარჩენად გამოიყენებოდა.

— ეს შენობა იურიდიულად ჯერ კიდევ მეოთხე საავადმყოფოს ეკუთვნის, პრაქტიკულად კი — სამედიცინო ინსტიტუტზეა გასხვისებული. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ კამოს ქუჩა გაყიდა და მე-4 კლინიკურის (რომელიც რენტაბელური იყო) ექიმებს ბაზა წაართვა. ეს იყო ერთ-ერთი ჰოსპიტალი საქართველოში, რომელსაც მინისქვეშა სპეციალიზებული საოპერაციოები აქვს და 2008 წლის ომის დროს დაჭრილების გადასარჩენად გამოიყენებოდა. ეს ექიმები უცერემონიოდ გარეთ გამოყარეს. საავადმყოფოს აღდგენას და მოსახლეობის სამსახურში ჩაყენებას მოვითხოვთ. ავადმყოფებს ჯანმრთელობის დაცვის კერა, ხოლო ექიმებს სამუშაო ადგილი უნდა დაუბრუნდეთ.

— ახლა რას საქმიანობენ სამსახურის გარეშე დარჩენილი ექიმები?

— დიდი ნაწილი სამსახურის გარეშე დარჩა და მხოლოდ ერთი ჯგუფი სხვა საავადმყოფოებში გადანაწილდა; დღეს ისინი გაერთიანებულნი არიან და ჩვენთან ერთად იბრძვიან. სხვათა შორის, 1 ივლისს საავადმყოფოს შექმნიდან 50 წელი სრულდება. ამასთან დაკავშირებით, დიდი საპროტესტო აქცია გვექნება მოთხოვნით, დავიბრუნოთ მოსახლეობამ კლინიკა. ეს ადამიანები, ასევე გაერთიანებული არიან სხვა საავადმყოფოებთან, პოლიკლინიკებთან ერთად, რომლებიც საკაშვილის ხელისუფლების დროს დაანგრიეს, მთელი სისტემა გააპარტახეს. გახსოვთ, ჯერ ასი საავადმყოფოს გეგმა იყო, მერე 150-ის. ამის სანაცვლოდ, მთელი საავადმყოფოებისა და კლინიკების ნგრევა განხორციელდა. საჭიროა, რაც ჯერ არ არის დანგრეული, ისევ დაბრუნდეს ექიმების, მოსახლეობის ხელში და ჩვენ, ყველამ, ნორმალური ცხოვრება განვაგრძოთ.

— როგორია მეოთხე საავადმყოფოსთან დაკავშირებით მთავრობის, ჯანდაცვის უწყების პოზიცია?

— სხვათა შორის, რამდენიმე აქცია ჩავატარეთ იმავე დამწვრობის ცენტრთან, მეცამეტე პოლიკლინიკასთან დაკავშირებით. ჯანდაცვის მინისტრი გამოგვეხმაურა, რომ დეკემბერში, თითქოს კომისია შეიქმნა, რომელიც ამ საკითხებზე მუშაობსო; ისიც კი ბრძანა, ღია კარს რატომ ამტვრევთო; ჩვენ ამ დროს, კომისიის მუშაობის შედეგებზე არაფერი ვიცით, რადგან ძველი ვითარება გრძელდება. ექიმები გარეთ არიან და დაბრუნების პროცესი არ მიმდინარეობს; ვითარება ისეთივე რჩება, რაც ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნისას იყო. ამდენად, მინისტრს წერილი მივწერეთ, რომ წარმოადგინოს ინფორმაცია, კონკრეტულად რას აკეთებს სამინისტრო, რომ ეს პრობლემა გადაწყდეს.

— თუ სათანადო რეაგირება არ იქნება, რას მოიმოქმედებთ?

— ჩვენ ბრძოლას ვაგრძელებთ. მე ნაციონალებს ვებრძოდი და ახლა ოცნებას ვაკრიტიკებ. ექიმებს საავადმყოფო უნდა ჰქონდეთ და ადამიანებს ჯანმრთელობის დაცვის კერა, გაუგებარი აქ რა უნდა იყოს? დღეს, საქართველოში ნეოლიბერალიზმის დაკანონების ადგილი ნამდვილად არ არის. ნათლად ჩამოყალიბებული პრობლემაა, რთულ სოციალურ გარემოში მოსახლეობის გადარჩენა გვჭირდება. ამიტომ, სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია. ის, რაც წინა ხელისუფლებამ დააშავა, დროულად უნდა გამოსწორდეს, დაბრუნდეს სტრატეგიული ქონება მოსახლეობის ხელში. ადამიანებს უფასოდ ჯანდაცვის საშუალება უნდა ჰქონდეთ, რათა ფიზიკურად გადარჩნენ. შემდგომ, როცა ქვეყნის ეკონომიკა, თითოეული მოქალაქე გაძლიერდება, გადავიდეთ ლიბერალიზმზე და ეკონომიკის სრულ გათავისუფლებაზე. ასეთ პირობებში, ჯანდაცვის სისტემის ლიბერალიზაცია საშიში აღარ იქნება.

გელა ქოქიაშვილი

ქვათა მატიანე ხერთვისის მიდამო

დასავლეთ ჯავახეთი

ხერთვისის ციხესიმაგრის შიდა ხედები

კლდეში ნაკვეთ კომპლექსებზე თხრობისას რაღა არ გავიხსენეთ და რა ეპოქას არ შევეხეთ, მაგრამ ერთ დანიშნულებაზე არაფერი გვითქვამს. არადა, კლდის ეს სოფლები ძალიან ხშირად მომხვდურთაგან თავდაცვის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება იყო. აი, რის გამოც ფართოვდებოდა ეს კომპლექსები. ამ მხრივ განსაკუთრებული პერიოდი იწყება ოსმალოს მიერ სამცხე-ჯავახეთის მიტაცებიდან. ამ დროს დაიწყეს ქართველებმა ახალი ქვაბების კვეთა მიუდგომელი სიმაღლის კლდეებში და ძველი ქვაბების ამოშენება-შენიღბვა.

ერთ-ერთი ასეთი კლდის სოფელია **ფია**, რომელიც მტკვრის მარცხენა ნაპირზეა და ჩვენთვის უკვე ნაცნობი ჭოლდიდან ჩრდილოეთით 2-3 კილომეტრშია.

თანამედროვე ფია ძველი ფიის ქვევითაა და კარგი სანახავია, მაგრამ ძველ ფიას, რომელიც ასიოდ მეტრშია, სულ სხვა ხიბლი აქვს. მართალია, აქ ბანიანი სახლების კვალიც კი არსად ჩანს, მაგრამ შემორჩენილია ორი უძველესი ეკლესია და კლდის ნაპრალში რამდენიმე იარუსად გამოკვეთილი, არწივის ბუდის მსგავსი ქვაბები. ვუყურებ და ვერ გამიგია არა მარტო ის, თუ როგორ გამოკვეთეს სოფელი კლდეში, არამედ ისიც, როგორ ადიოდნენ მასში. ძნელი სათქმელია, გაჭირვების ჟამს ფიელებს კლდეშიც ჰქონდათ თუ არა სამლოცველო, მაგრამ უმთავრესად ხევში რომ ჩამოდიოდნენ ამ მიზნით, ამას ზევით ნახსენები ორი, ღამის გვერდიგვერდ მდგარი ეკლესია ადასტურებს.

გზაზე თავდაპირველად X საუკუნის **წმინდა თევდორეს** კარგად შემონახული ტაძარი შეგხვდებათ. ეს გახლავთ ტაძრის უსამკაულო გაფორმების უნიკალური ნიმუში. იგი ჩამჯდარია სუფთად გათლილი, ტრაპეციასთან მიახლოებული ფორმის სხვადასხვა ზომის ქვიშაქვის კვადრების პერანგში. დეკორს სწორედ პერანგის „ნაკერთა“ ჰარმონია ქმნის. ეკლესიას აქვს ორი წარწერა. ერთი მათგანი დასავლეთ სარკმლის თავზეა და ასე იკითხება: „მჭედლისა არს გაბელისა“. უმთავრესი წარწერა ინტერიერში, ტრაპეზეს ქვაზეა და ადრე ისიც უკეთ იკითხებოდა: „**სახელითა ღმრთისაითა მე ჩქარმან** (თუ ჩექურმან? — **გ.ქ.) და ძმათა ჩემთა დავდგით ესე ეკლესიაი. ქორინიკონი იყო სიე** (ე.ი. 995 წელი — **გ.ქ.**)“ აქვე, ინტერიერში ყურადღებას იქცევს საკურთხევლის აფსიდის ჩაშავებული მაცხოვრის ფრესკა, რომელიც სპეციალისტთა დასკვნით, სტილისტურად, ტაო-კლარჯეთის ფრესკებს იმეორებს.



გელსუნდის კომპლექსი და მისი ერთ-ერთი უბნის სახიზარი

ამ ტაძრიდან აღმოსავლეთით, ასიოდ მეტრში, დგას მეორე, უფრო დიდი და ძველი ეკლესია „**წმინდა გიორგი**“. ისიც დარბაზულია, ოღონდ სახურავი აღარ აქვს. „წმინდა გიორგის“ პერანგი რამდენადმე შალოშეთისა და ალანძიის ტაძრების პერანგს წააგავს. სამკაულები არც მას აქვს, ოღონდ აქ დეკორის დანიშნულებას ასრულებს სამხრეთის ფასადზე გავლებული წითელი ქვის რამდენიმე რეგისტრი. ტაძარს ორი შესასვლელი აქვს — სამხრეთისა და დასავლეთის. დასავლეთისა ორივე მხრიდან არქიტრავულია და ამდენად, უფრო ძველიცაა. ძეგლს IX-X საუკუნით ათარიღებენ და აქვს რამდენიმე წარწერა. სამხრეთ ფასადის მარჯვენა დაბალ კუთხეში ასომთავრულიდან ნუსხურზე გარდამავალი გრაფემები გვამცნობს: **„ესე ეკლესიაი წმიდისა გიორგისი. ესე ქვა მე დავსუი გრძელიძემ ვაჰრამ“.** ამავე ფასადზე, დასავლეთ მონაკვეთში, ლავგარდანის ყუაზე ასომთავრული წარწერით მოხსენიებულ არიან **ახოანი, ომანი, იესე და საკოცარი** (?) კუმურდოს ამგებიც ხომ საკოცარი იყო! აქვე ვხვდებით სხვა მლოცველების სახელებსაც და მგლის გამოსახულებასაც (სამხრეთ ფასადის დასავლეთ კუთხის აყოლებაზე).

ეკლესიებთან ახლოს ყურადღებას იპყრობს პატარა კლდე თუ კლდის ნასხლეტი, რომელშიც საწნახელია ამოკვეთილი. მნახველმა ერთი პირობა, შეიძლება ისიც იფიქროს, რომ ეს საწნახელი დიდი კლდიდანაა მოწყვეტილი და აქ ჩამოგორებული.

... ფიიდან ჩრდილოეთით, მტკვრის ამავე სანაპიროზე და ხერთვისის მოპირდაპირედ არის პატარა სოფელი **გელსუნდა**, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში აჭარიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტებითაა დასახლებული. სოფლის თავზე, კლდეში რამდენიმე იარუსად და უბნად გამოკვეთილი ქვაბების ჯგუფია, რომელიც სიდიდით მხოლოდ ვარძიასა და ვაჰანს თუ ჩამორჩება. იგი ვარძიისაკენ მიმავალი გზიდანაც მოჩანს და არ ვიცი, ვისზე რა შთაბეჭდილებას ახდენს, მე კი მიახლოებისას ნოეს კიდობანი წარმომიდგა თვალწინ. კომპლექსის ყველა უბანში მოხვედრა შეუძლებელია, ბევრგან ბილიკია მოშლილი, ბევრგან გვირაბი და ლუკია ამოქოლილი. შედარებით იოლად მოხვდებით ცენტრალური უბნის ცენტრალურ, დიდ დარბაზში, რომელიც ძალიან წააგავს მირაშხანის დარბაზს. აქვეა რამდენიმე სხვადასხვა ფორმის, მოცულობისა და დანიშნულების ქვაბი. **და მაინც, რაც ყველაზე უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე, პირველი უბნის ერთი მცირე კომპლექსია, რომლის ქვედა ქვაბიდან ზედა ქვაბ-სახიზარში საფეხურებიანი ლუკი მიემართება. იგი დაახლოებით 5 მეტრის სიგრძისაა და სრულდება დოლაბის მსგავსი ქვის კარით, დაახლოებით ისეთით, როგორიც კაპადუკიის მიწისქვეშა ქალაქებს აქვს.**

კარს დიდი გაჭირვებით ვაღებთ და ანთებული კვარით მოზრდილ ოთახში შევდივართ... ნუთუ, აქედან არსად გადის გვირაბი? ვეძებთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ვაკვლევთ. ამასობაში კვარი გვიქრება და სრულ უკუნში ვრჩებით. ერთ ხანს ასე ვართ, სანამ ქვის კარის ღრიჭოდან შემოღწეულ მკრთალ შუქს თვალს არ შევაჩვევთ და აღმოვაჩენთ, რომ სახიზარ ოთახში ვიმყოფებით.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ვბრუნდებით და სახელგანთქმულ **ხერთვისს** ვაკითხავთ. ციხესიმაგრის ნახვამდე ამავე სახელწოდების სოფელში შევდივართ. მამაკაცები სამუშაოდ წასულან: ზოგი — ასპინძაში, ზოგი — ახალციხეში, ზოგიც საქონელს აძოვებს სიახლოვეში. სოფლის თემშარაზე ბალღები დარბიან, ერთგან კი, ეზოს წინ, რამდენიმე დედაკაცი ჩამომსხდარა მერხზე და ხელსაქმობს.

ერთი ეგვიპტელი ფარაონის ვეზირს 5 ათასი წლის წინათ ასეთი სიბრძნე დაუწერია — საიდუმლო აზრი (ჭეშმარიტება) მალაქიტის პატიოსან ქვასავითაა დაფარული და ზოგჯერ იმ დედაკაცთან იპოვნით, დოლაბს რომ ატრიალებს და ხორბალს ფქვავსო. მეც ხერთვისელ დედაკაცებს ვუახლოვდები და სალამ-ქალამის მერე იმას ვეკითხები თუ სად აქვთ მთავარი ეკლესია.

— ხერთვისის ციხეში ერთი ეკლესია გვაქვს, ახალი აღდგენილია, მაგრამ უფრო ძველი და დიდი ეკლესია ზევით, კვარშაში გვიდგას. დანგრეული კია, მაგრამ, აბა, ის უნდა ნახოთ როგორია, მააშ!..

— ნანახი გვაქვს, მაშ არა?! — მეც ჯავახურად ვუქცევ, — ზუსტად ხერთვისის თავზეა. აქედან ბილიკიც უნდა ადიოდეს... VII საუკუნეში აუგიათ.

— ეგრეა... საქონელიც, ძირითადად, კვარშისკენ დაგვიდის. ის ადგილები ძველთაგან ხერთვისელებისაა.

მართალი ყოფილა ეგვიპტელი ვეზირი. რასაც ვეჭვობდი, სწორედ ის დამიმოწმა ხერთვისელმა დედაკაცმა: **ხერთვისი ოდითგან ჯავახეთის ისტორიული ცენტრის — წუნდის დიდი დასახლების ქვედა, ჩამკეტი ციხე უნდა ყოფილიყო. თავისთავად, სიტყვა ხერთვისი ორი ხევის შესართავს (რთვა) ნიშნავს და ხანმეტი ზმნის ფორმიდან გამომდინარე, ტოპონიმია. მაღლა, ჯავახეთისა და არტაანის მტკვრის წყალგამყოფ ქედზე ცხეკნელა-კვარშა-კუმურდოს მონაკვეთში მდებარე დიდი წუნდა ისე ვერ გააკონტროლებდა მთელ ჯავახეთს, თუ ორი მდინარის შესართავთან და გზაჯვარედინთან მძლავრი ბასტიონი არ, ექნებოდა.** იოლი შესაძლებელია, ხერთვისი ციხესიმაგრე ადრე ამხელა არც ყოფილიყო, მაგრამ სანაცვლოდ, წუნდის დიდი გალავანის კედელში გახლდათ ჩართული. თუ გავიხსენებთ, ლეონტი მროველსაც ხერთვისი ძვ.წ-ის IV თუ II საუკუნის ამბებთან დაკავშირებით აქვს ნახსენები და ეს მაშინ, როცა ამჟამინდელი ციხის სამშენებლო ფენებში 25 საუკუნისწინანდელი კვალი თვალნათლივ არ იკითხება. ჩანს, X საუკუნეში იგი ძალიან გააფართოვეს და დამოუკიდებელ ციხე-ქალაქად აქციეს.

დიმიტრი ბაქრაძეს საკუთარი თვალით უნახავს ხერთვისის ეკლესიის ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი „მეფეთ-მეფე“ და თარიღი „სე“ ანუ 985 წელი. XIX საუკუნის დასაწყისამდე ციხის შესასვლელის კარზეც ყოფილა წარწერიანი ქვა, თუმცა იგი 4 საუკუნით გვიან ჩაუშენებიათ: **„სახელითა ღვთისაითა და შეწევნითა წმიდისა იოანე მახარობლისათა, ვიწყე მეფეთ-მეფისა მოლარეთუხუცესმა ზაქარია, ძემან ქამქამაშვილისამან, სოფელმან კოშკი და გალავანი ესე ქრონიკონისა მბ და გავათავეთ მდ. ღმერთო, გვილხინე, ამინ!“** ეს წარწერიანი ქვა დაკარგულია. წარწერაში ნახსენებ მეფეთ-მეფეში დავით IX უნდა იგულისხმებოდეს, რადგან 1354-56 წლებში სწორედ ის მეფობდა საქართველოში.

ხერთვისის აღდგენილი ციხის აღწერას აქ არ შევუდგებით, რადგან იშვიათია კაცი, რომელსაც საკუთარი თვალით არ უნახავს იგი.

ავტორის ფოტოები

ფიის „წმინდა გიორგი“ და საწნახელი



1. რობინ ჰუდის „სამოღვაწეო“ ტყე
2. ქუჩაში დაყრილი დიდი საგნებით შექმნილი დაბრკოლება
3. რუსი ნობელიანტი მწერალი
4. რეგულარული შემოსავალი კაპიტალიდან
5. ზღვისპირა დაბა ოზურგეთის რაიონში
6. ნიკოლოზ გოგოლის პიესა
7. მარადმწვანე წიწვოვანი ხე
8. ბუდისტური სალოცავი
9. დარტანიანის მსახური
10. ქვეყანა აფრიკაში
11. სუფრის ყურძის ჯიში
12. ლიხტენშტეინის დედაქალაქი
13. ცოდვათა მიტევების სიგელი
14. პანდორას ყუთში დარჩა
15. მსხვილი ქვიშა
16. ხერხემლის მკვეთრი გაღუნვა წინისკენ
17. ორმარცვლიანი მუხლი ანტიკურ ლექსთწყობაში
18. ქიმიურ იარაღად ხმარებული მომწამლავი აირი
19. ინგლისელი დრამატურგი
20. რაიმე პროდუქტის გემოს გასინჯვა მისი ხარისხის გასარკვევად
21. მიკი მაუსის მეგობარი „გოგონა“
22. სამეჯლისო ცეკვა
23. საგნის ზედაპირზე ჩაჭდეებული სამკაული
24. ... გურგულია
25. სომხეთის ვალუტა
26. აღმოსავლური ორთაბრძოლის სახეობა
27. სურათზე გამოსახული ქანდაკების ავტორი
28. გარეული ცხოველთა წინამძღოლი და მფარველი ქართ. მითოლოგიაში
29. ფოსო თვალის ქვეშ
30. ირლანდიის კელტების ქურუმი
31. კარგი ამინდი
32. ნაპოლეონის მშობლიური ქალაქი
33. ხვრელი თვალის ფერად გარსში
34. მთა თურქეთ-სომხეთის საზღვართან
35. ლიდიის ლეგენდარული მეფე, განთქმული უთვალავი სიმდიდრით
36. თოვლის ჯიქი
37. ვარსკვლავის წვერი
38. „უკანასკნელი მოჰიკანის“ ავტორი
39. წარმართული ღვთაების ქანდაკება, რომელსაც თაყვანს სცემენ
40. მდინარე პარიზში
41. კონსტანტინე არსაკიძის მოფერებითი სახელი
42. ინგლისელი მსახიობი ჯუდ ...
43. ჟორჟ ვეას სამშობლო
44. წყალსაცავი რაჭაში
45. მატყუარა
46. მიუნხენის „ბავარიის“ მწვრთნელი
47. ტოპმოდელი ... კასტა
48. მოკლე სწორი ხმალი
49. მოდგმა, შთამომავლობა
50. ფრანგული ჟურნალი ქალებისათვის
51. ე. წ. „ამერიკული პონჩიკი“
52. დავით აღმაშენებლის ვაჟის, ვახტანგის მეტსახელი
53. სიმებიან საკრავზე სიმების გადასაჭიმი ქვესადგამი ფირფიტა
54. ვაჟაფშაველას მოთხრობა
55. გარიჟრაჟის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
56. კუნძული პარიზში
57. აშშ-ის შტატი
58. იგივეა, რაც ბოქლომი
59. „... რა, რომ სვეტია, სვეტი იასამანი“
60. დროის დიდი მონაკვეთი
61. ევროპა-აზიის გამყოფი მთები
62. დიაოხის მეფე
63. NBA-ს გუნდი „... ჰიტი“
64. ვენეციის მმართველის ტიტული
65. წყალში მოზელილი ფქვილი
66. ...-კლარჯეთი
67. მშვენიერი ელენეს ქმარი
68. ესპერანტოს ვარიანტი
69. შუადღის დასვენება ლათინურ ამერიკის ქვეყნებში
70. ტიპოგრაფიული შრიფტის სახეობა
71. ხის საპობი იარაღი
72. იგივეა, რაც მამითადი
73. ბიბლიური კიდობნის ამგები
74. იგივეა, რაც მადა
75. ორი წერტილი კამათელზე
76. მაიკლ დუგლასის მამა ... დუგლასი
77. წარსულში ცნობილი ინგლისელი შავკანიანი ფეხბურთელი
78. ამერიკელი მწერალი
79. ... დე ფიუნესი
80. კუნძულ მადაგასკარზე მობინადრე გადაშენებული მორბენალი ფრინველი
81. თევზის ნახარშისგან მომზადებული წვნიანი კერძი
82. რეზო ესაძის კინოქალაქი
83. დეფაქტო და დე-...
84. წილი ბიზნესში

წინა ნომერში გასული სკანვორდის პასუხი

მე-14 გვერდი: 1. ვანკუვერი; 2 პოლონეთი; 3. მაქსიმუსი; 4. ნეპალი; 5. თანატოსი; 6. გრანელი; 7. რური; 8. ნოემბერი; 9. ლაიკა; 10. პანტაგრუელი; 11. ომალო; 12. ირისი; 13. აბრაუ; 14. რჯული; 15. უნამუნო; 16. გრიმო; 17. ლოტოსი; 18. ერი; 19. ალური; 20. უსამი; 21. ასული; 22. ოტავა; 23. ეტრატი; 24. უზი; 25. ვეროკიო; 26. ორჰან ფამუქი; 27. რტო; 28. ოსი; 29. „აეკი“; 30. აგრონომი; 31. ბჰუტანი; 32. აქთაუ; 33. ბერგამო; 34. ატა; 35. მოლარე; 36. სი; 37. „ევიტა“; 38. ია; 39. სერსო; 40. კარგო; 41. ელიოტი; 42. ასტრონომია; 43. ნოე; 44. სოს; 45. ფეტრი; 46. ობი; 47. ანიკო; 48. რაული; 49. ანონა; 50. არნი; 51. სარდალი; 52. რუ; 53. სუ; 54. მიმინო; 55. ზურნა; 56. ანემონა; 57. რიგა; 58. გესტაპო; 59. აზიმუტი; 60. შაშხი; 61. არი; 62. იუკონი; 63. იორი; 64. რკონი; 65. გერმანია; 66. კომა; 67. შიკოლონე; 68. ირი; 69. სერ; 70. „ოტო“; 71. მონა; 72. ოყა; 73. შური; 74. ერიკ; 75. ნანეტი; 76. მილიარდი; 77. მოგადიშო.

სათვალეს მაღაზიაში ძუსვლელად ძეაპრეგთ

ცნობილმა ამერიკულმა სავაჭრო ფირმამ Bloomingsdale შოპინგის სფეროში ახალი, უნიკალური გამოგონება წარმოადგინა. ამიერიდან მსურველს შეუძლია მხოლოდ მაღაზიის ვიტრინაზე გამოტანილ ციფრულ ეკრანს შეხედოს და ჭკვიანი მანქანა მაშინვე „მოგარგებთ“ მოწონებულ მზის სათვალეს. თანაც, სხვადასხვა რაკურსიდანაც შეგახედებთ, საკუთარი თავი უცხო თვალითაც რომ შეაფასოთ. ასე რომ, იმის ნაცვლად, რომ სათვალის საყიდლად მაღაზიაში მზისგან დამცავი ათობით აქსესუარი მოისინჯოთ, საკმარისია მხოლოდ ინტერაქტიულ ვიტრინას მიუახლოვდეთ — ის მომენტალურად დაიფიქსირებს თქვენს ვირტუალურ სახეზე ამორჩეულ სათვალეს. იქვე პროფილსაც შეიმოწმებთ და დამოუკიდებლად, სხვების რჩევების გარეშე გადაწყვეტთ, ღირს თუ არა ამა თუ იმ მოდელის ყიდვა.

ჰოროსკოპი
3 ივლისი

ჯერეი — ვერძები დღეს, შესაძლოა, უკმაყოფილოები იყვნენ კოლეგების ან ნაცნობების საქციელით, მაგრამ ეს მხოლოდ თქვენი შინაგანი უკმაყოფილების ან დღეგანდელი მოვლენების გამოძახილი შეიძლება იყოს. შეეცადეთ, დაფიქრებით მიუდგეთ საკითხს და არ გაიფუჭოთ ურთიერთობა გრშემომყოფებთან.

კურო — წარმატებული დღეა პარტნიორული ურთიერთობების განვითარებისთვის, ბიზნესის გაძყარებისა და საჭირო ადამიანებთან ურთიერთობების დალაგებისთვის. წარმატებული ის საქმეები აღმოჩნდება, რაც ფინანსებსა და ოჯახს უკავშირდება, თუმცა ბევრი რამ სწორი აქცენტების გაკეთებაზე იქნება დამოკიდებული.

ტყუპები — ტუუპებს ემოციების აღმაფრენა ელით, რაც პირად ცხოვრებას უკავშირდება. შეგიძლიათ იმედი გქონდეთ, რომ სწორედ ახლა შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს მოვლენები, თანაც თქვენს სასარგებლოდ. ურთიერთობები, ბოლოს და ბოლოს, მკვდარი წერტილიდან დაიძვრება. არ არის გამორიცხული პერსპექტიული ახალი ნაცნობობაც.

კირჩხიბი — დღეს ორატორული ოსტატობის გააქტიურებას უნდა ელოდოთ. შეგიძლიათ წარმატებით წარსდგეთ აუდიტორიის წინაშე. ადამიანები ეურადღებით მოგისმენენ და დაგეთანხმებიან. კარგი იქნება, თუ ამ შესაძლებლობას ჩინოვნიკებთან ან ხელმძღვანელობასთან გამოიყენებთ.

ლომი — კარგი ამბავი სასიამოვნოდ გაგაოცებთ, რომელსაც დღის დასაწყისში შეიტყობთ. ეს შეიძლება იყოს ინფორმაცია ნაცნობი ადამიანისგან, რაც მატერიალური სახის სარგებელს გპირდებათ, ანდა მესიჯი რომელიმე ორგანიზაციიდან, თქვენთვის საინტერესო შემოთავაზებით.

ქალწული — სავსებით შესაძლებელია, რომ ქალწულებმა დღეს თაეგანისმცემლისგან სიყვარულში აღიარება მოისმინონ. იყავით კეთილგონიერი, აღიარება ღირსეულად მოისმინეთ და ობიექტურად შეაფასეთ. თუკი ფიქრობთ, რომ გატეუებენ ან გელაქუცებიან, ნუ შეეცდებით, მაშინვე ხელი ჰკრათ ადამიანს.

სასწორი — სასწორები დღეს მხოლოდ გამართლებას ნუ დაეურდნობით, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი რისკისქვეშ აღმოჩნდებით. დაეურდნეთ მხოლოდ საკუთარ ძალებს, ჯანსაღ აზრსა და ინტუიციას. რაც მეტ ძალისხმევას გაიღებთ, ნებისმიერ საქმეში, მით მეტი წარმატების შანსი გექნებათ.

ღრიანკალი — საქმეებმა, შესაძლოა, მოვლენების მორევში ჩაგითრიოთ. მოგიწევთ დიდი დრო დაუთმოთ სამსახურის საქმეებს, მაგრამ ცოტა ხნით მაინც უნდა შეისვენოთ. ეოველ საათში ხუთწუთიანი შესვენება ძალებსა და კარგ განწყობას შეგინარჩუნებთ.

მშვილდოსანი — ახალი ინფორმაცია, რომელსაც შუადღისკენ მიიღებთ, დაგეხმარებათ, მნიშვნელოვნად გაიუმჯობესოთ ცხოვრების ხარისხი. ამ ცნობას ეურადღებით და პასუხისმგებლობით მოეკიდეთ, მნიშვნელოვანი დეტალები არ გამოგეპაროთ.

თხის რქა — დღეს შესაძლოა, თქვენი მტრები გააქტიურდნენ და შეეცადონ, ეველაფერში ხელი შეგიშალონ. თუმცა, ეველა მათი მცდელობის მიუხედავად, მაინც მოახერხებთ დაწყებული საქმის ბოლომდე მიეგანას. მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც გაგახარებთ და ნამდვილად წაგადგებათ.

მერწყული — კარგი იქნება, თუ დღეს მერწყულები ნათესავებს, ახლო მეგობრებს ან კარგ ნაცნობებს მოინახულებენ. ვითარება თქვენგან ახლობელი ადამიანის ცხოვრებაში უშუალო ჩარევას მოითხოვს. შეეცადეთ, სხვებს გაუგოთ და ასე საკუთარ თავსაც უკეთ შეიცნობთ.

თევზები — დღეს პირად საქმეებს პროფესიული ინტერესები გადაწონის. ახლა სწორედ ასეც უნდა მოიქცეთ. პირადული სხვა დროისთვის გადადეთ, ახლა კი შეეცადეთ დასახული საქმიანი გეგმების რეალიზებას.

მინისტრმა თავი დაიჯარიმა

იაპონელმა მინისტრმა ტაკუმი ნემოტომ, საკუთარი ნებით, თავი დაისაჯა — ერთი თვის ხელფასის ოდენობის ჯარიმა დაიკისრა სოციალურ ქსელში მისი ქვეშევრდომის უხეშობის გამო. დამნაშავე ჩინოვნიკი „ტვიტერში“ რეგულარულად აყენებდა შეურაცხყოფას 2011 წელს „ფუკუსიმაზე“ მომხდარი ავარიისას დაზარალებული რაიონების მცხოვრებლებს. ქვეყნის რეკონსტრუქციის მინისტრმა ნემოტომ, რომელიც ბირთვული ავარიის შემდეგ აღდგენითი პოლიტიკის კოორდინაციაზეა პასუხისმგებელი, შეურაცხყოფილი მოქალაქეების წინაშე მოსანანიებლად თავი დაიჯარიმა. რაც შეეხება მის თანამშრომელს, ის თანამდებობიდან მოხსნილია და სხვა უწყებაში გადასვლას ელოდება. სკანდალი ორიოდე კვირის წინ აგორდა და დამნაშავეც გაირკვა — 45 წლის მამაკაცი დაზარალებულების, კერძოდ, ბავშვების დახმარებაზე მუშაობს და ხშირად ჩადის ფუკუსიმას პრეფექტურაში. საკუთარ გვერდზე „ტვიტერში“ ის დახმარების მოლოდინში მყოფ ადამიანებს „სულელ უსაქმურებს“ უწოდებდა და ადგილობრივ ხელისუფლებასაც შეურაცხყოფდა.

შავკანიანებს თეთრი ბავშვი გაუჩნდათ

იტალიაში, ქალაქ პალერმოში მცხოვრებ ნიგერიელ ემიგრანტებს თეთრკანიანი შვილი გაუჩნდათ. მშობლები გაოგნებულები დარჩნენ, როცა მათ ახალშობილი მიუყვანეს. სამშობიაროს თანამშრომლების თქმით, ქმარმა ბავშვის ქერა თმა და ღია ფერის თვალები რომ დაინახა, ცოლს სკანდალი მოუწყო და ღალატში დაადანაშაულა. მხოლოდ კლინიკის მთავარი ექიმის ჩარევის შემდეგ, ოჯახში კვლავ მშვიდობამ დაისადგურა. ნიგერიელების ოჯახებში ალბინოსი ბავშვების დაბადება ძალიან იშვიათია, მაგრამ არის უნიკალური შემთხვევები. ასეთი პატარა 14 ათასში ერთი შეიძლება გაჩნდეს. ეს ახალშობილის მამასაც აუხსნეს და დაამშვიდეს, თუმცა პატარას ცოტა ხანში კვლავ გამოკვლევებს ჩაუტარებენ იმის დასადგენად, ეს მართლაც ალბინიზმის შემთხვევაა თუ გენეტიკურ მუტაციას აქვს ადგილი.

სიცხეში ბიუსჰალტერით გაგრილდებით

ამიერიდან ქალებს შეუძლიათ დაივიწყონ მარაოები ან ჯიბის ვენტილატორები და წლის ცხელ პერიოდს ღირსეულად შეხვდნენ. საცვლების მწარმოებელმა იაპონურმა კომპანიამ Triumph ბიუსჰალტერი გამოუშვა, რომლის წყალობითაც, სუსტი სქესის წარმომადგენლები ზაფხულის ხვატში თავს კომფორტულად იგრძნობენ. ამ სასწაულ ბიუსჰალტერში (რომელიც რატომღაც თევზების აკვარიუმივით გამოიყურება) ჟელეს საფენებია ჩადებული, რომელიც კარგად ინარჩუნებს სიგრილეს, თუმცა ცხელ ამინდში გასეირნების წინ, მათი კარგად „ჩაცივება“ არის საჭირო. გარდა ამისა, ყოველი შემთხვევისთვის, ბიუსჰალტერს Super Cool Bra მინიატურული მარაოც მოყვება, მანდილოსნებმა სიცხეში თავი ყოველმხრივ დაცულად რომ იგრძნონ. იაპონელმა მეწარმეებმა ასეთი საცვალი კონდიცირებისთვის საჭირო ელექტროენერგიის დაზოგვის აუცილებლობიდან გამომდინარე შექმნეს. ამომავალი მზის ქვეყანაში, ატომურ სადგურ „ფუკუსიმაზე“ შარშან მომხდარი კატასტროფის გამო, ელექტროენერგიის ეკონომიას დიდი ყურადღება ექცევა.

სასტუმრო არაორდინარული ადამიანებისთვის

გერმანიის დედაქალაქში, სასტუმრო Propeller Island City Lodge კლიენტებს, ნომრის გასაღებთან ერთად, ოთახის მოხმარების სახელმძღვანელოსაც აძლევენ. ეს სასტუმრო ხელოვნების ნამდვილი ნიმუშია. ყველა ნომრის ინტერიერი, ავეჯი და სხვა აქსესუარები მხატვარმა ლარს სტროშენმა შექმნა. არც ერთი ოთახი აქ ერთმანეთს არ ჰგავს. ყველა მათგანი უკომპრომისოდ, განსხვავებულად და რეალისტურად არის გაფორმებული — თავშეკავებულიდან ექსტრემალურამდე. ამიტომაც, ვიდრე კლიენტი ნომერში დასახლდება, კარგი იქნება, მისი ფოტოები ნახოს. აქ არის სარკის ოთახი, ნომერი-გალია, ოთახი დახრილი იატაკით, ზოგს შეიძლება ნომერი Upside მოეწონოს, სადაც

საწოლი ჭერზეა მიმაგრებული, ან ღამე საფლავის მსგავს ოთახში გაათიოს, ანდა ციხის კამერის მსგავსი ნომერი, სადაც უნიტაზი ოთახის შუაში დგას. ყოველი ნომერი აუდიოსისტემით არის აღჭურვილი, რომელიც კონკრეტული ნომრისთვის სპეციალურად შექმნილ მუსიკას მოგასმენინებთ, ხმოვან სკულპტურებსაც გაჩვენებთ და ხმაურიან კოლაჟებსაც წარმოგიდგენთ. ეს საკმაოდ ცვლის ნომრების ატმოსფეროს. ასეთი დროებითი საცხოვრებელი ტურისტებს დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს ჩუქნის და უკან დაბრუნების სურვილსაც გაუჩენს.

ჰოროსკოპი
4 ივლისი

ჯერეი — დღეს გაუთვალისწინებელი ხარჯები გელით, მაგრამ შეძლებთ სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებას. მიუხედავად ამისა, მაინც დირს შემოსავლების ახალი წყაროების ძიება. ეურადღებით იყავით ურთიერთობებისას და არ გამოგრჩეთ თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

კურო — კუროებს კარგი შესაძლებლობები ეძლევათ საიმისოდ, რომ ფინანსური მდგომარეობა გაიუმჯობესონ. მთავარია, წარმატებამ თავბრუ არ დაგახვიოთ და საფრთხილე არ დაივიწყოთ. ნუ დახარჯავთ ერთბაშად მთელ თანხას უსარგებლო ნივთებში. თავი ხელში აიყვანეთ და გონებას მოუხმეთ.

ტყუპები — დღეს შეიძლება მატერიალური მხარდაჭერა მიიღოთ იმ წყაროდან, რომლის იმედიც საერთოდ არ გქონდათ. სასიამოვნოდ გაგაოცებთ ძველი ნაცნობიც, რომელიც ღირსეულ დახმარებას გაგიწევთ თქვენი ხურვილის რეალიზებაში, მიუხედავად იმისა, რომ ის უკვე აუხდენელი ოცნება გეგონათ.

კირჩხიბი — კირჩხიბებს დღეს ზოგიერთი ფინანსური სირთულე ელით. შესაძლოა, ბევრი თანხა დახარჯოთ გაუთვალისწინებელ ნივთებზე ან ძველი ვალი დააბრუნოთ. სამაგიეროდ, პირად ცხოვრებაში ეველაფერი პირიქითაა — სასიამოვნო სიახლე გელოდებათ ან ვითარება თქვენთვის სასიკეთო მიმართულებით შეიცვლება.

ლომი — თქვენი ცხოვრების ტემპი მნიშვნელოვნად აჩქარდება. ფიქრი და მოქმედება საკმაოდ სწრაფად მოგიწევთ. პროფესიულ სფეროში გარკვეული გამოცოცხლებაა. შესაძლოა, სხვა საქმით დაკავდეთ ან სხვისი მოვალეობები შესრულოთ. მოთმინება და პატიოსნება ეველა სირთულეს გადაგალახვინებთ.

ქალწული — ქალწულებს დღეს ახალი ნაცნობობა, შეხვედრები, დისკუსიები ელით. შესაძლოა, მხარდაჭერები ახალ ნაცნობებში ნახოთ, მთი სიმპათია და ავტორიტეტული ადამიანების მფარველობა დაიმსახუროთ. გამოავლინეთ შემოქმედებითი აზროვნება და ნუ მოგერიდებათ ხუმრობების.

სასწორი — თქვენი კონტაქტურობისა და გახსნილობის წყალობით, ადვილად მოიპოვებთ ადამიანების ნდობას. ახალი ნაცნობობა არა მხოლოდ საინტერესო, არამედ ხელსაყრელიც იქნება. გაუმხილეთ თქვენი ჩანაფიქრი კოლეგებს ან ახლობლებს და მაშინვე მიიღებთ მათგან სასარგებლო რჩევებს მისი განხორციელებისთვის.

ღრიანკალი — თქვენი მონდომება დღეს ეველა წინააღმდეგობას დაღევს და დასახულს მიზანს მიაღწევთ. წარმატება გელით არა მხოლოდ პროფესიულ საქმიანობაში, არამედ პირად ფრონტზეც. შეგიძლიათ კარდინალურად, უკეთესობისკენ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება. დადგა დრო, როცა გადაწყვეტილება უნდა მიიღოთ.

მშვილდოსანი — მშვილდოსნებს შეუძლიათ დღეს საკუთარი პროექტების ნახევარი მაინც რეალობად აქციონ. თქვენთვის საქმიანობის ისეთი ახალი მიმართულებები გამოჩნდება, რომელიც საკმაოდ საინტერესო პერსპექტივებს დაგისახავთ — მატერიალურ კეთილდღეობას და მორალურ კმაყოფილებას.

თხის რქა — დღეს სერიოზული საუბარი მოგიწევთ საყვარელ ადამიანთან, რომელიც, სხვათა შორის, მხიარულ და სიამედო ნოტზე დასრულდება. ახლა სწორედ შესაფერისი დროა, დაალაგოთ ურთიერთობები ადამიანებთან, ვინც გაწუხებთ ან ვისაც თქვენ აწუხებთ. იყავით გულღია და პატიოსანი.

მერწყული — მერწყულებს გრანდიოზული ღონისძიება ელით: დიდი გამოფენა, ბაზრობა ან კარგი კონცერტი. შეგიძლიათ იმედი იქონიოთ არა მხოლოდ იმაზე, რომ დროს კარგად გაატარებთ და ესთეტიურ სიამოვნებას მიიღებთ, არამედ იმაზეც, რომ ახალ ადამიანებს გაიცნობთ ან ძველ მეგობარს შეხვდებით.

თევზები — თევზებს შემოქმედებითი ენერგიის მოზღვავების დღე აქვთ. თავში უჩვეულო აზრები და ორიგინალური იდეები მოგდით. როგორ განკარგავთ მას, მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. თუ თქვენ ნოვატორული გეგმების განხორციელებლად ვერაფერს მოიფიქრებთ, გაუზიარეთ ის კოლეგებს ან მეგობრებს.

ვართოვა

1. ჟანგბადის ლათინური სახელწოდება
2. რუსი კინორეჟისორი
3. მამის ან დედის დედა
4. საწერი ქაღალდის რაოდენობის ერთეული
5. საბავშვო სათამაშო, ოპტიკური ხელსაწყო
6. ხმელთაშუა ზღვის სრუტე
7. ინდოელი პოლიტიკოსი ჯავაჰარლალ ...
8. იაპონელი მოდელიორი
9. ტექნიკური ზეთი
10. მხატვარი ... გოგენი
11. პატარა ძაღლი, გოშია
12. ჯუჯა ცხენი
13. აშშ-ის პრეზიდენტი
14. საქსოვი ჩხირი მოკაუჭებული წვერით
15. იაპონური ავტომარკა
16. მექიკოს საფეხბ. სტადიონი
17. ცხიმოვანი სიმსივნე
18. მამალი კვიცი
19. მიხეილ ჯავახიშვილის „დაგვიანებული“ პერსონაჟი
20. ზრდილობიანი მიმართვა იაპონიაში
21. „ჭრელი მთები“ აზიაში
22. ლიხტენშტეინის დედაქალაქი
23. მატყლის ქსოვილი
24. ნაყოფიერების მფარველი სვანური ქალღვთაება
25. მთიანი მხარე რუსეთში
26. ... როსტოვა „ომი და მშვიდობაში“
27. საბჭოდ თაბახის ნახევარი
28. ამერ. ფინანსურ-ეკონომიკური ჟურნალი
29. რბილი ჭედადი ლითონი
30. გია დანელიას ფილმი
31. დეკორატიული მცენარე
32. ფრანგული ვაზის ჯიში
33. ყანის მაგნებელი მწერი
34. მუსიკალ. გამის IV ნოტი
35. პიკნიკი ღია ცის ქვეშ მწვადებით
36. სასვენი ნიშანი
37. მადრიდის „რეალის“ ყოფილი კაპიტანი
38. მალარიის გადამტანი მწერი
39. ძვ. სამეფო შუა აზიაში
40. შხამიანი გველი
41. მდინ. სანკტ-პეტერბურგში
42. ფილიპინების ჯუნძული
43. მიწისძვრით დანგრეული სომხური ქალაქი
44. მზის ღმერთი ძვ. ეგვიპტეში
45. ქართული ანბანის I ასო
46. მდინარე ციმბირში
47. მსოფლ. V ჩემპიონი ჭადრაკში
48. ჭიდაობის საერთაშორ. ფედერაცია
49. თვალზე გადაკრული თეთრი ლაქა
50. ინდიელთა შხამი
51. ნოტი დო-ს ძველი სახელწოდება
52. ზევსის ძროხად ქცეული სატრფო
53. ქართ. ხალხური შრომის სიმღერა
54. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში
55. წყლის ფრინველი
56. შვიდის მომდევნო რიცხვი
57. კუნძულოვანი სახელმწიფო ოკეანიაში
58. გზალათინურ.
59. „ტოროტას“ მოდელი
60. სამაგიდო თამაში
61. სოფელი სენაკის რაიონში
62. „ჭრიჭინას“ გვარი
63. ფრანგი მსახიობი ... მონტანი
64. ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი

შენდემა ყოველადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანფანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

„კუპალნიკი“ სხეულს ეხეჭება

ამერიკელმა მოდელიორმა ჯენი ფარლიმ საცურაო კოსტიუმი შექმნა, რომელიც სხეულზე „ბრეტელების“ გარეშეც ჩერდება. საქმე ის არის, რომ „კუპალნიკის“ ქსოვილის თოთოეული ფენა წებოვანი სილიკონის მასალას Stick2-ს შეიცავს, რომელიც სხეულის ტემპერატურის მომატების წყალობით აქტიურდება. რაც უფრო მაღალი იქნება სხეულის ტემპერატურა, მით უფრო მყარად მიეწებება „კუპალნიკი“ მას. საცურაო კოსტიუმს ერთი ნაკლი აქვს — ის ვადიანია. ბიუსჰალტერის 20-ჯერ მოხმარების შემდეგ სილიკონის საფენები წებოვნებას კარგავს და ის სხეულზე ვეღარ ჩერდება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.